საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №118 (2491) შაბათი, 24 მაისი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისის გარეთ 45 თეთრი.

მოულოდნელი რაკურსი

„გვიშველეთ, სანამ გვიან არ არის“...

სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს მედდამ ლუიზა აჩბამ წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრს შოთა კვირაიას, რომელშიც ნათქვამია: „ის, რაც დღეს აფხაზეთში ხდება, გეხებათ თქვენც, როგორც საქართველოს უშიშროების მინისტრს. ბევრ ჩემს თანამემამულეს სუვერენიტეტისა უკვე აღარ სჯერა. თითქმის ყველა იმედგაცრუებულია, მაგრამ ზოგი იმიტომ დუმს, რომ კლანობრივი ურთიერთობები უშლის ხელს. არძინბას ბანდამ ამ დაწყევლილ ომში თითქმის ყველა აფხაზი აიძულა დანაშაული ჩაედინა. ერთნი კლავდნენ და წვავდნენ, მეორენი ხელს ითბობდნენ...

ფულის გულისათვის ყველაფერს ჩადიან, მკვლელობა, ძარცვა, ყაჩაღობა, აფხაზების ყოველდღიურ საქმიანობად იქცა. ერი იღუპება, უცრემლოდ ვერ ვიხსენებ იმ გოგონებს, მათ შორის აფხაზებს, რომლებიც ძალით წაიყვანეს და გაყიდეს თურქეთსა და სხვა ქვეყნებში. თითქმის მთელი ახალგაზრდობა განარკომანდა. ნარკოტიკებით ვაჭრობს ყველა, ვისაც არ ეზარება.

გადავწყვიტე, მოგმართოთ თხოვნით, — გვიშველეთ, სანამ გვიან არ არის, თორემ, გარწმუნებთ, აღარავინ დარჩება საშველი“.

წარმატება

ელისო ბოლქვაძის დიდი გამარჯვება

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პიანისტმა მოიყარა თავი ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში, სადაც 2 მაისიდან 16 მაისამდე ტარდებოდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი.

მათ შორის იყო საერთაშორისო კონკურსებისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ელისო ბოლქვაძე.

ახალგაზრდა ქართველმა პიანისტმა წარმატებით განვლო 4 ურთულესი ტური და ლაურეატის საპატიო წოდება (III პრემია) მოიპოვა.

ჟიურიმ ელისოს მიაკუთვნა აგრეთვე სპეციალური პრიზი კონკურსის ფინალში ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტის საუკეთესო შესრულებისათვის.

ლაურეატებს გულითადად მიულოცა და ჯილდოები გადასცა ირლანდიის პრეზიდენტმა მერი რობინსონმა.

ელისო ბოლქვაძე საგასტროლოდ მიიწვიეს ირლანდიაში, საფრანგეთსა და იაპონიაში.

მანამდე კი, ამა წლის 9 ივნისს, იგი სოლო-კონცერტს გამართავს თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში.

უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ ინტერვიუს ელისო ბოლქვაძესთან.

შევეწიოთ



წმინდა სამების საკათედრო ტაძარი შენდება. თუმცა მშენებლობის ტემპი შენელდა უსახსრობის გამო, მაგრამ სრულიად საქართველო იმედს არ ჰკარგავს. გვჯერა, სწორედ ჩვენი დანაზოგით შეკრებილი თანხით აშენებულ ტაძარში მოვინანიებთ ჩვენსავე ცოდვებს.

ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

მადონა მაღრაძე	– 100 ლარი
რობერტ დევდარიანი	– 100 ლარი
ლერი დევდარიანი	– 100 დარი
ნესტან ფარულავა	– 30 ლარი
სოსო ლაცაბიძე	– 30 ლარი

26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

არმია აღლუმისათვის ემზადება

საქართველოს სამხედრო შეიარაღებული ძალები დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ემზადებიან.

სამხედრო შენაერთები მწყობრით ჩაუვლიან რუსთაველის პროსპექტზე საგანგებოდ ამ დღისათვის აგებულ ტრიბუნას. ქვეყნის ხელმძღვანელობასა და ქართველ ხალხს კიდევ ერთხელ დაუდასტურებენ, რომ ისინი მზად არიან სამშობლოს ნებისმიერი დავალების უყოყმანოდ, ღირსეულად შესასრულებლად...

საქართველოს არმია დღითი-დღე იმაღლებს პროფესიონალიზმს.

26 მაისს საქართველოს ჯარისკაცები სახალხო გამოცდას ჩააბარებენ...

თუ როგორ ემზადებიან ამ გამოცდისათვის — ამის თაობაზე ჩვენი კორესპონდენტების ვრცელ რეპორტაჟს ხვალ შემოგთავაზებთ.



ინფორმაცია

პასუხი გაეცა ყველა კითხვას

თბილისში გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ დღეების ფარგლებში 23 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გაზეთის მთავარი რედაქტორი ვიქტორ ლოშაკი და რედაქციის წამყვანი ჟურნალისტები, მათ მორის, ქართველი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი იური როსტი.

საქართველოს პრეზიდენტმა რუს ჟურნალისტებს, მათი ინტერესის გათვალისწინებით, გაუზიარა თავისი შეხედულებები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მომავალი განვითარების შესაძლებლობებისა და რეგიონული და საერთაშორისო პოლიტიკის სხვა აქტუალურ საკითხებზე.

წითელი ჯვარი: საქართველო სამაგალითო ქვეყანაა

23 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საერთაშორისო წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის გენერალური დელეგატი ფრანსუა ბუნიონი და საერთაშორისო წითელი ჯვრის დელეგაციის წარმომადგენელი საქართველოში გი მელე.

სტუმრებმა ხაზგასმით აღნიშნეს წითელი ჯვრის დელეგაციისათვის საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა. – საქართველომ სხვა ქვეყნებისათვის სამაგალითო შესაძლებლობები შექმნა საპატიმრო ადგილებში ვითარების გაცნობის თვალსაზრისით, – აღნიშნა ფრანსუა ბუნიონმა და მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს თანადგომისა და კარგი სამუშაო პირობების შექმნისათვის.

შეხვედრა ბაზილ კოვალსკისთან

23 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო მსოფლიო ბანკის IV ევროპული დეპარტამენტის დირექტორი ბაზილ კოვალსკი.

ინფორმაციას შეხვედრის შესახებ ხვალ შემოგთავაზებთ.

* * *

იმავე დღეს მსოფლიო ბანკის მეოთხე დეპარტამენტის დირექტორი ბაზილ კოვალსკი და ამ ორგანიზაციის საქართველოში მომუშავე ექსპერტები მიიღო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ.

ვიზიტი ტაშკენტში დამთავრდა

როგორც ვიუწყებოდით, ტაშკენტში ორდღიან სამუშაო ვიზიტად იმყოფებოდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი.

გუშინ დილით გაიმართა საქართველო-უზბეკეთის ერთობლივი კომისიის შემაჯამებელი სხდომა, რომლის შემდეგაც დელეგაციათა ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს სახელმწიფოთაშორისო დოკუმენტებს ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის, ტურიზმის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სფეროების თანამშრომლობის საკითხებს.

ხელმოწერის ცერემონიალის შემდეგ ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა და უზბეკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ ისმაილ ჯურაბეკოვმა პრესკონფერენცია გამართეს.

გუშინ საღამოს დელეგაცია თბილისს დაბრუნდა. ვიზიტის ამსახველ ვრცელ მასალებს ჩვენი გაზეთის მომავალ ნომრებში შემოგთავაზებთ.

ტრასეკაში შემავალი ქვეყნები შეთანხმდნენ

ტრასეკის პროექტის განხორციელების მიზნით კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების თანამშრომლობა ტრანსპორტის, კერძოდ, რკინიგზის სფეროში – ამ თემისადმი მიძღვნილმა კონფერენციამ, რომელშიც ტრასეკაში შემავალი რვა ქვეყნის სარკინიგზო უწყებათა ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ, მუშაობა განაგრძო 23 მაისს თბილისში, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ტრასეკის პროექტი „სახელმწიფოთაშორისი სარკინიგზო ტარიფების სტრუქტურა და მოძრაობათა განრიგი“, რომელიც ტრანსკონტინენტური მატარებლების ეფექტიანი მოძრაობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას ისახავს მიზნად. იგი ასევე მიმართულია მატარებლების კომერციული წარმატებისაკენ.

დელეგატები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია ერთიანი სატარიფო სისტემის შემუშავება. მათი აზრით, კლიენტების მოზიდვისათვის საჭიროა ტარიფების შემცირება.

როგორც იქნა...

„იბერიის“ კორესპონდენტს რუსეთში საქართველოს საელჩოდან აცნობეს, რომ ივნისის მეორე ნახევარში რუსეთის სახელმწიფო სათათბირო განიხილავს რუსეთსა და საქართველოს შორის 1994 წლის 3 თებერვალს პარაფირებული დოკუმენტის რატიფიცირების საკითხს. ექსპერტთა აზრით, რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა აღნიშნული დოკუმენტი სწორედ ახლა იმიტომ შეიტანა სახელმწიფო სათათბიროში განსახილველად, რათა როგორმე შეარბილოს დაძაბულობა საქართველოსთან აფხაზეთის პრობლემის გადაუწყვეტლობის გამო.

გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩება

„იბერიის“ კორესპონდენტს რუსეთში საქართველოს საელჩოდან აცნობეს, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრთა ერთი ჯგუფი აპირებს მხარი დაუჭიროს ფედერაციის საბჭოს მიმართვას რუსეთის პრეზიდენტისადმი იმის მოთხოვნით, რომ აფხაზეთს ეკონომიკური ბლოკადა მოეხსნას. მათ მიიღეს ერთობლივი მიმართვა ბორის ელცინისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლება, ფაქტობრივად, თავად გაემიჯნა ამ ბლოკადას, ერიდება თავის თავზე პასუხისმგებლობის აღებას და სურს ყველაფერი რუსეთს გადააბრალოს. ამის მაგალითად მოჰყავთ საქართველოს პრეზიდენტის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ აფხაზეთი თვითიზოლაციაში იმყოფება და საქართველოს მის მიმართ ეკონომიკური სანქციები არ განუხორციელებია.

გენერლები აგარაკებს დახარბდნენ

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა ლევ როხლინმა განაცხადა, რომ რუს გენერალთა ერთი ნაწილი აფხაზთა მხარეზეა. როხლინის თქმით, ისინი დახარბდნენ აგარაკებს, რომლებიც მათ აფხაზეთში აჩუქეს. ასეთივე განცხადება როხლინმა საქართველოს დელეგაციასთან შეხვედრისასაც გააკეთა.

ყინწვისის ხელახალი გაბრწყინება

22 მაისს ძამის ხეობამ და მთლიანად ქარელის რაიონმა ყინწვისის ტაძრის კურთხევა იზეიმა. XII საუკუნის ეს უმშვენიერესი ტაძარი მლოცველებს ვერ იტევდა. კურთხევის საზეიმო რიტუალი შეასრულა ურბნისისა და რუისის მთავარეპისკოპოსმა მეუფე იობმა მღვდელმსახურებთან ერთად.

ყინწვისში ღვთისმსახურება განახლდა. ეკლესიას უწინამძღვრებს მამა ზურაბი – ქარელის მრევლის სულიერი მოძღვარი. რაიონულმა გამგეობამ (გამგებელი – თემურ სანდროძე) საგანგებოდ მისთვის ააშენა სახლი. ამიერიდან ყინწვისში დედათა მონასტერიც იქნება.

ზეიმობდა მრევლი, ლოცულობდა და ღმერთს შეეწევნას შესთხოვდა.

გორი ლიახვმა დატბორა

თავსხმა წვიმების შედეგად ადიდებული ლიახვი გადმოვიდა ნაპირებიდან, დატბორა გორი-ცხინვალის გზა, კარალეთის მინდვრები და გორის წმინდა წყლის დასახლება. 77 ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. მსხვერპლი არ არის. მდგომარეობა კვლავ რთულია. მდინარე ძველი კალაპოტით მიედინება.

შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია (სახელმწიფო რწმუნებული – ირაკლი ბოჭორიძე) და გორის მერია (მერი – დავით ქობლიანიძე) საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტთან, კონცერნ „საქავტოგზასთან“ და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ყველა ღონეს ხმარობენ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა - საქინფორმმა, „მოამბე-ექსპრესმა“, ჩვენმა კორესპონდენტებმა, „იბერიამ“

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 21 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს განათლების სამინისტროს სისტემის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პედაგოგთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის საქართველოს განათლების სამინისტროს სისტემის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პედაგოგები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

ღირსების ორდენით:

ციალა თოლორაია – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მთავარი სპეციალისტი

ალექსანდრა კვარაცხელია – დაბა წყნეთის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა საშუალო სკოლის მასწავლებელი

დაგმარა ნინიძე – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან არსებული ხალამოს სკოლის მასწავლებელი

ღირსების მედლით:

მარინა აბაშია – დაბა წყნეთის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა საშუალო სკოლის მასწავლებელი

დაველოსტი გობეჯიშვილი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გუდაუთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე.

მედიკო კვარაცხელია – ვამლიჯვარის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა საშუალო სკოლის მასწავლებელი

სერგო პაპასქუა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან არსებული საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი

მედეა სალია – დაბა წყნეთის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა საშუალო სკოლის მასწავლებელი

მიმოზა შელია – დაბა წყნეთის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე

გივი ჩოფლიანი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის ვენწვიშის საშუალო სკოლის დირექტორი

ამური ცატავა – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოხუმის განათლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 23 მაისი ქ. თბილისი

მ. ცალქალამანიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში თავისუფალი ჭიდაობის განვითარების, მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდაში დიდი დამსახურებისათვის თავისუფალი ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **მირიან ცალქალამანიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

იპარავენ გაზეთებს!

„ლევს“ ვერ ელევიან საქართველოს რესპუბლიკა

ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო. გვაქვს ქართველებს ასეთი ანდაზაც. წისქვილი იმის არის, რომ ფქვას, მაგრამ ისიც ხომ უდავოა, რომ ვისიც აყრია, იმისი უნდა დაფქვას? ეს კი ასეა, მაგრამ არ იქნა და ბოლო არ მოეღო პრესის გავრცელების საცალო ქსელში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ „მარცხენა“ ეგზემპლარების გადინებას.

რა გინდა ქნა? ურტყი კედელს თავი! ჩვევა, მართლაც რჯულზე უმტკიცესი გამოდგა. მას შემდეგ, რაც საცალო ქსელში დასაქმებულთა და კერძო გამსაღებლებისათვის საჯაროდ გამოვაცხადეთ, რომ ჩვენი გაზეთის მხოლოდ საგანგებო შტამპდარტყმული ეგზემპლარების გაყიდვა არის ნებადართული, ხოლო სხვა ყველა ნაქურდალია (სასჯელი კი ქურდსაც ეკუთვნის და გამსაღებელსაც), აქა-იქ მაინც გამოჩნდა უშტამპო „საქართველოს რესპუბლიკა“. გუშინწინ, მაგალითად, დოლიძის ქუჩის დასაწყისში მდგარი კერძო გამსაღებელი მხოლოდ ასეთი ნომრებით ვაჭრობდა, ასევე, – პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე კორპუსის წინ მდგარი ჯიხურის გამყიდველიც. ჩვენს შენიშვნაზე, არ ვიცოდითო, მოიბოდიშეს. ასეთი „ბოდიში“ საქმეს რომ შველოდეს...

სამწუხაროდ, ამგვარი ფაქტები გამონაკლისი როდია. და თუ ეს ჩვენი „მემარცხენეები“ ამ „ბიზნესის“ მიტოვებას არ აპირებენ, არც ჩვენ ვაპირებთ მათ გამოსავლენად კონტროლის მოდუნებას.

მერე კანონმა იცოდეს თავისი.

ისე კი, შესაბამისმა მაკონტროლებელმა სტრუქტურებმა ამ საქმესაც რომ მიხედონ, მადლობელი დავრჩებით „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაც და საგაზეთო-საჟურნალო გამომცემლობა „სამშობლოს“ დირექციაც.

უკანასკნელ საათს

მოსკოვი. 23 მაისს კრემლის ვლადიმერის დარბაზში რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა ბორის ელცინმა და ბელორუსიის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ხელი მოაწერეს რუსეთ-ბელორუსიის კავშირის წესდებას. რუსეთის პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ ეს „მიმზიდველი მაგალითი გახდება თანამეგობრობის წევრი ქვეყნებისათვის“.

* * *

ბორის ელცინმა 59 წლის იგორ სერგეევი დაამტკიცა რუსეთის თავდაცვის მინისტრად, ხოლო ერთი დღის წინათ გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნული გენერალი ჩიჩევ[illegible] ნერალური შტაბ[illegible] ტოლი კვაშნინი. [illegible] ბატურინის თქმით, მინისტრის დანიშვნა შეიცავს პოლიტიკურ მომენტსაც: „თუ საჭირო გახდა, მინისტრი, რომელიც აქამდე სტრატეგიული სარაკეტო ჯარების სარდალი იყო, შეძლებს დამოუკიდებლად იმოქმედოს პირველი ბირთვულ-სარაკეტო დარტყმის სიტუაციაშიო“.

პეკინი. გუშინ აქ მკაცრი კონფიდენციალობის პირობებში დაიწყო ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის უშუალო მოლაპარაკება წითელი ჯვრის საზოგადოების ხაზით სოციალისტური კორეის დამშეული მოსახლეობისათვის სასწრაფო სასურსათო დახმარების საკითხზე.

დელი. ორმოცი კაცი დაიღუპა და ათასზე მეტი დაშავდა მიწისძვრის შედეგად, რომელიც ინდოეთის მადჰია პრადეშის შტატში მოხდა. სამი მიწისქვეშა ბიძგის ძალა, რომლებიც 10-10 წუთის ინტერვალით დაფიქსირდა, რიხტერის სკალით 6 ბალს შეადგენდა.

ჰააგა. რუსეთის ფედერაციასა და იჩქერიის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის აღდგენას ეძღვნება საერთაშორისო საკონსულტაციო შეხვედრა, რომელიც გუშინ გაიხსნა აქ „ჰააგის ინიციატივის“ ფარგლებში.

მოვლენის კვალზე

გაერო საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვაზე მსჯელობს

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (რომელსაც საქართველოც შეუერთდა) საფუძველზე, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი პერიოდულად ისმენს მონაწილე ქვეყნების ანგარიშს ამ პაქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე, პერიოდულად და არა განსაკუთრებულ შემთხვევაში, ან განსაკუთრებულ გარემოებათა გამო.

საქართველო ჯერ კიდევ 1995 წელს უნდა წარმდგარიყო ანგარიშით. მოხსენება, რომელიც შედგენილი იყო ეროვნული უმცირესობებისა და ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის მიერ, მართლაც გაიგზავნა იმავე წლის ნოემბერში, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გამო განხილვა 1997 წლის მარტისთვის გადაიდო.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ოფიციალურ დელეგაციაში, რომელმაც საქართველოს მხარე წარმოადგინა გაეროში, იყვნენ პრეზიდენტის მთავარი კონსულტანტი საერთაშორისო საკითხებში ლევან ალექსიძე, გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი და საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი კოტე კორკელია.

ნიუ-იორკში ჩასულ ჩვენს წარმომადგენლებს დამატებითი შეკითხვები დაახვედრეს, რომლებზეც მოხსენების განხილვის ორი სამუშაო დღის განმავლობაში, სხვა ზეპირ შეკითხვებთან ერთად, პასუხი უნდა გაეცათ.

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი ამ სფეროს აღიარებული პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული: კრისტინ შანეტი (თავმჯდომარე, საფრანგეთი), ნისუკე ანდო (იაპონია), პლაფურაჩანდრა ბაგვატი (ინდოეთი), თომას ბურგენტალი (აშშ), ლორდი კოლვილი (დიდი ბრიტანეთი), ომრან ელ შაფეი (ეგვიპტე), ერკარტ კლეინი (გერმანია), დავით კრეტზმერი (ისრაელი), ფაუსტო პოკარი (იტალია), მაქსველ იალდენი (კანადა), ასევე, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი ავსტრალიიდან, კოლუმბიიდან, მავრიტანიიდან, ჩილედან, ლიბანიდან, ეკვადორიდან, ფინეთიდან, სლოვენიიდან.

აი, ამ ხალხის ჩვენდამი განწყობილების შესახებ რომ ვკითხე ანზორ ბალუაშვილს, მან თქვა:

იხ. გვ - 4 - 8 გვ.

სიახლე

ეძებეთ ყოველ ორშაბათს „ახალგაზრდა ივერიელი“ — „საქართველოს რესპუბლიკა“

26 მაისიდან ჩვენი გაზეთი ორშაბათობითაც გამოვა „ახალგაზრდა ივერიელთან“ ერთად — საერთო ნომრით.

გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელის“ ჟურნალისტთა ძალებით მომზადდება და ერთი თვის მანძილზე მხოლოდ საცალო ქსელში გაიყიდება. ივლისიდან კი მას ხელმომწერებიც მიიღებენ.

„საქართველოს რესპუბლიკის“
სარედაქციო კოლეგია.

საქართველოს კანონი

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები. 1994-1995 წწ., №№ 23-26, მუხ. 559) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის სათაურსა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკა“ შეიცვალოს სიტყვით „საქართველო“.
2. მე-3 მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „ნაწილობრივ“.
3. მე-11 მუხლის პირველ პუნქტში სიტყვები „სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს“ შეიცვალოს სიტყვებით „სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს“.
4. მუხლთა პუნქტების ქვეპუნქტების თანამიმდევრობა აღინიშნოს ანბანის მიხედვით.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1997 წლის 30 აპრილი.

საქართველოს კანონი

„სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები. 1994-1995 წწ., №№ 23-26, მუხ. 561) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის სათაურსა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკა“ შეიცვალოს სიტყვით „საქართველო“.
2. თუ მუხლი შედგება რამდენიმე აბზაცისაგან, ეს აბზაცები დაინომროს თანამიმდევრობით არაბული ციფრებით, პუნქტებად, ხოლო პუნქტების ქვეპუნქტების თანამიმდევრობა აღინიშნოს ანბანის მიხედვით.
3. მე-2 მუხლის პირველ პუნქტში და მე-15 მუხლში სიტყვები „მინისტრთა კაბინეტთან“ შეიცვალოს სიტყვებით „ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან“.
4. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში, მე-10 მუხლის მე-6 პუნქტში და მე-15 მუხლში სიტყვები „მინისტრთა კაბინეტი“ შეიცვალოს სიტყვით „პრეზიდენტი“.
5. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტში სიტყვები „სოციალური დაზღვევის ფონდიდან“ შეიცვალოს სიტყვებით „სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან“.
6. მე-16 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვები „მინისტრთა კაბინეტის სარეზერვო ფონდიდან“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო სარეზერვო ფონდიდან“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1997 წლის 30 აპრილი.

საქართველოს კანონი

„ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექციის (შიდსის) პროფილაქტიკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექციის (შიდსის) პროფილაქტიკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები. 1994-1995 წწ., №№ 23-26, მუხ. 557) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის სათაურსა და ტექსტში სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკა“ შეიცვალოს სიტყვით „საქართველო“.
2. მე-2 მუხლის პირველ და მეორე აბზაცებში სიტყვები „მინისტრთა კაბინეტი“ შეიცვალოს სიტყვით „პრეზიდენტი“, ხოლო მე-2 მუხლის პირველი აბზაციდან სიტყვები „და ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე“ ამოღებულ იქნეს.
3. მე-2 მუხლის მესამე აბზაცში სიტყვები „სტრუქტურასა და ფუნქციებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო“ შეიცვალოს სიტყვებით „დებულებას ამტკიცებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი“.
4. მე-8 მუხლის მე-6 და მე-7 აბზაცები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აივ დაავადებულ პირთა აღნიშნული დაავადების გამო სამუშაოდან დათხოვნა ან სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმა (გარდა იმ სპეციალობებისა, სადაც არსებობს მისი ან მასთან კონტაქტში მყოფი პირის აივ დაავადების საფრთხე) იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობის შესაბამისად.

დაუშვებელია აივ დაავადებული პირებისთვის აღნიშნული დაავადების გამო სამკურნალო, სასწავლო და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებში მიღებაზე უარის თქმა“.

5. თუ მუხლი შედგება რამდენიმე აბზაცისგან, ეს აბზაცები დაინომროს თანამიმდევრობით, არაბული ციფრებით, პუნქტებად, ხოლო პუნქტების ქვეპუნქტების თანამიმდევრობა აღინიშნოს ანბანის მიხედვით.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1997 წლის 30 აპრილი.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1997 წლის 7 მაისი
ქ. თბილისი

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში სამსახურის შესახებ დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში სამსახურის შესახებ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. VI თავის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად;

დისციპლინური სასჯელის გამოყენება ხდება არა უგვიანეს ერთი თვისა გადაცდომის ფაქტის დადგენის (აღმოჩენის) დღიდან, ამასთან, ამ ვადაში არ ითვლება მუშაკის ავადმყოფობის, შვებულებაში ყოფნისა და სამსახურებრივი შემოწმების დრო.

დისციპლინური სასჯელის გამოყენება არ შეიძლება გადაცდომის ჩადენის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ.

2. VII თავს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 მუხლი:

პროკურატურის თანამშრომლები ატესტაციას გადიან სამ წელიწადში ერთხელ ფარული კენჭისყრით. ატესტაციის წესს განსაზღვრავს გენერალური პროკურორი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1997 წლის 7 მაისი
ქ. თბილისი

საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავებისას საწვავის ხარჯების მდგომარეობის შესახებ

საქართველოში ელექტროენერგიის გამომუშავებისას საწვავის ხარჯვის მდგომარეობის შესწავლის მიზნით:

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის რ. შავიშვილის ინფორმაცია.
2. საქართველოს კონტროლის პალატამ ორ თვეში უზრუნველყოს დოკუმენტური რევიზიების მოწყობა „თბილსრესში“, „საქენერგოში“, „საქენერგოგენერაციასა“ და „საქტრანსგაზმრეწვში“.
3. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ (შ.კვირაია), შინაგან საქმეთა სამინისტრომ (კ. თარგამაძე) და სახელმწიფო ტექნიკურმა უნივერსიტეტმა (რ. ხუროძე) აღმოუჩინონ სათანადო დახმარება საქართველოს კონტროლის პალატას აღნიშნული საკითხების შესწავლაში.
4. განკარგულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატს.

ე. შევარდნაძე.

ოფიციალური ინფორმაცია

საქართველოს პრეზიდენტის სომხეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის შედეგად ხელმოწერილ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რეალიზაციის პროგრამის შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 2-3 მაისს სომხეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის დროს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რეალიზაციის მიზნით საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება. ამ განკარგულების თანახმად დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის სომხეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის დროს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რეალიზაციის კოორდინაციისა და ხელშეწყობის თანდართული პროგრამა.

საქართველოს სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა უზრუნველყონ პროგრამით გათვალისწინებულ საკითხთა დროული გადაწყვეტა.

საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რეალიზაციის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესრულების კონტროლი და კოორდინაცია დაევალათ საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და მშვიდობიანი კავკასიის საკითხთა სახელმწიფო ბიუროს და საქართველოს სომხეთთან სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა მთავრობის კომისიას.

ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ასკარ აკაევის საქართველოში ოფიციალური ვიზიტის შედეგების შესახებ

ყირგიზეთის პრეზიდენტის საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს საქართველოსა და ყირგიზეთის რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რეალიზაციის მიზნით საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც დამტკიცდა ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს ხელმოწერილ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რეალიზაციის პროგრამა.

საქართველოს სამინისტროებს, უწყებებს და ორგანიზაციებს დაევალათ უზრუნველყონ პროგრამით გათვალისწინებულ საკითხთა დროული შესრულება.

საქართველოსა და ყირგიზეთის რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რეალიზაციის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესრულების კონტროლი და კოორდინაცია დაევალა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა და თანამეგობრობის და მშვიდობიანი კავკასიის საკითხთა სახელმწიფო ბიუროს. აღნიშნული საკითხების შესრულების ხელშეწყობის მიზნით ბიურომ შექმნა სამუშაო ჯგუფი საქართველოს სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1997 წლის 19 მაისი
ქ. თბილისი

ეკონომიკური რეფორმის გაღრმავების უზრუნველყოფის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის ანტიკრიზისული პროგრამისა და 1994-1995 წლებისათვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი პრინციპებისა და პროგნოზული პარამეტრების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 7 თებერვლის №34 ბრძანებულებით დამტკიცებული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემატური ცვლილებების პროგრამით განსაზღვრული იყო ქვეყანაში რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელების სამართლებრივი და ორგანიზაციული ბაზის ჩამოყალიბების ღონისძიებანი, რომელთა რეალიზაციამ ხელშემწყობი პირობები შეუქმნა პრივატიზაციის დაჩქარებას, ფასების ლიბერალიზაციას, ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის სრულყოფას, საშინაო და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას და საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარებას.

მოსახლეობის ფართო ფენების მიერ რადიკალური რეფორმებისათვის მხარდაჭერის პირობებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა ქვეყანაში საგრძნობლად აღადგინა მართლწესრიგი და აამაღლა საშემსრულებლო დისციპლინის დონე, რაც ეკონომიკის სტაბილიზაციის ქმედითი ფაქტორი გახდა. 1995 წლიდან საქართველოში დაიწყო წარმოების დაქვეითების თანდათანობით შენელება, ხოლო 1996 წელს შესამჩნევად გაიზარდა ქვეყნის ეკონომიკის ყველა მნიშვნელოვანი დარგი, რამაც ასახვა პოვა ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის – მთლიანი შიდა პროდუქტის გადიდებით. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 1996 წლის განმავლობაში 11 პროცენტით გაიზარდა ისაფის პროგრამით გათვალისწინებული 8-10 პროცენტის ნაცვლად. ეკონომიკის გამოცოცხლების პროცესმა შეუქცევადი ხასიათი შეიძინა.

მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის სფეროში. პრაქტიკულად დასრულდა ეგრეთ წოდებული „მცირე პრივატიზაცია“, კერძო საკუთრებაში გადაეცა 9600-მდე ობიექტი, დაფუძნებულია 1050-მდე სააქციო საზოგადოება, საქართველოს თითქმის 4300 ათასმა მოქალაქემ, ანუ ქვეყნის მოქალაქეთა საერთო რიცხვის 83 პროცენტზე მეტმა მიიღო საპრივატიზაციო ბარათი. სახელმწიფომ ვაუჩერის საშუალებით მოსახლეობას გადასცა 154 მილიონი დოლარის ღირებულების სახელმწიფო ქონება, დაახლოებით 500 ათასი კაცი გახდა მესაკუთრე.

გადაიდგა პირველი ნაბიჯები პრივატიზაციის პროცესში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით. უცხოელმა ინვესტორებმა საბარათო აუქციონებზე შეისყიდეს რეალიზებული აქციების 20 პროცენტი. უცხოური კაპიტალი დაბანდდა 60-მდე ახლად პრივატიზებულ საწარმოში.

ხორციელდება მიწის რეფორმა. მიღებულია კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, რომლის საფუძველზე მილიონზე მეტი მოქალაქე, მათი ოჯახები მიწის მესაკუთრენი გახდნენ. ძალაში შევიდა მიწათსარგებლობის საიჯარო ფორმა, რომელიც უკვე მოქმედებს. მიწის რეფორმის განსაკუთრებული მნიშვნელობა ის არის, რომ შეიქმნა აგრარულ სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმების საფუძველი.

ქმედითი ღონისძიებანი განხორციელდა ენერგეტიკული დარგის რესტრუქტურიზაციის საქმეში. წარმატებით ხორციელდება განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის რეფორმები. განსაზღვრულია მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ძირითადად სადაზღვევო საწყისებზე გადაყვანის, ფასიანი სწავლებისა და პედაგოგიური კადრების ატესტაციის მოწესრიგების ღონისძიებანი.

ფინანსური სტაბილიზაციის კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელების კვალობაზე გამოიკვეთა ინფლაციური პროცესების შენელების ტენდენცია, რაც ეკონომიკის გაჯანსაღების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად იქცა. 1996 წელს ინფლაციის საშუალო თვიურმა ტემპმა 1,9 პროცენტი შეადგინა, 1994 წლის 57 პროცენტისა და 1995 წლის 11,5 პროცენტის ნაცვლად.

ლარის გაცვლის კურსის სტაბილურობის მიღწევის გზით უზრუნველყოფილია ფასების ზრდის ტემპის შენელება. ბოლო ორი წლის განმავლობაში ინფლაციის შემცირების ტენდენციამ ლარს გადახდის ფუნქციის შესრულების პარალელურად შესძინა ღირებულების საზომისა და დაგროვების ფუნქცია, რაც დეპოზიტების მატებით გამოიხატა.

ბოლო დროს შეჩერდა მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითების ხანგრძლივი პროცესი. უფრო მეტიც, გამოიკვეთა ამ სფეროში ჯერჯერობით ძალზე მოკრძალებული, მაგრამ მაინც წინსვლის ნიშნები.

ანტიკრიზისული პროგრამის განხორციელების დაწყების დღიდან ერთ-ერთ ყველაზე რადიკალურ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს პურის ფასების სრული ლიბერალიზაცია, რომელიც გასული წლის 15 ივნისიდან დაიწყო. ამ ღონისძიების განხორციელებასთან ერთად გადაიჭრა ურთულესი პრობლემა – დაიწყო პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციის დემონოპოლიზაცია და ამ სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნა. საქართველოში, რომელსაც აღარ სჭირდება მარცვლეულის ჰუმანიტარული დახმარებით მიღება, პრაქტიკულად ჩამოყალიბდა ხორბლის ბაზარი.

ხორციელდება ვაჭრობისა და ანგარიშსწორების ლიბერალური რეჟიმის ხელშეწყობის პოლიტიკა, 1996 წლის ნოემბრისათვის გაუქმდა ექსპორტის ლიცენზირების მოთხოვნები. გაკეთდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს წევრად მიღების განაცხადი.

მიღწეული წარმატებები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებთან ნაყოფიერი თანამშრომლობით. ბოლო სამი წლის განმავლობაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციათა გათვალისწინებით განხორციელებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ რეალური ნაყოფი გამოიღო, ამჟამად მიმდინარეობს სტრუქტურულ გარდაქმნათა გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის პროგრამის რეალიზაცია, რომლის შედეგები თვალნათლივ აისახება ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებით.

აღსანიშნავია ურთიერთობები მსოფლიო ბანკთან, რამაც ბოლო ხანებში დახმარების ნაცვლად თანამშრომლობის სახე შეიძინა. ხელმოწერილია ხელშეკრულება ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რაც კონტაქტების შემდგომი გაღრმავებისა და ამ ორგანიზაციაში მომავალი ინტეგრაციის რეალური საშუალებაა.

ბოლო სამი წლის განმავლობაში საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციებიდან დახმარების სახით მიღებულია დაახლოებით 400 მლნ დოლარი, ხოლო ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარების ჩათვლით ეს ციფრი 1 მილიარდ დოლარს აჭარბებს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვათა დახმარებას, განსაკუთრებით სურსათისა და ენერგეტიკის სფეროებში.

წარმატებით ვითარდება სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან, ცენტრალური აზიის, ევროპის ქვეყნებთან, რის შედეგადაც პრაქტიკულად ამოქმედდა ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი.

1994 წლიდან მოყოლებული საერთაშორისო ორგანიზაციებთან ნაყოფიერი თანამშრომლობის საფუძველზე ქვეყანაში ფაქტობრივად მიღწეულია ეკონომიკური და ფინანსური სტაბილიზაციის დასახული დონე. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფო ფინანსების გაჯანსაღებისა და განმტკიცების მიმართულებით. წლითიწლობით უმჯობესდება სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მახასიათებლები, როგორც აბსოლუტური ოდენობით, ისე ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან ურთიერთმიმართებაში. არსებითია ის გარემოება, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შიდა სტრუქტურაში სულ უფრო მცირდება უცხო ქვეყნებიდან ჰუმანიტარული და გრანტის სახით მიღებული სახსრების ხვედრითი წილი. ამის შესაბამისად ქვეყანა თავის მოთხოვნილებებს ძირითადად შიდა წყაროებიდან მიღებული შემოსავლებით აკმაყოფილებს.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის დეფიციტი ხარჯების მიმართ 1995 წლის 40 პროცენტიდან 1996 წლის 19 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში – შესაბამისად 4,9 პროცენტიდან 2,8 პროცენტამდე, რაც საუკეთესო მაჩვენებელია დამოუკიდებელი ქვეყნის არსებობის ისტორიაში.

განვლილ პერიოდში გარდაქმნა-ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარეს საგადასახადო და საბაჟო სამსახურებმა. ამ სისტემების მიერ განხორციელებულ ინსტიტუციონალურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა პირველი ეტაპის შედეგად მიღწეულია გადასახადების მობილიზაციის დონის მრავალჯერადი ზრდა, საგადასახადო ბაზის მნიშვნელოვანი გაფართოება და მთლიანად ქვეყნის ქმედუნარიანი ფინანსური სისტემის დამკვიდრება.

კვლავ ხორციელდება ბანკების გარდაქმნის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ საბანკო სისტემის საბოლოო რესტრუქტურიზაცია, უნიფიცირება და შეკვრა. საბანკო სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივი ბაზის სრულყოფას საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა ახალმა საბანკო კანონებმა.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებამ მიმდინარე წელს პრაქტიკულად დაასრულა საქართველოში ეკონომიკური რეფორმების პირველი ეტაპი, მაგრამ რეფორმებმა ჯერ კიდევ ვერ მოახდინეს ადეკვატური გავლენა მოსახლეობის რეალურ შემოსავლებზე, მათი ცხოვრების დონეზე. ჯერ კიდევ მწვავეა სოციალური პრობლემები. ამჟამად დღის წესრიგში დგება ეკონომიკური რეფორმების გაღრმავებისა და ახალ ეტაპზე გადასვლის აუცილებლობა. ამ ეტაპზე რეფორმების ძირითადი მიმართულება უნდა გახდეს ყველა დონის ბიუჯეტისათვის ინვესტიციური და ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი ხასიათის მინიჭება, სახელმწიფო ინვესტიციების მარეგულირებელი როლის გაძლიერება საქართველოში მეწარმეობის განვითარებისა და სამეურნეო კომპლექსის სტრუქტურული სრულყოფის მიმართულებით; მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის არსებული ქონებრივი დიფერენციაციის შემცირება და თითოეული ოჯახის საბაზრო ფასების არსებული დონის შესაბამისი მსყიდველუნარიანობის უზრუნველყოფა; პრივატიზებული საწარმოების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა; ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის ჩამოყალიბება; ბუნებრივი მონოპოლიების რესტრუქტურიზაცია, კერძოდ, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში; კომუნალური მეურნეობის სტრუქტურული რეორგანიზაცია და მასში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება; მსხვილი სახელმწიფო საწარმოების, მათ შორის ენერგეტიკული, მეტალურგიული კომპლექსების, რესტრუქტურიზაცია, რომელიც უნდა გახდეს წარმოების სფეროს დაჩქარებული განვითარებისა და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების წინაპირობა; სასამართლო რეფორმა და გაკოტრების კანონის სრულფასოვანი ამოქმედება; შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის საფუძველზე კორუფციის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა, რაც საბოლოო ანგარიშით უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის შემოსავლების გადიდებასა და მათი ცხოვრების დონის რეალურ ამაღლებას.

საქართველოს პრეზიდენტის საარჩევნო პროგრამის დებულებათა თანამიმდევრული რეალიზაციის მიზნით ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის სამოქმედო პროგრამის შესამუშავებლად:

1. შეიქმნას სამთავრობო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

თემურ ბასილია – საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეკონომიკური რეფორმების საკითხებში, კომისიის თავმჯდომარე;

პეტრე ბაქრაძე – საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი;

გივი ბეგიაშვილი – საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საკონსულტაციო ეკონომიკური საბჭოს სამდივნოს უფროსი;

თემურ ბერიძე – სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე;

ვახტანგ ბურკაძე – აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

ვაჟა კაპანაძე – სახელმწიფო კანცელარიის ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოადგილე, მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური რეფორმების განყოფილების უფროსი;

იაკობ მესხია – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

ელგუჯა მექვაბიშვილი – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი;

ვლადიმერ პაპავა – საქართველოს ეკონომიკის მინისტრი;

ავთანდილ სილაგაძე – საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი;

გიორგი წერეთელი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

ნოდარ ჭითანავა – ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

მიხეილ ჭკუასელი – საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

ბადრი ხატიძე – საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურის უფროსი;

ნოდარ ჯავახიშვილი – საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.

2. სამინისტროებმა, დეპარტამენტებმა, უწყებებმა, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა სამთავრობო კომისიას ათ დღეში წარმოუდგინონ წინადადებანი თავიანთ სფეროებში ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის განხორციელების ძირითად მიმართულებათა შესახებ.
3. სამთავრობო კომისიამ მიმდინარე წლის 30 ივნისამდე შეიმუშაოს და წარმოადგინოს საქართველოში ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის სამოქმედო პროგრამის ძირითადი მიმართულებანი.
4. საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების მიზნით სამეცნიერო-კვლევითმა ორგანიზაციებმა ორიენტირება მოახდინონ ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის პრობლემათა დამუშავებაზე იმის გათვალისწინებით, რომ მათი მუშაობა შეფასდება ამ საქმეში შეტანილი წვლილის მიხედვით.
5. ეთხოვოთ საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის სამოქმედო პროგრამის შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის მუშაობაში.

ე. შევარდნაძე.

სოფელი

აგრარული პოლიტიკის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მელიორაციის დარგის ეფექტიანი ფუნქციონირებით.

სარწყავ მიწათმოქმედებას საქართველოში უძველესი ტრადიცია აქვს. მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩვენს ქვეყანაში სარწყავი მიწების ფართობი 112 ათასი ჰექტარი იყო. ამ დროიდან იწყება საინჟინრო ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და სამელიორაციო სისტემების მშენებლობაც.

დღეს საქართველოში დამუშავებული მიწების საერთო ფართობიდან მელიორირებულია 60 პროცენტამდე, ირწყვება 40 პროცენტი, ხოლო დაშრობილია მხოლოდ 20 პროცენტი. მელიორირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 50-55 პროცენტი მოდის. ძირითადი მელიორაციული ფონდების ღირებულება 900 მილიონ ლარს აღემატება.

მელიორაციის უმნიშვნელოვანეს როლზე მეტყველებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში განსახორციელებელი რეფორმის პირველი ეტაპის შესახებ“, რომელიც დღის წესრიგში აყენებს სამელიორაციო ფონდის რესტრუქტურიზაციისა და დარგში რეფორმების განხორციელების საკითხებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტი, რომელიც ორი რესპუბლიკური გაერთიანების — „საქწყალექსპლოატაციის“ და „საქსოფლწყალმომარაგების“ ბაზაზე შეიქმნა, დარგის ასაღორძინებლად დღეს მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს. გვესაუბრება დეპარტამენტის თავმჯდომარე თენგიზ ჩიქვაიძე.

მელიორაცია მართლაც სტრატეგიული დარგია

— ბატონო თენგიზ, ბოლო წლების პერიპეტიების გათვალისწინებით, მაინც რა მდგომარეობაა დარგში?

— არასტაბილურობის წლებში, როგორც ყველგან, ჩვენთანაც ნაწილობრივ ან მთლიანად გაიძარცვა და დაზიანდა ძვირადღირებული და დეფიციტური ელექტროტექნიკური მოწყობილობები, ელექტროგადამცემი ხაზები, სარწყავი ტექნიკა. 254 სარწყავი სატუმბი სადგურიდან, (ირწყვებოდა 135 ათასი ჰექტარი), დღეისათვის ვარგისია 40 პროცენტი. ეს კი მხოლოდ 50 ათასი ჰექტარი მიწის მორწყვას თუ უზრუნველყოფს. 41 დამშრობი სატუმბი სადგურიდან გამართულია მხოლოდ ექვსი, ხოლო საძოვრების გაწყლოვანების 11 სადგურიდან, მხოლოდ ორი. ჰიდროტექნიკური ნაგებობების უმრავლესობა მოძველებულია ანუ ცვეთის ზღვარზეა. ყოველწლიურად მცირდება მორწყული ფართობები, დაიწყო მეორადი დამლაშების და კოლხეთის დაბლობის მეორადი დაჭაობების პროცესი. მელიორაციული ფონდი მთლიან რეაბილიტაციას მოითხოვს.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა შიდასამეურნეო სარწყავ სისტემებზე. მიწის რეფორმამ მსხვილკონტურიანი მეურნეობებისათვის მოწყობილი შიდასამეურნეო ქსელების დანაწევრება გამოიწვია, რაც ათასობით წყალმომხმარებლებს შორის წყლის რაციონალურად განაწილებას და ნორმალურ რწყვას ართულებს. ამასთან, ყოფილი კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების ბალანსზე მყოფი შიდასამეურნეო ქსელები უპატრონოდ დარჩა. მოუვლელობის გამო კი, ბუნებრივია, მწყობრიდან გამოვიდა...

უმძიმესი მდგომარეობაა მექანიკური რწყვის ფართობებზე, რომელთაც სარწყავი წყალი სატუმბი სადგურებით მიეწოდებათ. მათი ფუნქციონირებისთვის საჭიროა 4,5 მლნ. ლარის ღირებულების 100 მილიონამდე კვტ ელექტროენერგია. ცენტრალური ბიუჯეტი ვერ უზრუნველყოფს სატუმბი სადგურების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დაფარვას, ხოლო ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ფერმერულ მეურნეობებს საჭირო სახსრები არა აქვთ. ამიტომ 4-5 წელიწადია არ ფუნქციონირებს კახეთის, ქვემო და შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის სარწყავი სისტემების მექანიკური აწევის სატუმბი სადგურების უმრავლესობა. ამავე მიზეზით ვერ ივსება „მწარე-წყლის“, კრანჭისხევის, თელათ-წყლის, ბოდბის, ზილიჩას წყალსაცავები დედოფლისწყაროს რაიონში, დევის წყლის წყალსაცავი საგარეჯოში, ნადარბაზევის წყალსაცავი გორის რაიონში. მოურწყველობის გამო იკარგება დიდძალი მოსავალი, სოფლის მეურნეობა ყოველწლიურად მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს განიცდის. ამ ტერიტორიებზე ცხოვრებაც აუტანელი ხდება: თუ ასე გაგრძელდა, მოსახლეობა იძულებული იქნება მიატოვოს მამა-პაპათა ადგილები და სხვაგან გადასახლდეს.

საქართველოს სარწყავი სისტემების 824 სათავე ნაგებობიდან დღეს 60 პროცენტი არასაინჟინრო ტიპისაა. ეს ართულებს წყალმცირობის პერიოდში მდინარეებიდან საჭირო მარაგის აღებას. მაგისტრალური არხების 53 პროცენტი, ხოლო შიდასამეურნეო ქსელების 47 პროცენტი მოუპირკეთებელია. არხებზე შეინიშნება ირიგაციული ეროზიის მოვლენები, გაიზარდა ფილტრაციული დანაკარგები, რაც მიმდებარე ფართობების მელიორაციულ მდგომარეობას აუარესებს. სარწყავი ფართობების დიდი ნაწილი საექსპლუატაციო და კაპიტალურ მომანდაკებას მოითხოვს, რომლის გარეშეც რწყვის ხარისხიანად ჩატარება შეუძლებელია.

მიწისძვრით დაზიანდა და არ ფუნქციონირებს ზონკარის წყალსაცავი ცხინვალის ზონაში, რის გამოც სარწყავი წყლის დეფიციტია ტირიფონა-სალთვისის და კეხვის სარწყავ სისტემებში.

მდინარე მტკვრის, ალაზნის და ხრამის ჩამონადენის დაურეგულირებლობის გამო წყლის ასეთივე დეფიციტია ზემო და ქვემო ალაზნის, ხრამის, დებედის, თეძამის, დოეს-გრაკალის და სხვა სისტემებზე.

აღდგენა-შეკეთებას მოითხოვს სარეგულაციო ფარები და ელექტროტექნიკური მოწყობილობები სიონის და პალდოს ჰიდროკვანძზე, ხოლო თბილისის წყალსაცავზე, ქალაქის წყალმომარაგების სატუმბი სადგურის დაბალ ნიშნულზე აშენების გამო, შეუძლებელია წყალსაცავის მთლიანად შევსება. ამის გამო ნაწილობრივ წყლის გარეშე რჩება ზემო და ქვემო სამგორის სარწყავი სისტემები.

9 ბალიან სეისმურ დარაიონებაზე გადასვლასთან დაკავშირებით გადასასინჯია კაშხლების საიმედოობა. წყალსაცავების აკვატორიაში და მიმდებარე ტერიტორიებზე დაიწყო მეწყრული პროცესების გააქტიურება. წყალსაცავებში ხშირად თევზს არაორგანიზებულად იჭერენ, რაც ირიგაციული რეჟიმისათვის მიუღებელია.

საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელის თითქმის 95 პროცენტი რეკონსტრუქციას მოითხოვს, რადგანაც მიწების მელიორაციული მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება დაიწყო გარდაბნის, მარნეულის, გურჯაანის, სიღნაღის და დედოფლისწყაროს რაიონებში.

საქართველოში გაწყლოვანებულია 367 ათასი ჰექტარი საძოვარი, რასაც 22 ძირითადი სისტემა ემსახურება. ეს სისტემები აშენებულია 1970-1980 წლებში. მათი უმრავლესობის რეკონსტრუქცია არ მომხდარა, განსაკუთრებით მისახედია ზამთრის საძოვრების სისტემები, რადგანაც მათ გარეშე პირუტყვის ნორმალური გამოზამთრება და მეცხვარეობის განვითარება შეუძლებელია.

— ბატონო თენგიზ, მდგომარეობა მართლაც უმძიმესია. რა ხდება კოლხეთის დაბლობზე?

— კოლხეთის დაბლობი თავისი ბუნებრივ-კლიმატური, ჰიდროლოგიური და ნიადაგური პირობებით ერთ-ერთ ურთულეს სამელიორაციო რეგიონს წარმოადგენს. დაბლობის დაშრობისა და მისი სასოფლო-სამეურნეო ათვისების ეფექტიანობის მიღწევა შეუძლებელია დამშრობი სისტემების მშენებლობა-რეკონსტრუქციის, ნორმალური ექსპლოატაციის, მიწების გაკულტურების და აგროტექნიკური ღონისძიებების კომპლექსურად განხორციელების გარეშე. პრაქტიკამ ცხადყო, რომ ცალ-ცალკე, თუნდაც მაღალი ხარისხით განხორციელებელი ღონისძიებები არავითარ ეფექტს არ იძლევა და 2-3 წლის შემდეგ, დაშრობილი მიწები კვლავ უბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას.

დღეს ვერ ხერხდება სამუშაოების განხორციელება. არხები თითქმის ამოვსებულია დანალექით და შამბნარით, ხოლო დახურული დრენაჟის სისტემები გაბიდნულია და არ ფუნქციონირებს. ნიადაგის გაკულტურების ღონისძიებებიც არ ტარდება. შეწყვეტილია მეცნიერული კვლევის სამუშაოებიც.

კოლხეთის დაბლობის დამშრობი სისტემების სრული რეანიმაცია და ნიადაგის მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესება დიდ ფულად და მატერიალურ რესურსებს მოითხოვს. საქართველოს ხელისუფლება ცდილობს მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები, რაც საშუალებას მოგვცემს მდინარეთაშორისი მასივების მიხედვით ფართო მასშტაბის კომპლექსური პროგრამების განხორციელება დავიწყოთ.

— სად არის გამოსავალი, მელიორაციის დარგი როგორ დააღწევს თავს კრიზისულ მდგომარეობას?

— დეპარტამენტი დარგის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავალს საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 13 იანვრის ბრძანებულებაში ხედავს, რომლის ნიშანდობლივ მხარეს წარმოადგენს ის, რომ იგი მთლიანად მიწათმოსარგებლისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნაზე და დარგის პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული. ეს უთუოდ დადებით შედეგს მოგვცემს.

მელიორაციის დარგის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, პრეზიდენტის ბრძანებულებით, სარაიონთაშორისო და სამეურნეობათაშორისო დანიშნულების წყალსაცავები, მაგისტრალური არხები, სათავე და სხვა რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობები სახელმწიფო საკუთრებაში რჩება და მათი მოვლა-შენახვის დაფინანსება ცენტრალური ბიუჯეტის სახსრებით ხორციელდება, ხოლო ყოფილი კოლმეურნეობების და სახელმწიფო მეურნეობების ბალანსზე არსებული შიდასამეურნეო ქსელების, სატუმბი სადგურების და ნაგებობების მოვლის ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდება ადგილობრივ ბიუჯეტში მიწის გადასახადის თანხებით. ეს იმის საფუძველს იძლევა, რომ გადასახადიდან მიღებული თანხები ისევ მიწების გაუმჯობესებას მოხმარდება.

— საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, 1997 წლის სავეგეტაციო სეზონიდან შემოღებულია მომსახურების ტარიფები. გთხოვთ, ეს საკითხიც განვიმარტოთ.

— 1997 წლის სავეგეტაციო პერიოდიდან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შიდასამეურნეო ქსელებისათვის სარწყავი და გაწყლოვანების სისტემებით მიწოდებული წყლის ერთეულზე და დაშრობილი მიწების საჰექტარო მომსახურების ხარჯების კომპენსაციისათვის შემოღებულია შეღავათიანი, სიმბოლური ტარიფები და იგი სარწყავი და გაწყლოვანების სისტემებით შიდასამეურნეო ქსელში მიწოდებულ ერთ კუბმეტრ წყალზე მხოლოდ 0,004 ლარს შეადგენს, ხოლო დაშრობილი მიწების მაგისტრალური ქსელების მომსახურება ერთ ჰექტარ ფართობზე 2 ლარია.

წყალმიმწოდებელ ორგანიზაციებს და წყალმომხმარებლებს შორის ურთიერთანგარიშსწორება მოხდება საბითუმო ტარიფებით წელიწადში ორჯერ — ფაქტობრივად 1 აგვისტოს და 1 ოქტომბრის მდგომარეობით მიწოდებული წყლის ოდენობის მიხედვით, ხოლო მიღებული შემოსავალი საექსპლოატაციო ღონისძიებების ხარჯების დაფარვას მოხმარდება,როგორც ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების დეფიციტის შევსების წყარო.

არადროული ანგარიშსწორების შემთხვევაში გათვალისწინებულია სანქციებიც. კერძოდ, ტარიფების გამოყენების წესის მიხედვით. სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, არადროული ანგარიშსწორებისას, წყალმიმწოდებელ ორგანიზაციებს უფლება ეძლევათ შეწყვიტონ წყლის მიწოდება.

აქვე ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით სახელმწიფო დანიშნულების სატუმბი სადგურების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დაფარვა ცენტრალური ბიუჯეტის, ხოლო შიდასამეურნეო დანიშნულების სატუმბი სადგურებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებიდან ხდება. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ მიმდინარე წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან ვერ მოხერხდა დაფინანსება, ამიტომ სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სატუმბი სადგურები ვამუშაოთ იმ შემთხვევაში თუ წყალმომხმარებლები ელექტროენერგიის საფასურს გადაიხდიან.

— პრეზიდენტის ბრძანებულება ითვალისწინებს სამელიორაციო მომსახურების კოოპერატივების ჩამოყალიბებას. რამ გამოიწვია მათი შექმნის აუცილებლობა?

— იმისთვის, რომ უზრუნველვყოთ სამელიორაციო ერთიანი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება, მცენარემდე წყლის მიყვანა და დაშრობილი ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება, აუცილებელია უპატრონოდ დარჩენილ შიდასამეურნეო ქსელებს, სატუმბ სადგურებსა და სხვა ნაგებობებს პატრონი გაუჩნდეს.

ამ მიზნით პრეზიდენტის ბრძანებულება ითვალისწინებს სამელიორაციო მომსახურების კოოპერატივების ჩამოყალიბებას, რომლებსაც გამგებლობის უფლებით, ხელშეკრულების საფუძველზე, მათი დანიშნულების შენარჩუნების პირობით, გადაეცემათ შიდასამეურნეო ქსელები, სატუმბი სადგურები და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობანი.

კოოპერატივებს დააფუძნებენ უშუალოდ წყალმომხმარებლები. ისინი მიწათმოსარგებლეთა ინტერესების დამცველები იქნებიან.

კოოპერატივების ძირითადი ფუნქცია გახდება შიდასამეურნეო ქსელების დაცვა და ტექნიკური მომსახურება, სახელმწიფო დანიშნულების სისტემებიდან მიწოდებული წყლის მიღება, აღრიცხვა, მომხმარებელთა შორის რაციონალურად განაწილება, საბითუმო ტარიფებით დადგენილი თანხების ამოღება და წყალმიმწოდებელ ორგანიზაციებთან ანგარიშსწორება.

კოოპერატივების ჩამოყალიბების პროცესი დაწყებულია, მაგრამ ის უნდა დაჩქარდეს. სავეგეტაციო რწყვის სეზონი კარზეა მომდგარი. ამ საქმეში დიდი როლი ეკისრებათ მხარეებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებს და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, მათი მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია სამელიორაციო მომსახურების კოოპერატივების ჩამოყალიბება და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესრულება.

— ბატონო თენგიზ, პრაქტიკულად რა გაკეთდა დარგში რეფორმების განსახორციელებლად?

— სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს დახმარებით მელიორაციის დარგში რეფორმები დაიწყო.

გასულ წელს, სამელიორაციო სისტემების ექსპლოატაციის ღონისძიებებისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები, 1995 წელთან შედარებით 1,16-ჯერ გაიზარდა, ხოლო მიმდინარე წელს 1,75-ჯერ. მართალია, ეს ნორმატულის მხოლოდ 10-12 პროცენტია, მაგრამ ამან საშუალება მოგვცა ზოგიერთ ავარიულ ობიექტზე გარკვეული მოცულობის სარეაბილიტაციო და პროფილაქტიკური სამუშაოები შეგვესრულებინა.

გასულ წელს მოხერხდა ზემო სამგორის სარწყავი სისტემის საცხენისის სწრაფდენზე მეწყრული პროცესებით გამოწვეული ავარიის ლიკვიდაცია, რამაც დაღუპვისაგან გადაარჩინა მოსავალი 20 ათას ჰექტარზე. შედარებით მცირე მასშტაბის ავარიები ავიცილეთ აგრეთვე თეზი-ოკამის, ტირიფონის და საგურამოს მაგისტრალურ არხებზე. აღვადგინეთ თეძამის დიუკერი, ალგეთის წყალსაცავის სარეგულაციო ფარი და სხვა მცირე ნაგებობები. თბილისის წყალსაცავზე გაიწმინდა ზღვის ყელი და წყალგამშვები ნაგებობა, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ზემო სამგორის ქვედა მაგისტრალურ არხში წყლის მიღება. გავწმინდეთ ქვემო ალაზნის მაგისტრალური არხი. ფაქტობრივად, ახალი არხია გაყვანილი ზემო მაჩხაანის მონაკვეთში, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ბოლო წლებში პირველად მივაწოდოთ წყალი დედოფლისწყაროს რაიონის სამთაწყაროს მეურნეობას. მოსახლეობის დახმარებით გაიწმინდა ტირიფონის, დოეს-გრაკალის და სხვა სისტემები. თელეთის მექანიკური მორწყვის ზონაში 900 ჰექტარი მიწა დღეს თვითდინებით ირწყვება.

სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება და წლევანდელი რწყვის სეზონისათვის ალვადგენთ ზილიჩის სარწყავი სისტემის პირველ რიგს დედოფლისწყაროს რაიონში, რაც უზრუნველყოფს 2600 ჰექტარი მიწების მორწყვას. არადა, ეს ფართობი 4 წელია არ მორწყულა და აჭარიდან ჩამოსახლებული მოსახლეობა მძიმე ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს.

— რას იტყოდით მელიორაციის დარგში უცხოურ ინვესტიციებზე?

— მელიორაცია ქვეყნის საინვესტიციო პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ზემდგომი ორგანოები ყველაფერს აკეთებენ დარგის ასაღორძინებლად და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. გასულ წელს ევროგაერთიანების „ტასისის“ პროგრამით გამოგვეყო 2 მილიონი ლარი. გამოცხადდა დახურული ტენდერი, რის საფუძველზეც შეირჩა მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციები, თეთრიწყაროს რაიონის ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის ბოგვისა და ფარცხისის დიუკერების აღდგენითი სამუშაოები შეასრულა სააქციო საზოგადოება კონცერნ „საქგვირაბმშენმა“ (პრეზიდენტი ავთანდილ ჩალაძე), ხოლო შავსაყდრის დიუკერის აღდგენითი სამუშაოები ჰოლდინგურმა კომპანია „საქჰიდროენერგომშენის“ სააქციო საზოგადოება „სპეცჰიდრომშენმა“ (უფროსი რევაზ ავალიანი).

დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა თეზი-ოკამის სარწყავ სისტემაზე. მაგისტრალურ არხზე დაზიანებული გალერეის ადგილას „ჰიდროსპეცგვირაბმშენის“ ფილიალის „ენგურის“ ძალებით (უფროსი სულიკო თელია) გაყვანილია 110 მეტრი სიგრძის შემოსილითი ახალი გვირაბი, ხოლო „საქგვირაბმშენმა“ გაამაგრა სათავე ნაგებობა, რომელიც დანგრევის პირას იყო. დღეისათვის ტბისი-კუმისის და თეზი-ოკამის სარწყავ სისტემებზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დამთავრებულია. ამ ობიექტებმა მეორე სიცოცხლე შეიძინეს.

მალე დამთავრდება მდინარე რიონზე, ქალაქ ფოთთან მოწყობილი ჰიდროკვანძის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც, რომელსაც ასრულებს დეპარტამენტს დაქვემდებარებული კოლხეთის ნაპირდამცავი ნაგებობების ექსპლოატაციის სამმართველო (უფროსი ვახტანგ ლოლუა). ამ ნაგებობის გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული ფოთისა და მიმდებარე ტერიტორიის წყალდიდობისაგან დაცვა.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ მარნეულის რაიონში ალმაშენებლის სარწყავი სისტემის წერეთლის მაგისტრალური არხის სარეაბილიტაციო ღონისძიებებს, რადგანაც, აქ სრულდება არა მარტო ცალკეული ნაგებობების აღდგენითი სამუშაოები, არამედ სისტემის კომპლექსური რეაბილიტაცია დასრულებული ტექნოლოგიური ციკლით — წყლის აღება და გამანაწილებელ და შიდასამეურნეო ქსელში მიწოდება.

პარალელურად მიმდინარეობს სამელიორაციო მომსახურების კოოპერატივების ჩამოყალიბებაც.

ტენდერში გამარჯვებულმა სსგ „წყალმშენის“ (უფროსი იუზა ჩაკვეტაძე) მშენებლობის სამმართველომ, „სამგორწყალმშენმა“ (უფროსი ზ. ერისთავი), შემჭიდროებულ ვადაში შესრულა ნაპირსამაგრი სამუშაოები მდინარე ხრამზე, მათივე ძალებით მაგისტრალური ღია არხის 580 მეტრიან მონაკვეთზე ჩაიდო 1420 მილიმეტრიანი დიამეტრის ლითონის მილები. წერეთლის არხის და გამანაწილებელი ქსელის აღდგენაში მონაწილეობენ აგრეთვე დეპარტამენტის საექსპლოატაციო და სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებსაც არჩილ შარაშიძე, ვასილ სანაძე და კუკური ზაქარიაძე ხელმძღვანელობენ.

წერეთლის მაგისტრალური არხის კომპლექსური სარეაბილიტაციო ღონისძიებების დამთავრების შემდეგ უზრუნველვყოფთ წყლის გარანტირებულ მიწოდებას 1200 ჰექტარზე.

მელიორაციის დარგის სარეაბილიტაციო პროგრამის განსახორციელებლად, მართალია, პირველი ნაბიჯები გადადგმულია, მაგრამ ფინანსური დახმარების გარეშე, სრული რეაბილიტაციის პროგრამის შესრულება გაჭირდება.

დეპარტამენტმა დაამუშავა პირველი რიგის სარეაბილიტაციო ღონისძიებების გეგმა. ესენია: ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის ილტოს დიუკერი, ტამისკარის სისტემის გვირაბი, ტირიფონი-სალთვისის სისტემების სათავე ნაგებობა ცხინვალში, კეხვის და ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემების სათავე ნაგებობები და სხვა.

„ტასისის“ პროგრამის პარალელურად, დარგის სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართულია „ფაოს“ ორგანიზაციაც, რომელიც მასშტაბურ დახმარებას უწევს განვითარებად ქვეყნებს სოფლის მეურნეობისა და მელიორაციის დარგის კრიზისიდან გამოყვანის საქმეში. ამ დღეებში გვესტუმრნენ ამ ორგანიზაციის ექსპერტები, რომლებიც დააფინანსებენ და დაამუშავებენ კონკრეტულ სარეაბილიტაციო პროგრამებს. მისასალმებელია, რომ ამ პროგრამის დამუშავებაში ძირითადად ჩვენი ქვეყნის სპეციალისტები მონაწილეობენ.

— მაშასადამე, არც მთლად უნუგეშოდ ყოფილა საქმე და რეფორმები გაგრძელდება...

— რეფორმები მელიორაციის დარგში აუცილებლად გაგრძელდება, ამისათვის კი საჭიროა საკანონმდებლო ბაზა. სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრომ და ჩვენმა დეპარტამენტმა დაამუშავეს საქართველოს კანონ- პროექტი „მიწების მელიორაციისა და მელიორაციული ფონდის შესახებ“, აგრეთვე „მიწების მელიორაციის განვითარების სახელმწიფო პროგრამა“, რომლებიც შესათანხმებლად დაეგზავნა შესაბამის სამინისტროებს. სათანადო კორექტივების შემდეგ ამ დოკუმენტებს ფართო საზოგადოებრიობა განიხილავს.

აგრარული ეროვნული პოლიტიკის კონცეფციით მიწების მელიორაცია ერთ-ერთ სტრატეგიულ და პრიორიტეტულ მიმართულებად არის წარმოდგენილი. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მელიორაცია სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი და მას ძირითადად სახელმწიფო აფინანსებს. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგანაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის პერსპექტივა სწორედ სარწყავ მიწებზეა გათვლილი.

ეჭვგარეშეა, მელიორაცია საქართველოშიც ამ მიმართულებით განვითარდება.

სპარტაკ ძობულია

საქართველოს ეროვნული ბანკის

განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის და კომერციული ბანკების ერთობლივი ძალისხმევით ქვეყანაში ჩამოყალიბდა სტაბილური ფულად-საკრედიტო ბაზარი. ლარი დღეისათვის წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ვალუტებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მყარ ვალუტას.

კომერციული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელი გარემოს სრულყოფამ საბანკო სისტემა ფაქტობრივად გაწმინდა არარენტაბელური და ნაკლებად საიმედო ბანკებისაგან. სერთიფიკაციის პროცესმა უჩვენა, რომ დღეს ფუნქციონირებადი ბანკების აბსოლუტურ უმრავლესობას შესწევთ სტაბილური და უსაფრთხო ფუნქციონირების უნარი. მართალია ბანკების რიცხვიც შემცირდა, მაგრამ მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი კაპიტალი, აქტივები, ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობა. საქართველოს ბანკებს დღეს შესწევთ უნარი გასწიონ ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურება (ანაბრების მიღება, გადარიცხვების და ფულადი გზავნილების უსწრაფესი განხორციელება საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემის „სვიფტის“ და „ვესტერნ იუნიონის“ მეშვეობით ნებისმიერ ქვეყანაში და ბანკში, აკრედიტივებით მომსახურება, კონვერტაცია და საკონვერსიო ოპერაციები და ასე შემდეგ). შესაბამისად, ბოლო პერიოდში იგრძნობა მოსახლეობის შემობრუნებაც ბანკებისაკენ, რასაც მოწმობს ანაბრების მოცულობის გასამმაგება, გადარიცხვებისა და სხვა საბანკო მომსახურების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა და სხვა.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ნაღდი ფულის ნიშნების დიდი რაოდენობა კვლავ დალექილია მიმოქცევის საბანკო არხების გარეთ, რაც, ერთის მხრივ, ართულებს ფულად-საკრედიტო ბაზრის სტაბილურობის უზრუნველყოფას, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს სხვადასხვა დანაშაულობებისათვის კრიმინალური ელემენტების მხრიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკი ამ განცხადებით მოუწოდებს ქვეყნის მოსახლეობას, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს თამამად ისარგებლონ საბანკო მომსახურეობით, რომელიც გაცილებით უსაფრთხო და მომგებიანია, ვიდრე „მუთაქებში“ ფულის შენახვა ან მისი „ჩემოდნით“ ტარება. მოქმედი ბანკების უმრავლესობას შესწევთ უნარი გაგიწიოთ მრავალმხრივი და ეფექტიანი მომსახურება, ხოლო არსებული საპროცენტო განაკვეთი ანაბრებზე დაიცავს თქვენს შემოსავალს უმნიშვნელო, მაგრამ მაინც გაუფასურებისაგან (ინფლაციისაგან). ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თქვენს ანგარიშზე არსებული თანხების, დანაზოგების და ოპერაციების საიდუმლოება კანონით არის გარანტირებული.

პოლემიკა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 8 აპრილის ნომრის პუბლიკაცია — „თქვენს ნათქვამს მთლიანად ვეთანხმებით“, ძირითადად კვების პროდუქტების სახელმწიფო ლიცენზირებისა და ექსპერტიზის დეპარტამენტს ეხება. მისი ავტორები საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის ხელმძღვანელები არიან.

პუბლიკაციას ჩვენი შეშფოთება არ გამოუწვევია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი საკმაოდ „უბილოა“ და შეიძლება ითქვას, არაპროფესიონალების დაწერილია. მეორეც იმიტომ, რომ ჯანსაღ პოლემიკას (და არა ასეთს) უფრო ველოდით, რადგან ადრინდელთან შედარებით ახალი ლიცენზიის აღება ერთგვარად მართლაც საკმაოდ გართულებულია.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ საქმეში ლიცენზირების დეპარტამენტი ბოლო „სადგურია“ და ჩვენამდე რვა სხვადასხვა გაჩერებაა, მაგრამ ოპონენტებმა ჯოხი მხოლოდ ჩვენ გადაგვატეხეს. მაინც და მაინც ჩვენი შემოსავლები იანგარიშეს. რა თქმა უნდა, სრულიად მცდარად, მაგრამ გული ხომ „მოიფხანეს“ და ეტყობა მათთვის მთავარი მაინც ეს იყო.

„... ვისაც ადრე ურთიერთობა ჰქონია საწარმოებთან, უმალ წამოყვეს თავი (ლაპარაკია ლიცენზირებისა და სერტიფიკაციის წესის მიღებაზე), რათა ამ ნოყიერი ლუკმის რაღაც ნაწილს მაინც გამოჰკრან ხელი. წამოყვეს თავი და შეიმუშავეს ლიცენზირების წესი. ხოლო წესთან ერთად გადასახადები და მოსაკრებლები დააწესეს. მეწარმე წესით განსაზღვრულ ყველა უწყებას რომ მოივლის და ყველგან დადგენილ საფასურს დატოვებს, ბოლოს ყველა ცნობა უნდა მიიტანოს კვების პროდუქტების სახელმწიფო ლიცენზირებისა და ექსპერტიზის დეპარტამენტში. ცნობებთან ერთად მან უნდა მიიტანოს 370 ლარი სხვადასხვა სახეობის (ჯგუფურ ასორტიმენტზე) პროდუქციის ლიცენზიისათვის. საგულისხმოა, რომ — „წესის“ მიხედვით ლიცენზიაზე უარის თქმის შემთხვევაში თანხა უკან არ ბრუნდება. თუ ღმერთი გწამთ, ბატონებო, გვითხარით, სახელმწიფო ლიცენზირების წესთან დაკავშირებით, რა ნოყიერ ლუკმაზე საუბარი, რა დაგესიზმრათ?! ან რა გადასახადებსა და მოსაკრებლებზე ამბობთ? არც მეტი არც ნაკლები, თქვენი „მსჯელობის“ შემდგომ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ორი საკმაოდ პასუხისმგებელი პიროვნება თითქმის უპასუხისმგებლოდ მსჯელობთ იმ საკითხებზე, რომლებსაც არც კი იცნობთ. ამიტომ, იძულებული ვართ, თქვენს ბუნდოვან აზროვნებაში ნათელი შევიტანოთ და განვიმარტოთ:

ლიცენზიის მისაღებად მეწარმემ უნდა გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი (საიდანაც 70 პროცენტი ირიცხება ბიუჯეტში; იურიდიულმა პირმა 30 ლარი, ინდივიდუალურმა მეწარმემ კი 15 ლარი, ლიცენზირებასთან დაკავშირებული მომსახურებისათვის (ტექდოკუმენტაციის განხილვა, ტექნოლოგიური პროცესები, რეჟიმები, მანქანა-დანადგარების გამოცდა-იდენტიფიკაცია, რთული ანალიტიკური ექსპერტიზის ჩატარება, სპეციალისტთა მოწვევა, მივლინებები და სხვა). მეწარმე სუბიექტი იხდის 370 ლარს, ხოლო დღე-ღამეში 200 კილოგრამამდე პურფუნთუშეულის მწარმოებელი — 100 ლარს.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ „წესის“ მიხედვით ლიცენზიაზე უარის თქმის შემთხვევაში თანხა უკან არ ბრუნდება, ეს მხოლოდ პუბლიკაციის ავტორებისთვისაა საგულისხმო, თორემ ეს საქმე, დადებითი თუ უარყოფითი შედეგით, ერთი და იგივე სამუშაოს ჩატარებას და სათანადო ანაზღაურებას რომ მოითხოვს (როგორც ეს პროდუქციის სერთიფიკაციის მაგალითით შეიძლება დავიმოწმოთ), ვფიქრობთ, კომენტარს არ საჭიროებს.

პუბლიკაციის — „თქვენს ნათქვამს მთლიანად ვეთანხმებით“ — ავტორების ფანტაზია მეტად შორს მიდის, როდესაც კვების პროდუქტების სახელმწიფო ლიცენზირებისა და ექსპერტიზის დეპარტამენტის შემოსავლებს მართლაც და ფანტასტიკური ციფრით განსაზღვრავენ. ასევე ხელაღებით ამტკიცებენ, რომ ლიცენზირება დეპარტამენტის ინტერესებიდან გამომდინარეობს და მისი თანამშრომლების შრომის ასანაზღაურებლად და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვისაა მოგონილი. მათ არ იციან ან არ უნდათ იცოდნენ, რომ უხარისხო კვების პროდუქტების წარმოება და ფალსიფიცირება კვლავ ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა.

1996-97 წლებში კვების პროდუქტების სახელმწიფო ლიცენზირებისა და ექსპერტიზის დეპარტამენტის საგამოცდო ლაბორატორიაში შემოწმდა საქართველოში წარმოებული ან უცხოეთიდან შემოტანილი სხვადასხვა დასახელების კვების პროდუქტების 106 ნიმუში, რომელთა ანალიტიკური ექსპერტიზა 2000-მდე მაჩვენებლის (ფიზიკურ-ქიმიური, ორგანოლეპტიკური, მიკრობიოლოგიური, ქრომატოგრაფიული, ტოქსიკოლოგიური და სხვა) მიხედვით მოეწყო. მათგან 89 ნიმუში ანუ 84 პროცენტი პროდუქციისადმი ხარისხობრივ მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა, ხოლო 57 ანუ 64 პროცენტი დიდი რაოდენობით (ნორმაზე 100-500-ჯერ მეტი) შეიცავდა ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიშ ნივთიერებებს: მეთანოლს, ბუთანოლ-2, ხელოვნურ (ქიმიურ) საღებავებს, მაქრის შემცველ ანუ არამაქროვან (სინთეთიკურ) ნაერთებს — დამატკბობლებს, ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიებს და სხვა მავნე მიკროორგანიზმებს.

ფაქტობრივად ყოველი 10 ნიმუშიდან 8 უხარისხო აღმოჩნდა, ექვსი კი ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე. მათ შორის: თურქული წარმოების კარაქი, ტომატ-პასტა და კიტრის მწნილი, რუსული წარმოების კარაქი და არაყი „სტოლიჩნაია“, ჰოლანდიური წარმოების კარაქი, ამერიკული წარმოების რძის ფხვნილი და სხვა.

წლეულს მარტის ჩათვლით ლიცენზიის მისაღებად დეპარტამენტს 292 მეწარმე სუბიექტმა მიმართა: მათგან ლიცენზირების წესით განსაზღვრული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია და სათანადო ცნობები მხოლოდ 114-მა წარმოადგინა, აქედან ადგილზე შემოწმებისა და ანალიტიკური ექსპერტიზის შედეგების მიხედვით გაიცა 66 ლიცენზია (39— პურფუნთუშეულის, 3 — რძის პროდუქტების, 10 — ხორცის ნაწარმის, 7 — უალკოჰოლო სასმელების, 1 — მარცვლეულის გადამუშავების პროდუქციის (ხორბლის ფქვილი), ერთი თხილის ნაწარმის, 5 საკონდიტრო ნაწარმის წარმოებაზე.

ჩვენი ოპონენტები „ამტკიცებენ“, რომ შრომა თავისუფალიაო... და საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველ პუნქტს იშველიებენ. ეჰ, რომ იცოდეთ, რა სამწუხაროა, რომ ეს მუხლი ბოლომდე არ წაგიკითხავთ, თორემ ამავე მუხლის მეორე პუნქტის ბოლო წინადადება ყურადღებით, რომ წაგეკითხათ, ასეთ დასკვნას არ გააკეთებდით. იქ ხომ გარკვევით წერია, რომ — მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

თქვენ, ჩემო ბატონებო, ასევე ახსენებთ კანონს „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, რომელიც თუ მთლიანად ვერ ამოქმედდა, ისევ თქვენნაირი გულშემატკივრების გამო, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების დისკრედიტაციისათვის.

ისე, რომ კვების პროდუქტების სასაქონლო წარმოების სახელმწიფო ლიცენზირება საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 29 აგვისტოს № 5-68 ბრძანებულების თანახმად, მომხმარებელთა უხარისხო, ჯანმრთელობისათვის მავნე, ფალსიფიცირებული კვების პროდუქტების მიწოდებისაგან დაცვის, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის, ჯანსაღი მეწარმეობის განვითარებისა და ეკონომიკის აღორძინებისათვის ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება. თქვენთვის კი რატომღაც მიუღებელია(?!).

ის მეპურე, რომელსაც არ ესმის, რომ „პური მეპურემ უნდა გამოაცხოს“ და მიაჩნია, რომ პედაგოგსა და ექიმს შეუძლია ნამცხვრისა და ძეხვის დამზადება, არა საოჯახო მოხმარებისათვის, არამედ სასაქონლო წარმოებისათვის, უკაცრავად, მაგრამ იგი ჯანსაღი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარების მომხრე არ არის.

ლიცენზირებისა და ექსპერტიზის დეპარტამენტი კი გარანტიას იძლევა, რომ არასპეციალისტი, ვისაც მიაჩნია, რომ არ არის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მანქანა-დანადგარების, ნედლეულისა და დამხმარე მასალებისათვის სასაწყობო მეურნეობა, ტექნოლოგიური ინსტრუქციები და ვერ გაუგია, თუ რა იგულისხმება სახელმწიფო ლიცენზირების ორგანოს მიერ ტექნოლოგიური პროცესებისა და რეჟიმების, მანქანა-დანადგარების, პროდუქციის ან პროდუქციის საცდელი პარტიის იდენტიფიკაციით, რაღა თქმა უნდა, ღმერთის ნათლული რომ იყოს, ლიცენზიას მაინც ვერ მიიღებს.

კაცია და გუნება

პუბლიკაციის ავტორთა წუხილს იმის თაობაზე, რომ მეწარმეს სახელმწიფო ჩინოვნიკმა უნდა გადაუწყვიტოს, შეძლებს თუ არა იგი პროდუქციის წარმოებას, საფუძველს მოკლებულია, რადგან კვების პროდუქტების სახელმწიფო ლიცენზირებისა და ექსპერტიზის დეპარტამენტი, მისი რეგიონული სამსახურები დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით: დარგის ტექნოლოგებით, სტანდარტიზატორებით, მეტროლოგებითა და ქიმიკოს-ანალიტიკოსებით. ამასთან, მისი ლაბორატორიული ბაზა შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, რაც უცხოელ ექსპერტებს არაერთგზის დაუდასტურებიათ. ესე იგი მეწარმის ბედს, ჩინოვნიკი კი არა, საკმაოდ კომპეტენტური სპეციალისტები წყვეტენ...

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ლიცენზირების მოქმედი წესი გართულებულია და ის უნდა გამარტივდეს, ამის თაობაზე ჩვენ განვაცხადეთ, პრესით, ტელევიზიით და რადიოთი გამოვთქვით ჩვენი აზრი. ვფიქრობთ, ეს საკითხი უნდა განიხილონ მხოლოდ სპეციალისტებმა და არა ისეთმა არაკომპეტენტური განცხადებების ავტორებმა, რომლებიც იძულებულს გვხდიან პასუხი გავცეთ და ახსნა-განმარტებითი საუბრები ჩავუტაროთ...

და ბოლოს, პუბლიკაციის ერთ-ერთი ავტორის, ბატონ ლევან ჯიბუტის გასაგონად ვიტყვით.

დიდად პატივცემულო ოპონენტო, თქვენ ხომ ჯერ კიდევ ლიცენზირების პროექტს გაეცანით? ხომ შეგეძლოთ მის დამტკიცებამდე გამოგეთქვათ თქვენი აზრი და დაგეცვათ თქვენი მოსაზრებები? მაგრამ მაშინ რატომღაც არ მოისურვეთ. რა გაეწყობა, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, — „კაცია და გუნება“.

თეიმურაზ ჭელიძე,
კვების პროდუქტების სახელმწიფო ლიცენზირებისა და ექსპერტიზის დეპარტამენტის თავმჯდომარე.

მოვლენის კვალზე

გაერო საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვაზე მსჯელობს

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. I გვ.

— ეს იყო საოცრად კეთილი განწყობის, ღია საზოგადოების მშენებლობის პროცესში ჩვენს ქვეყანაში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად უანგარო დახმარებისათვის მზადყოფნის დემონსტრირება.

იმის თქმაც საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის ავტორიტეტი ამ საერთაშორისო სტრუქტურაში უაღრესად მაღალია. არ დამავიწყდება ბატონების თომას ბურგენტალის (საერთაშორისო სამართლის ცნობილი სპეციალისტია) და ერკარტ კლეინის (გერმანია) გამოსვლები, რომლებმაც აღნიშნეს მსოფლიოს წინაშე საქართველოს პრეზიდენტის უდიდესი დამსახურება და გამოთქვეს რწმენა, რომ ეს დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ვისი წვლილიც ტოტალიტარული სისტემის მსხვრევაში უდავოა, თავის ქვეყანას, საქართველოს გადააქცევს ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიისა და თავისუფლების ოაზისად, და ამაში ღრმად არიან დარწმუნებული.

და არა მარტო ისინი.

— ეს კეთილი განწყობილება ხელს ხომ არ უშლიდა კომიტეტს ობიექტურ განხილვასა და შეფასებაში?

— არა. ეს იყო უაღრესად პრინციპული განხილვა, ობიექტური, იმ დარღვევების სამართლიანი შეფასებით, რომელთაც, გვსურდა თუ არა, უნდა დავთანხმებოდით.

— რა საკითხები განიხილებოდა? კონკრეტულად, თუ შეიძლება. და კიდევ — როგორი წინასწარი ინფორმაცია გააჩნდათ მათ ჩვენთან მიმდინარე პროცესებზე? რა ედო საფუძვლად მათ შეკითხვებს?

— ჯერ ერთი, სახელმწიფოს მიერ წარდგენილი მოხსენება, რომელიც შეიცავდა მრავალ საკითხს ადამიანის უფლებათა დასაცავად განხორციელებული, თუ განსახორციელებელი საქმიანობის, ასევე, იმ ნეგატიური პროცესების თაობაზე, რომლებიც გვახასიათებდა და გვახასიათებს.

ისიც უნდა გითხრათ, რომ ისინი საკმაოდ ინფორმირებული არიან. იქ ვნახე ჩვენს გაზეთებში ადამიანთა უფლებების დაცვის თემატიკაზე გამოქვეყნებული მასალების ქსეროასლები. სრულყოფილია თუ არა ეს ინფორმაცია, ეს სხვა საკითხია. ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ მათს ინფორმირებულობაზე.

იქ, დარბაზში ვნახე არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, მაგალითად, „ემინისტ ინტერნეიშნლიდან". კომიტეტისათვის წარდგენილ მათს მოხსენებებში, ავტორებს არ დაუმალავთ, ხშირად მოცემული იყო დაინტერესებულ მხარეთა მიერ მიწოდებული, შემოწმებული, ან შეუმოწმებელი მასალები, და ითხოვდნენ კიდეც მათს ხელახალ შემოწმებას. ამ მოხსენებათა ინგლისური, რუსული და ქართული ასლები მეც მომცეს. ეს რაც შეეხება კომიტეტის წევრთა ინფორმირებულობას.

— ესე იგი, შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ზოგიერთი კონკრეტული საქმე, რომლის გარშემო დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი აქ, ჩვენთან, იქაც გარჩევის საგანი გახდა?

— აქ გარკვევაა საჭირო. გაეროს ამ კომიტეტის სხდომებზე ასეთი კონკრეტული საკითხები არ განიხილება, რადგან არ არის იგი რაღაც საკასაციო ზეინსტანციის მაგვარი სტრუქტურა, სადაც ამა თუ იმ საქმეზე გამოტანილ განაჩენს გააუქმებენ.

აქ განიხილებოდა ადამიანის უფლებების დაცვის მთელი სპექტრი ზემოთ ნახსენები პაქტისა და შესაბამისი ფაკულტეტური ოქმების მოთხოვნათა მიხედვით. ეს შეეხებოდა ასოციაციების თავისუფლებას, ბავშვთა და ქალთა შრომას, მიმდინარე სამართლებრივ რეფორმას, გამოძიებისა და სასამართლო პროცედურას, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას, დანაშაულში მხილებულ ეჭვმიტანილთა დაკავებისა და დაპატიმრების პროცედურას, თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებებს, დაკავებულებისადმი უკანონო ზემოქმედების შესახებ მიღებული ინფორმაციების ანალიზს, რეაგირებისა და მათ აღმოსაფხვრელად განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტიანობას, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას და სხვა.

კონკრეტული საქმე არ განხილულა, თუმცა, ეგრეთწოდებული, პოლიტპატიმრების საკითხზე სერიოზული და მწვავე მსჯელობა გაიმართა. ხაზს ვუსვამ, – საკითხზე, პრობლემაზე და არა ცალკეულ საქმეებზე.

— დაინტერესდა თუ არა კომიტეტი ადამიანთა უფლებათა დაცვის პრობლემებით აფხაზეთის კონფლიქტის ჭრილში?

— დიახ, საფუძვლიანად დაინტერესდა და სერიოზული მსჯელობაც გაიმართა.

ბატონმა ლევან ალექსიძემ ვრცლად მოახსენა ადამიანის უფლებათა დარღვევის იმ გაუგონარ მასშტაბებზე, რაც აფხაზეთის რეგიონში ხდებოდა და ახლაც ხდება.

ფაქტმა, რომ აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა განდევნილია საკუთარი საცხოვრისიდან და ამის გამო მოკლებულია ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს, კომიტეტის წევრების შეშფოთება და გულისტკივილი გამოიწვია. ეს აისახა კიდეც მიღებულ დოკუმენტში. ისიც უნდა გითხრათ, რომ ამ კონფლიქტის დაწყების გარემოებათა შესახებ კომიტეტს მეორე მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაციაც ჰქონდა.

მას შემდეგ, რაც ბატონმა ლევანმა და შემდეგ მე, ფაქტებზე დაყრდნობით გავაცანით ის კატასტროფული მდგომარეობა, რომელიც წინ უძღოდა სახელმწიფო საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებას რკინიგზისა და სხვა სატრანსპორტო კომუნიკაციების დაცვის შესახებ, ვაცნობეთ, რომ 1.200-ზე მეტი ბანდიტური თავდასხმა იყო ჩადენილი, რომ ათეულობით ხიდი და საკომუნიკაციო ნაგებობა ააფეთქეს, რომ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიაზე აგრესიული სეპარატიზმის აწ გარდაცვლილმა ერთ-ერთმა იდეოლოგმა ვორონოვმა დაუფარავად განაცხადა, რომ ამ ქმედებათა მთავარი მიზანია აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის, მათ შორის, ბავშვებისა და მოხუცების შიმშილით ამოწყვეტა, ამას, რასაკვირველია, შესაბამისი რეზონანსი მოჰყვა და აისახა დოკუმენტში. დაფიქსირდა ისიც, რომ რადგან საქართველოს ხელისუფლება მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს თავისი იურისდიქცია მისი ქვეყნის განუყოფელ ნაწილზე, მას უდიდესი სიძნელეები ექმნება ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით.

— ის, რაც თქვენ ახლა თქვით, მოხსენებაში არ ეწერა?

— ეწერა, მაგრამ განხილვის პროცესმა უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო, არც ამას ველოდით, არც ასეთ მხარდაჭერას.

ზოგიერთის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს იქ რაიმე დავმალეთ, არ ვთქვით და ცუდად შეგვხვდნენ, სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს.

გაეროს შტაბბინის იმ დარბაზში, სადაც საკითხი განიხილებოდა, დიდი ხალხმრავლობა იყო: არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჟურნალისტები. მოვიდა გაეროში ჩვენი წარმომადგენლობის უკლებლივ ყველა თანამშრომელი ბატონ პეტრე ჩხეიძის მეთაურობით (მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა ვუთხრა ყველა მათგანს დღედაღამ თავდადებული მუშაობისათვის – ბატონებს პეტრე ჩხეიძეს, ზაზა ალექსიძეს, გია ვოლსკის, დავით აფციაურს, ლევან ლოლობერიძეს, გორდა სანიკიძეს).

ფინალში ჩვეულებრივ დამშვიდობების ნაცვლად, მცირე შესვენების შემდეგ სპეციალურ სხდომაზე კომიტეტის ყველა წევრმა საჭიროდ მიიჩნია სათითაოდ გამოეხატა ჩვენდამი თანადგომა.

ასე რომ, ინფორმაცია, თითქოს კომიტეტმა რაღაც ნეგატიური დამოკიდებულება გამოიჩინა, სიცრუეა.

— იმ სიტუაციაში, როდესაც, როგორც თქვენ თქვით, კომიტეტის წევრებს ქართული გაზეთებიდან ამონაჭრებიც კი ჰქონდათ, მაშასადამე, მდიდარ ინფორმაციას ფლობდნენ ჩვენს შესახებ, პატივისცემის ასეთი გამოხატულება განსაკუთრებით ბევრს უნდა ნიშნავდეს.

— რასაკვირველია. ჩვენ არაფერი დაგვიმალავს. ისიც კი განვაცხადე, რომ უახლოეს წარსულში ჩვენს ქვეყანაში ირღვეოდა არა მარტო ცალკეული პირების უფლებები, არამედ ტოტალურად ირღვეოდა მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები: ბანდიტთა თარეში, პოლიციის განყოფილებებზე თავდასხმები იარაღის გატაცებისა და დამნაშავეთა გათავისუფლების მიზნით და სხვა და სხვა; შებინდების შემდეგ ვეღარავინ გამოდიოდა სახლიდან და სამართალდამცავი ორგანოები პროსტრაციულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ისიც აღვნიშნე, რომ ადამიანის თავისუფლებათა დაცვას პოლიციის 500-ზე მეტი მუშაკის სიცოცხლე შეეწირა. ამის გაგება შემაძრწუნებელი იყო მათთვის. არ დაგვიმალავს დაკავებისას ფიზიკური და მორალური, სხვა არამართლზომიერი ზემოქმედების შემთხვევები, ხაზი გავუსვით, რომ ამ უმსგავსობათა აღმოსაფხვრელად სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობა ყოველთვის როდია სათანადოდ ეფექტიანი, პრინციპული და სამართლიანი.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო ლევან ალექსიძის ინფორმაციის ის ნაწილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ქვეყნის პრეზიდენტი, როგორც წესი, სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობის, ექვსი თვისა და წლის შედეგების მიხედვით იხილავს ადამიანის უფლებათა და ქვეყანაში მართლწესრიგის დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიების საკითხს და მასზე დაყრდნობით გამოსცემს სპეციალურ ბრძანებულებას. ამ ფაქტს კომიტეტის წევრები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

— მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი მეთოდია ჩვენი ქვეყნის მართვის პრაქტიკაში?..

— ჩვენთვის ჩვეულებრივია, მაგრამ ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა დაცვისა და გარანტირების საერთაშორისო პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი მომენტია, ამიტომაც მიაქციეს ყურადღება და მოიწონეს.

— ჩვენ კი ამას სათანადოდ ვერ ვაფასებთ, გინდათ თქვათ?

— დიახ. მე პასუხს ვაგებ ყოველი ჩემი სიტყვისათვის, რადგან ამ ინტერვიუს, გარდა იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები წაიკითხავენ, იგი ხელმისაწვდომი გახდება კომიტეტისათვის, ამიტომ ნებისმიერი უზუსტობა გამორიცხულია: იყო ისე, როგორც ვამბობ.

კომიტეტის წევრების საერთო აზრი იყო, რომ სტაბილიზაციის პერიოდი საქართველოში მალე დაიწყო. დოქტორმა ნისუკე ანდომ იაპონიიდან, ბატონმა ომრან ელ მაფეიმ ეგვიპტიდან და სხვებმა დარბაზის გასაგონად განაცხადეს: ვის შეუძლია დაასახელოს მსგავსი მაგალითი, რომ ქვეყანამ, რომელმაც ოთხი ომი გადაიტანა სამი წლის განმავლობაში, ორ ეთნიკურ ნიადაგზე (როგორც ამბობენ) და ორი სამოქალაქო, ასე მოკლე დროში მიაღწია სტაბილიზაციის პროცესის დაწყებას! ეს მიღწევა ყველამ ქვეყნის პრეზიდენტის უდიდესი გამოცდილებითა და სიბრძნით ახსნა.

არავის მოუთხოვია, რომ დღესვე მოვერგოთ სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის იმ სტანდარტებს, რომლებიც ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. კარგად იციან, რომ ამას დრო, სათანადო სამართლებრივი და მატერიალური ბაზა, ზნეობრივი და კვალიფიციური კადრები და, რაც მთავარია, მშვიდობა სჭირდება.

ძირითადი აქცენტი გააკეთეს ადამიანის უფლებების დაცვაზე.

იხ. მე-8 გვ.

საქართველო და გარე სამყარო

წარმატებული საგარეო პოლიტიკა არ გამორიცხავს ანალიტიკური კვლევის აუცილებლობას

(დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" 115, 116, 117).

ბუნებრივია, რომ ევროპიდან რუსეთის თავაზიანი გამოდევნის პროცესი შეუქცევად ხასიათს მიიღებს ნატოს გაფართოების კონტექსტში. სიტუაციას დრამატიზმს მატებს თვითონ რუსეთის საშინაო მდგომარეობა, რის ფონზეც მეორადი (ან სულაც ეფემერული) მნიშვნელობა ენიჭება გარედან გამომდინარე ნებისმიერ საფრთხეს. საქმე ის გახლავთ, რომ დღევანდელ რუსეთს არც სამხედრო და არც ეკონომიკური (რაც მთავარია) პოტენციალი არ ჰყოფნის რათა შესაფერისი (როგორც ეს მოსკოვში წარმოუდგენიათ) ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოში, ევროპასა თუ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. რაც შეეხება ლირიულ-პატრიოტულ სენტენციებს, რომ რუსეთი ბევრჯერ ყოფილა ამაზე უარეს დღეში, მაგრამ მუდამ წამომდგარა ფეხზე, დღეს სულ სხვა რეალობაა. ვინც ერთხელ ჩამორჩა საუკუნის მატარებელს, ვეღარასოდეს დაეწევა, ასე იოლად არ მოხდება გავლენის სფეროების გადანაწილება 21-ე საუკუნეში.

რუსეთის ოფიციალურ პირთა უამრავი განცხადება და მასობრივ ინფორმაციათა საშუალებები (ძირითადად პრესა და თეორიული ჟურნალები) სავსეა პირდაპირი თუ არაპირდაპირი მინიშნებებით იმის თობაზე, რომ რუსეთს უევროპოდაც (უდასავლეთოდ) მშვენივრად შეუძლია იარსებოს, როგორც ძლიერმა და გავლენიანმა სახელმწიფომ. ამისათვის მას ისეთი პერსპექტიული რეზერვი გააჩნია, როგორიც არის აღმოსავლეთი. პოლიტიკოსთა და პოლიტოლოგთა ღრმა რწმენით, „აღმოსავლური მიმართულების" გაძლიერება სავსებით საკმარისი იქნება დასავლეთში შესუსტებული პოზიციების საკომპენსაციოდ და თუ ვინმე წააგებს ასეთი „პირის ბრუნებით", მხოლოდ დასავლეთი. ჯერ ალბათ, ნაადრევია ამგვარ „სიახლის" უკვე მომხდარ ფაქტად აღიარება, მაგრამ აღნიშნული მიმართულებით გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები უკვე არის. გაუთვლელი დამთხვევა არ უნდა ყოფილიყო ინდოეთის პრემიერის და ჩინეთის ვიცე-პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი მოსკოვში უშუალოდ ჰელსინკის შეხვედრის შემდგომ დღეებში, ხოლო აპრილის დამდეგს კი თვით ციან ძემინის ხანგრძლივი ვიზიტი მოსკოვში.

ნორმალურ პირობებში რუსეთს თავისუფლად შეეძლო „დასავლურ" და „აღმოსავლურ" მიმართულებათა ერთდროული გააქტიურება ისე, რომ დასავლეთთანაც და აღმოსავლეთთანაც მშვიდი ურთიერთობები ჰქონოდა. მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის აღმოსავლური ვექტორის გაძლიერება, პრინციპშივე გამორიცხავს დასავლეთთან არათუ სტრატეგიულ, არამედ უკომპლექსო ურთიერთობებსაც კი (დასავლეთში, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს ვგულისხმობ). იგივე ინდოეთ-რუსეთის ურთიერთობა თუმცა საფუძველშივე გამორიცხავს ნებისმიერი ფორმის სამხედრო კავშირს (ინდოეთი ერთგულია თავის პირველი პრემიერის მიერ ფორმულირებული მიუმხრობლობის მოძრაობის), მაგრამ დასავლეთი ეჭვითა და უნდობლობით ადევნებს თვალს ორი სახელმწიფოს თანამშრომლობას ბირთვულ სფეროში. მოსკოვში ვიზიტის დროსაც, დევეგოუდამ მტკიცე გარანტიები მიიღო, რომ რუსეთი მიაწვდის ბირთვულ რეაქტორებს კუდან კულამეს ატომური ელექტროსადგურებისათვის. ამას დაუმატეთ შარშან დადებული ხელშეკრულება, რის საფუძველზეც მოსკოვი დელის, უახლესი თაობის 30 ავიაგამანადგურებელს მიაწვდის, და იოლი გასაგებია, თუ რატომ არ არის აღფრთოვანებული ვაშინგტონი რუსეთ-ინდოეთის თანამშრომლობით.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ვიზიტის შედეგებმა. სწორი იყო რუსეთის პრეზიდენტი, როდესაც ერთობლივ დეკლარაციასთან დაკავშირებით სიამაყით განაცხადა, „ასეთი დოკუმენტი არც ერთ სახელმწიფოსთან არ გაგვიფორმებიაო". დეკლარაციის საკვანძო მომენტი კი ის გახლავთ, რომ ორმა სახელმწიფომ ყველას გასაგონად უარყო აშშ-ის, როგორც ერთადერთი ზესახელმწიფოს და მსოფლიოს ლიდერის როლი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს, არც მეტი, არც ნაკლები, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოში შექმნილი რეალობის აშკარა იგნორირებაა. ძნელად თუ ვისმეს ეპარება დღეს ეჭვი ერთპოლუსიანი მსოფლიოსა და ერთი ზესახელმწიფოს არსებობაში. მართალია, ვაშინგტონში საჭიროდ არ ჩათვალეს რაიმე ფორმით რეაგირება, მაგრამ საეჭვოა, რომ პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაციამ რაიმე კორექტივები შეიტანოს თავის საგარეო-პოლიტიკურ კურსში მოსკოვის „მრავალპოლუსიანი დეკლარაციის" კონტექსტში. მსოფლიოში ძალთა თანაფარდობას, ისევე როგორც პოლუსების რაოდენობას, სახელმწიფოთა ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი განსაზღვრავს და არა დეკლარაციები, რომელთა უმრავლესობაც, როგორც წესი, ქაღალდზე რჩება.

რასაკვირველია, შეცდომა იქნებოდა მოსკოვ-პეკინის მორიგი რომანის მნიშვნელობისა და, საერთოდ, აღმოსავლეთისაკენ რუსეთის შემობრუნების შეუფასებლობა (მათ შორის საქართველოსათვის), მაგრამ 40-იანი და 50-იანი წლებისაგან განსხვავებით, დღეს ჩინეთის წინაშე სხვა ამოცანები დგას. იარაღზე მეტად ქვეყანას უცხოური ინვესტიციები სჭირდება გრანდიოზული მასშტაბების პროექტთა განსახორციელებლად და რეფორმების დასამთავრებლად, ურომლისოდაც ვერანაირი დეკლარაცია ვერ აქცევს ჩინეთს მომავალი საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ. ამ ამოცანის განხორციელებაში კი მოსკოვის იმედად ყოფნა არ შეიძლება. მხოლოდ უახლოეს 20 წელიწადში ჩინეთს მარტო შიდა რეისებისათვის 2100 სხვადასხვა კლასის სამოქალაქო თვითმფრინავი დასჭირდება. ეს 120 მილიარდი დოლარია, რომელიც ნამდვილად არ წავა რუსეთში. რუსეთთან ვერანაირი სტრატეგიული კავშირი ვერ მისცემს ჩინეთს (რისი მიცემაც შეეძლო საბჭოთა კავშირს, ის უკვე 50-იან წლებში მისცა) ათეულ მილიარდიან ინვესტიციებს, „ბოინგებს", გამომთვლელ მანქანებს, უახლესი თაობის კომპიუტერებს, უახლეს ტექნოლოგიას.

ჰელსინკის სამიტის დღეებში ვიცე-პრეზიდენტი გორი ჩინეთში იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით, რომლის დროსაც 22 მილიარდი დოლარის ღირებულების კონტრაქტებს მოაწერა ხელი. ასეთი ციფრები ფანტაზიაა რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობებისათვის. მოსკოვიდან ვაშინგტონისაკენ აიღო კურსი ციან ძემინმა. ძნელი სავარაუდო არ არის, რომ ჩინეთის ხელმძღვანელი შეეცდებოდა დაერწმუნებინა აშშ-ს ადმინისტრაცია, რომ „მრავალპოლუსიანი" დეკლარაცია ვაშინგტონის წინააღმდეგ არ არის მიმართული და აშშ კვლავაც რჩება ჩინეთის მთავარ ეკონომიკურ პარტნიორად.

ისევე, როგორც ინდოეთთან და ჩინეთთან, ერაყთან და ირანთან ურთიერთობათა გააქტიურებაც უნდა განვიხილოთ, როგორც რუსეთის „პასუხი" ნატოს გაფართოებაზე. მარტის დამლევს მოსკოვისათვის აშკარად ხელსაყრელი კონტრაქტები გაფორმდა ერაყის ნავთობის კომპანიებთან. კერძოდ, რუსეთის კომპანიათა კონსორციუმმა ერაყის ცნობილი ნავთობსაბადო „დასავლეთ კურნა-2"-ის დამუშავების უფლება მიიღო. საინტერესოა, რომ რუსეთის პრესის ვერსიით, ხსენებულ საბადოზე დასავლეთის კომპანიებსაც ეჭირათ თვალი. მაგრამ არჩევანი ერაყის ხელმძღვანელობასა და რუსეთს შორის არსებულმა მეგობრულმა ურთიერთობებმა გადაწყვიტა. არანაკლებ აქტიური და აშკარად დემონსტრაციული ხასიათი მიიღო რუსეთის ურთიერთობამ ირანთან. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, პრაქტიკულად რუსეთი იყო ერთადერთი ევროპული სახელმწიფო, რომელმაც არანაირი რეაგირება არ მოახდინა ბერლინის სასამართლოს ცნობილ ანტიირანულ განაჩენზე.

მიუხედავად ყოველივე ზემოხსენებულისა, ჯერ ნაადრევად მეჩვენება საბოლოო დასკვნების გამოტანა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ პრიორიტეტთა ცვლაზე, როგორც მომხდარ ფაქტზე, მსჯელობა. ყოველი ცვლილება დიდ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში, კონცეპტუალური საფუძვლების „რეფორმებზე" რომ აღარაფერი ვთქვათ, იმდენად სერიოზული და თავისი შედეგებით შორსწარმავალი მოვლენაა, რომ მას, უმეტეს შემთხვევაში, საერთაშორისო ურთიერთობათა მკვეთრი გაუარესება მოსდევს. რამდენად არის დღევანდელი რუსეთი მზად ამისათვის და რამდენად აძლევს ხელს ეს მის ხელმძღვანელობას? ძნელი სავარაუდოა, თითქოს უკანასკნელი პერიოდის მოვლენათა (ნატოს გაფართოება და სხვ.) მშვიდი და სერიოზული ანალიზის საფუძველზე, მოსკოვი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მის ინტერესს შეესაბამება საბჭოთა კავშირის ტრადიციულ აღმოსავლელ მოკავშირეებთან ურთიერთობის აღდგენა და ერთიანი ძალით დასავლეთთან დაპირისპირება (ბუნებრივია, ისეთი დოზებით, რომ გამორიცხული იყოს სამხედრო კონფლიქტი). ისე კი, საფუძვლიანი და მეცნიერული დასაბუთება სჭირდება თუნდაც ჩინეთთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე რუსეთის ხელისუფლების კურსის ოპტიმალურობას. რამდენადაც ვიცი, არც რუსეთში და არც ჩინეთში, არავის უარყვია დასაბუთებულად ამერიკელ პოლიტოლოგთა მიერ შემუშავებული თეორია საბჭოთა კავშირ-ჩინეთის გეოპოლიტიკური შეუთავსებლობის შესახებ. მართალია, ეს თეორია (კონცეფციის სახით) საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობათა გამწვავების პერიოდში შეიქმნა, მაგრამ მისი საბაზისო მონაცემები დიდად არ შეცვლილა. ჩინეთის ხელმძღვანელობა რომ საერთოდ არ გამორიცხავს რუსეთის ტერიტორიიდან მოსალოდნელ საფრთხეს, ამაზე შარშან შიდა მონღოლეთის ავტონომიურ რაიონში ჩატარებული ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლებაც მეტყველებს, რომლის მთავარი მიზანი რუსეთის მხრიდან აგრესიის ნეიტრალიზებისათვის მზადება იყო. ერთი რამ ცხადია: ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთის ხელისუფლების აქტიური ძალისხმევა ალტერნატიულ საგარეო-პოლიტიკურ ვექტორთა ძებნის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ არ ნიშნავს რუს „ატლანტისტთა" (დასავლეთთან ინტეგრაციის მომხრე პოლიტიკოსთა) საბოლოო დამარცხებას. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დღეს რუსეთს ჰყავს 1991 წლის შემდეგ ყველაზე პროდასავლური მთავრობა.

არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ აღმოსავლეთისაკენ რუსეთს უბიძგებს არა მხოლოდ ნატოს გაფართოება, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში დღეს იმდენად ძლიერია ანტირუსული განწყობილება, რომ მოსკოვს ნატოს გარეშეც არავითარი შანსი არა აქვს კვლავ აღიდგინოს თავისი გავლენა ამ რეგიონში. ცნობილი პოლონელი დისიდენტისა და დღეს ავტორიტეტული საზოგადო მოღვაწის ადამ მიხნიკის აზრით, რუსეთში დიდად არ შეცვლილა პოლონეთისადმი დამოკიდებულება 1867 წლის შემდეგ, როდესაც მოსკოვში მიმდინარე პანსლავისტური ყრილობის დელეგატები ამტკიცებდნენ, რომ „რუსეთში არ არსებობს პოლონეთის სიძულვილი, მაგრამ არსებობს და უნდა იარსებოს სიძულვილმა პოლონეთის სახელმწიფოებრიობის იდეის მიმართო". შეიძლება მართლაც არავითარი საფუძველი არ გააჩნდა პოლონეთის სპეცსამსახურთა მინისტრ-კოორდინატორ სემენტკოვსკის, წლეულს თებერვალში გაკეთებული სენსაციური განცხადებისათვის, უახლოეს ხანში ფართომასშტაბიანი პროვოკაციებია მოსალოდნელი რუსეთის მხრიდანო, მაგრამ პოლონელთა უმრავლესობამ დაიჯერა (როგორც საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრები იუწყებოდა), რომ რუსეთისაგან ყველაფერია მოსალოდნელი ნატოში გაწევრიანების საპასუხოდ.

რუსეთის ანალიტიკურ ცენტრებში მუშავდება და გარკვეულ წრეებში პოპულარობით სარგებლობს ე.წ. ევროაზიური ვარიანტიც, რომლის ავტორებსაც სჯერათ, რომ რუსეთის ისტორიული მისიაა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მაკავშირებელ მძლავრ და ეფექტიან ძალად ქცევა. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს თეორია სიახლითა და ორიგინალურობით არ გამოირჩევა; ჯერ კიდევ ვიტე ოცნებობდა ისეთი აღმოსავლური იმპერიის შექმნაზე, რომელიც კი არ დააშორებდა ევროპას, არამედ მთლიანობაში რუსეთის წონას გაზრდიდა ევროპაში. უნდა ითქვას, რომ 90-იანი წლების დასაწყისში, დასავლეთი თითქმის მზად იყო ეცნო რუსეთის კონსტრუქციული როლი აღმოსავლეთში. მაგრამ ვაშინგტონში მალე დარწმუნდნენ, რომ საამისო ძალა და ავტორიტეტი მოსკოვს არ გააჩნდა. ჯერ პრიმაკოვის უშედეგო ვიზიტებმა ბაღდადში (ერაყის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე), შემდეგ ასევე წარუმატებელმა დიპლომატიურმა ძალისხმევამ ბოსნიაში (რის შედეგადაც ვაშინგტონი იძულებული შეიქმნა თვითონ ეკისრა მთავარი არბიტრის როლი), მთელი სიგრძე-სიგანით წარმოაჩინა რუსეთის რეალური შესაძლებლობანი.

ნავთობის ფაქტორი

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, თითქმის სინონიმებად იქცა ნავთობი და დიდი პოლიტიკა. საერთო აზრით მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება ნავთობის როლი დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობებში. ზოგიერთი რუსი ანალიტიკოსი სწორედ ნავთობის (საერთოდ ენერგეტიკის) მეშვეობით ვარაუდობს 21-ე საუკუნეში რუსეთის ქცევას მსოფლიოში ძალის ერთ-ერთ ცენტრად. გასაკვირი არ არის, რომ როგორც კი ნავთობთან დაკავშირებით დებატები იწყება, დისკუსიათა ცენტრშია კავკასიის რეგიონი. ამავე დროს, აღარავისათვის წარმოადგენს საიდუმლოებას,რომ რუსეთი დღითიდღე კარგავს საუკუნოვან პოზიციებს კავკასიაში. მართალია, პროცესს ჯერ არ მიუღია შეუქცევადი ხასიათი, მაგრამ რუსეთის საგარეო პოლიტიკის გაურკვევლობას და ქვეყნის საშინაო პოლიტიკური მდგომარეობით განპირობებულ მის იდეოლოგიზაციას, იოლად შეიძლება მოჰყვეს რუსეთის გავლენის სრული ინფლაცია ამ სტრატეგიულ რეგიონში. მეორეს მხრივ, კავკასიის ნავთობის პრობლემა სულ ახლო მომავალში აუცილებლივ იქცევა მძლავრ კატალიზატორად, რომელიც მოსკოვს მკაცრი ალტერნატივის წინაშე დააყენებს – ან იგი ცივილიზებულ ფორმასა და შინაარსს შესძენს თავის „კავკასიურ პოლიტიკას", ან სამუდამოდ გამოემშვიდობება რეგიონს. მესამე, ტრადიციული მომენტი – ძალისმიერი მეთოდები და ხელების გადაგრეხა უკვე გამორიცხულია რეგიონითა და მისი წიაღისეულით მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა დაინტერესების გამო.

არავის მოუვა აზრად უარყოს რუსეთის ინტერესები კავკასიაში, მაგრამ რუსეთიც უნდა შეეგუოს იმ ფაქტს, რომ კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს საკუთარი ინტერესები გააჩნიათ, რომელიც შეიძლება არ ემთხვეოდეს რუსეთის ინტერესებს. არასპეციალისტისათვის ძნელია, თუნდაც, კასპიის ზღვის სტატუსზე კატეგორიული მსჯელობა, მაგრამ ზღვა რომ ტბად „იქცეს" (პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოტივით) ეს ცოტა უჩვეულოდ გვეჩვენება. რაც შეეხება საქართველოს, კასპიის ნავთობთან დაკავშირებულ დიპლომატიურ ბატალიებში (მადლობა ღმერთს, რომ ინტერესთა დაპირისპირებას ჯერჯერობით სერიოზული კონფლიქტები არ მოჰყოლია) მას თავისი ინტერესები აქვს და ამაში არც დასაძრახია რამე და არც უჩვეულო. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტთა ვარაუდით, მოსალოდნელია, რომ სწორედ კასპიის ნავთობი (ყაზახეთთან ერთად) იქცევა 21-ე საუკუნეში მსოფლიოს თხევადი საწვავის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. რა უნდა იყოს ჩვენი ნებისმიერი მეზობლისათვის მიუღებელი იმაში, თუ საქართველოს ხელისუფლება, ქვეყნისა და მოსახლეობის ინტერესებით, ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს შანსი, რომელსაც საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა იძლევა? ამჯერად არ შევუდგები ნავთობსადენთან დაკავშირებით რუსეთის პოზიციის დაწვრილებით განხილვას (რუსეთის პრესა ბევრს წერს ამ საკითხთან დაკავშირებით), მხოლოდ ერთ წყაროზე – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩის ფელიქს კოვალიოვის სტატიაზე შევჩერდები, რომელიც მან რუსული დიპლომატიის მთავარი ბეჭდვითი ორგანოს „მეჟდუნაროდნაია ჟიზნის" ბოლო ნომერში გამოაქვეყნა სათაურით; „ნავთობი, კასპია და რუსეთი". ელჩი (ოფიციალური პირი) დაუფარავად და გულახდილად წერს რუსეთის ინტერესებზე კავკასიაში, კასპიის ნავთობთან კონტექსტში. ჟურნალისტების, ექსპერტებისა და დეპუტატებისაგა განსხვავებით, კოვალიოვი პოზიცია საგარეო საქმეთა ს მინისტროს ოფიციალურ პო ზიციად შეიძლება მივიჩნიო და ამით არის ჩვენთვის სა ინტერესო. წერილის მთელ ტონალობა თავმეკავებულ (როგორც დიპლომატს ეკად რება) ანტითურქულია. გაკრი ტიკებულია ანკარის პოზიცი ნავთობსადენთან დაკავშირე ბით. მართალია, ელჩი აღია რებს ბაქოს სუვერენულ უფლებას მარშრუტის არჩევი საკითხში (იგულისხმება თუ რქეთის პორტ ჯეიხანამდე მი ლსადენის გაყვანის პროექტი) მაგრამ იქვე ცდილობს დაა მტკიცოს „თურქული მარშრუ ტის" არარენტაბელობა. ნუ შე ვედავებით კოვალიოვს. შეი ძლება ერთი ტონა ნავთობის გადაქაჩვა „თურქული მარშ რუტით" მართლაც 6 დოლა რი დაჯდება, ხოლო ნოვორო სიისკის მარშრუტით — გაცი ლებით იაფი, მაგრამ განა ჩვე ნზე უკეთ არ მოეხსენება პრო ფესიონალ დიპლომატს, რომ ასეთი მასშტაბის სტრატეგი ული პროექტის განხილვისას პოლიტიკური მომენტი ეკონო მიკურზე ნაკლებად არ ფა სობს? სტატიაში საგანგებო არის აღნიშნული, რომ რუსეთ გაგებით ეკიდება როგორც თუ რქეთისა და აზერბაიჯანის, ასევე საქართველოს ინტერე სებს, რის დამადასტურებლა დაც კონკრეტულ ფაქტებს იმ ველიებს, კერძოდ, იხსენებს იანვარში ვიცე-პრემიერ სერო ვის ვიზიტს თბილისში და შე თანხმებას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გაივლიდა თუ რქეთისაკენ მიმავალი გაზსა დენი. კოვალიოვის მტკიცებით, რუსეთის ინიციატივითა და აქ ტიური მხარდაჭერით გადა წყდა აზერბაიჯანის „ადრეუ ლი" ნავთობის ორი მარშრუტ

„საქართველოს ხელმძღვანელობა ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებას უკავშირებს ბაქო-სუფსის ნავთობსადენს და შუა აზია-ევროპის სატრანსპორტო კორიდორს. რუსეთს ეს კარგად ესმის და მზადაა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ნავთობსადენის მშენებლობაში მონაწილეობის მიღების მსურველ რუსულ ფირმებს",–წერს კოვალიოვი და იქვე დასძენს: „ამავე დროს რუსეთი, რასაკვირველია, ვარაუდობს, რომ საქართველოს ხელმძღვანელები გაგებით მოეკიდებიან მის (რუსეთის – ს.ც.) სტრატეგიულ ინტერესებს ამიერკავკასიაში". ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რას სთავაზობს რუსი დიპლომატი საქართველოს ხელმძღვანელებს. ასეთი ურთიერთ ანგარიშგაწევის წერილმანებზე, რომ არ შევჩერდე (არც შედის ეს ჩემს კომპეტენციაში), ზოგადად ვიტყვი, რომ თუ მეზობელი სახელმწიფოები ანგარიშს გაუწევენ ერთმანეთის ინტერესებს, ამაში არაფერია გასაკვირი. რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტებს, აქ უკვე სხვა სურათია. მხოლოდ ერთ, თვითონ კოვალიოვის მიერ „დაყვედრებულ" საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმილ გაზსადენთან დაკავშირებით რა მოხდა? თუ რუსეთის ტელეინფორმაციის მთავარი პროგრამის „ვრემიას" მიერ 28 აპრილს გავრცელებულ ცნობას დავუჯერებთ, იმავე დღეს რუსეთის „გაზპრომის" გავლენიანმა ხელმძღვანელმა ვიახირევმა ანკარაში ხელი მოაწერა თურქეთისათვის 13 მილიარდი დოლარის ღირებულების გაზის მიწოდების ხელშეკრულებას. იქვე დადგინდა მარშრუტიც. „ვრემიას" მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში „სხვათაშორის" აღნიშნა, რომ თუმცა მარშრუტის თავდაპირველი ვარიანტი საქართველოს ტერიტორიას გულისხმობდა, მაგრამ ვიახირევმა თურქეთში „ალტერნატიული პროექტი" წარადგინა და ის დამტკიცდაო. ვიცე-პრემიერი სეროვი რუსეთის მთავრობის სახელით მოქმედებდა. ვისი სანქციით შეცვალა ვიახირევმა თავისი მთავრობის გადაწყვეტილება? როგორ შეიძლება ასეთი „გაუგებრობების" შემდეგ რუსეთის მეზობლები ენდონ მოსკოვის სიტყვას (უფრო სწორედ, მოსკოვის მიერ ნაკისრ ვალდებულებებსა და შეთანხმებებს)?

სამწუხაროდ, დიდი სახელმწიფოებისათვის შეუფერებელი ასეთი „ლირიული გადახვევები" ჩვეულებრივ მოვლენად იქცა რუსეთის პრაქტიკაში მეზობლებთან ურთიერთობაში. ისიც ძნელი სათქმელია, თუ რასთან გვაქვს საქმე – დაგეგმილ და მოფიქრებულ ტაქტიკასთან, თუ რუსეთის ზედა ეშელონებისათვის დამახასიათებელ შეუთანხმებლობასა და დაპირისპირებებთან?

ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა.

სოსო ცინცაძე,
დიპლომატიური აკადემიის
რექტორი.

ნატო-რუსეთის ურთიერთობის ფუძემდებელი აქტის ირგვლივ

როგორც ცნობილია, ნატოს გენერალურმა მდივანმა სოლანამ და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პრიმაკოვმა შეათანხმეს „ნატოსა და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობის, თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ფუძემდებელი აქტის“ ტექსტი, რომელიც დასამტკიცებლად გაეგზავნა ნატოს ქვეყნებსა და პრეზიდენტ ელცინს. აქტის მიღების შემდეგ ალიანსსა და რუსეთს შორის ახლებური ურთიერთობა დამყარდება.

კლინტონის ადმინისტრაციის ერთ-ერთ საკვანძო საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტს წარმოადგენს უფრო სტაბილური, უსაფრთხო და განუყოფელი ევროპის აშენება. მარტში გამართული ჰელსინკის სამიტის დროს პრეზიდენტები კლინტონი და ელცინი შეთანხმდნენ, რომ ნატოსა და რუსეთის თანამშრომლობის ურთიერთობის ჩამოყალიბებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება. ეს აქტი ხანგრძლივი და მტკიცე პარტნიორობის საფუძველს უქმნის ალიანსსა და რუსეთს, და ახლებური პარტნიორობა შეიძლება გახდეს დიდმნიშვნელოვანი წვლილი XXI საუკუნის ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის შექმნაში, ნათქვამია ფუძემდებელი აქტის შესახებ აშშ თეთრი სახლის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში, რომელიც აშშ-ში თბილისის საელჩოს ინფორმაციის სამსახურმა მოგვაწოდა.

ამ დოკუმენტის პირობების თანახმად, — აღნიშნულია ცნობაში, ნატო და რუსეთი რეგულარულ საფუძველზე გამართავენ კონსულტაციებს ერთმანეთთან და კოორდინაციას გაუწევენ თავიანთ მოქმედებას, ხოლო, იქ, სადაც შესაძლებელია, იმოქმედებენ ერთად, ზუსტად ისევე, როგორც ამას ბოსნიაში აკეთებენ. აქტი შედგება ხუთი ძირითადი განყოფილებისაგან.

დოკუმენტის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ ნატო და რუსეთი არ განიხილავენ ერთმანეთს მოწინააღმდეგეებად, და ხაზგასმულია ნატოს შიგნით და რუსეთში მომხდარი ის მასშტაბური ცვლილებები, რომლებმაც შესაძლო გახადეს ეს ახლებური ურთიერთობანი.

პირველ განყოფილებაში ჩამოყალიბებულია ამ ურთიერთობის დამარეგულირებელი პრინციპები, მაგალითად, დადასტურებულია საერთაშორისო ქცევის ნორმები, რომლებსაც შეიცავს გაეროს წესდება და ეუთოს ჰელსინკის საბოლოო აქტი, აგრეთვე უფრო მკაფიოდ გამოკვეთილი ვალდებულებანი, ისეთები, როგორიც არის სახელმწიფოთა სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის გამო წამოჭრილი დავის მშვიდობიანი საშუალებებით გადაწყვეტის პატივისცემის ვალდებულებანი.

დოკუმენტის მე-2 განყოფილება ითვალისწინებს შეიქმნას ახალი ფორუმი „ნატო-რუსეთის მუდმივი ერთობლივი საბჭოს“ სახელწოდებით, რომლის ფარგლებშიც მოეწყობა შეხვედრები ნატოსა და რუსეთის წარმომადგენლებს შორის, ამასთან, განყოფილებაში ნათქვამია, სახელდობრ, როგორ იმოქმედებს ეს საბჭო.

მე-3 განყოფილებაში ჩამოყალიბებულია ნატოსა და რუსეთის მიერ განსახილველი პრობლემების წრე, მათ შორის, ისეთები, როგორიც არის კონფლიქტების თავიდან აცილება, მშვიდობის ხელშემწყობი ოპერაციების განხორციელება, მასობრივი მოსპობის იარაღის გავრცელების თავიდან აცილება და ინფორმაციის გაზიარება უსაფრთხოებისა და თავდაცვითი პოლიტიკის სფეროში.

მე-4 განყოფილებაში მოცემულია ურთიერთობის სამხედრო ასპექტები. საკვანძო დებულებები ასეთია:

ნატო ადასტურებს თავისი ახლანდელი თავდაცვითი პოლიტიკისა და სტრატეგიის ძირითად პრინციპებს, მათ შორის, თავის 1996 წლის დეკემბრის განცხადებას, რომელშიც ნათქვამია, რომ ალიანსს „არა აქვს არც განზრახვა, არც გეგმა, არც მიზეზები“ ახალი წევრი ქვეყნების ბირთვული შეიარაღების ტერიტორიაზე განსალაგებლად, მათ შორის, ასეთი შეიარაღების საცავების შესაქმნელად.

დამოწმებულია ნატოს 1997 წლის 14 მარტის განცხადება, რომ ახლანდელ ვითარებაში და თვალსაწიერ მომავალში ნატო განახორციელებს კოლექტიურ მოგერიებას და სხვა მისიებს ოპერატიული შეთავსებადობის, ინტეგრაციისა და პოტენციალის ხარჯზე, და არა ახალი წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე საბრძოლო ძალების მუდმივი და არსებითი კონტინგენტის დამატებითი დისლოცირების ხარჯზე.

გათვალისწინებულია, რომ ნატო გამოიყენებს ახალი წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე არსებულ ინფრასტრუქტურას თავისი მოთხოვნილებების შესაბამისად, რომლებიც დაკავშირებული იქნება კოლექტიურ თავდაცვასთან და სხვა მისიებთან.

მე-4 განყოფილებაში განსაზღვრულია აგრეთვე ნატოსა და რუსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის განვითარების მექანიზმები, მათ შორის, ნატოსა და რუსეთის შესაბამის სამტაბო სტრუქტურებში კავშირის სამხედრო მისიების შექმნის გზით.

ნატო იტოვებს ყველა თავის პრეროგატივას. იმ დროს, როდესაც რუსეთი ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობას იქონიებს, იგი არ იმოქმედებს ნატოს შიგნით. აქტში ნათლად არის ნათქვამი, რომ ***რუსეთს არ ექნება ვეტოს უფლება ალიანსის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მიმართ, ამ შემთხვევაში ნატო იტოვებს უფლებას იმოქმედოს დამოუკიდებლად, თავისი შეხედულებისამებრ.***

მოცემული აქტი არ ახდენს ზემოქმედებას ნატოს გაფართოების პროცესზე. ეს პროცესი მიმდინარეობს გეგმის შესაბამისად; მადრიდის ივლისის სამიტის დროს, ნატოს ხელმძღვანელები უპირველეს მიწვევებს გაუგზავნიან ქვეყნებს, რათა შეუდგნენ მოლაპარაკებას ალიანსში შესვლის შესახებ. ნატოში მიღებულ ქვეყნებს ექნებათ ალიანსში წევრობასთან დაკავშირებული ყველა უფლება და მოვალეობა, ამასთან, ***ალიანსის კარი ღია იქნება ყველა ევროპული სახელმწიფოსათვის, რომლებიც ახლახან დაადგნენ დემოკრატიის გზას.***





ოთარ იოსელიანი — სან-ფრანცისკოს კინოფესტივალის უსაყვარლესი მონაწილე

სან-ფრანცისკოს კინოფორუმი, რომელიც ოთარ იოსელიანის შემოქმედების აღიარების კიდევ ერთი ნიშანსვეტი გახდა, ქართველი რეჟისორის თქმით, არის „ყველაზე საუკეთესო კინოფესტივალი, ერთადერთი ადგილი მთელ დედამიწის ზურგზე, რომელსაც შეუძლია წინააღუდგეს ჰოლივუდის გამრყვნელ გავლენას“. როგორც „კომსომოლსკაია პრავდა“ წერს, ოთარ იოსელიანი, რომელმაც ვენეციაში „ვერცხლის ლომი“ მოიპოვა თავისი ბოლო ფილმისათვის „ყაჩაღები“. ნაწილი VII, სან-ფრანცისკოს კინოფესტივალის ყველაზე დაფასებული და საყვარელი მონაწილეა.

სურათებზე: რეჟისორი ოთარ იოსელიანი სან-ფრანცისკოს „ოქროს კარიბჭის“ ხიდის ფონზე; იოსელიანი თავისი ფილმის გმირებთან ერთად „და იქმნა ნათელი“-ს გადაღების სამუშაო მომენტი.

აშშ: ყოველწლიურად 80 ათასი კაცი იღუპება... ხელის დაუბანლობის შედეგად

ამერიკის საავადმყოფოების, რესტორნების და კაფეების მფლობელებმა მიიღეს მოწყობილობა, რომელიც საშუალებას აძლევს განსაზღვრონ, მათს ხელქვეითთაგან რომელი არ იბანს ხელს საპირფარეშოდან გამოსვლის შემდეგ, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. მოწყობილობა შემდეგნაირად მუშაობს: მოსამსახურეს უკეთია სპეციალური სამკერდე ნიშანი, რომელიც აამოქმედებს ინფრაწითელ გადამწოდს, როდესაც მისი პატრონი საპირფარეშოში შედის. მეორე გადამწოდი ჩამონტაჟებულია სასაპნეში და ჩაირთვება, თუ ნიშნისმფლობელი პირსაბან ნიჟარასთან სულ ცოტა 15 წამს დარჩება. ნიჟარასთან მოსამსახურის ყოფნის დრო დღის განმავლობაში ჯამდება. აშშ ავადობისადმი კონტროლის ცენტრი მიესალმა ახალ გამოგონებას, ვინაიდან ხელის დაუბანლობა ეროვნულ საფრთხედ მიაჩნია. ცენტრის შეფასებით, ყოველწლიურად 40 მილიონი ამერიკელი ავადდება და მათგან 80 ათასი იხოცება სნეულებისაგან, რომლებიც გადადის ხელის ჩამორთმევის დროს. ასეთ დაავადებათა მკურნალობის ღირებულება წელიწადში ოთხ მილიარდ-ნახევარ დოლარს შეადგენს. მოწყობილობა ნიუ-ჯერსის შტატის ფირმა „ნეტპტეკმა“ შეიმუშავა. ამჟამად მისი გამოცდა მიმდინარეობს ატლანტიკ-სიტის სასტუმრო „ტროპიკანაში“ და ელ-პასოს საჯარისო სამედიცინო ცენტრში.

У РОССИИ И БЕЛАРУСИ БЫТЬ

რუსეთი-ბელორუსია: ერთიანი ბედი, ერთიანი მიზანი, ერთიანი მომავალი?...

ცხადდება მიღება კონტრდაზვერვაში

ბრიტანეთის კონტრდაზვერვის სამსახურმა მი-5 თავის ისტორიაში პირველად გამოაქვეყნა გაზეთში განცხადება კადრების მიღების შესახებ, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. სიტუაცია იმით არის საინტერესო, რომ 1989 წლამდე ბრიტანეთის მთავრობა საერთოდ უარყოფდა მი-5-ის არსებობის ფაქტს. განცხადებაში კანდიდატებს მტკიცედ ჰპირდებიან კარიერას ორგანიზაციებში, რომლებიც სახელმწიფო და საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებზე მუშაობენ, ისინი ბრიტანელები უნდა იყვნენ. რაც შეეხება ხელფასს, მას „უფრო კარგი ეთქმის, ვიდრე — დიდი“. „ცივი ომის“ დროს ეს სამსახური საბჭოეთისა და მისი მოკავშირეების ჯაშუშებს ეძებდა. ახლა ებრძვის ირა-ში შემავალ ტერორისტებს, ნარკოტიკების კონტრაბანდას და ორგანიზებულ დამნაშავეობას. ამ ბოლო დრომდე მი-5-ს თანამშრომლები აჰყავდა შეიარაღებული ძალების, პოლიციის შემადგენლობიდან და უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთაგან, ამასთან კადრების დაკომპლექტება საიდუმლოდ ხორციელდებოდა. სააგენტო აღნიშნავს, რომ ბრიტანეთის სპეცსამსახურებისაგან განსხვავებით, აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო რეგულარულად აქვეყნებს სამუშაოზე აყვანის განცხადებებს.

როგორც ამტკიცებენ...

რადიო ბი-ბი-სი: ბელორუსიაში არავის ეეჭვება, რომ რუსეთთან კავშირის წესდებას მოეწერება ხელი კრემლში. თუმცა, ჯერაც არ არის ცნობილი,რა შესწორებები წამოაყენა სპეციალურმა კომისიამ, მაგრამ ბელორუსიის მოქალაქეთა უმრავლესობა მხარს დაუჭერს პრეზიდენტ ლუკაშენკოს ყოველგვარ მოქმედებას. რაც შეეხება რადიკალურ ოპოზიციას, საეჭვოა, რომ ხელისუფლებამ ანგარიში გაუწიოს მის აზრს.

რადიო „თავისუფლება“: ამერიკის კოსმოსური ტექნოლოგიის ექსპერტის ჯეიმ ოლბერგის თქმით, რუსეთის კოსმოსური სააგენტოსათვის „მირ“ ორბიტული სადგური არის „მეწველი ფური“. მხოლოდ ამერიკის აერონავტიკის სამმართველო — ნასა უხდის რუსეთს ასეულ მილიონობით დოლარს „მირ“ კომპლექსში ამერიკელი ასტრონავტების გასაგზავნად, რომლებმაც უნდა შეიძინონ გამოცდილება მშენებარე საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში მუშაობისათვის.

კორუფცია - მსოფლიო პრობლემა

სამხრეთ კორეის ხელისუფალნი ეწევიან გამოძიებას 70 უმაღლესი მოხელის საქმის გამო, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან კორუფციაში, იუწყება როიტერი. სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენელმა, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა, სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ მათ შორის არის ახლანდელი მინისტრთა კაბინეტის რამდენიმე წევრი, მინისტრის მოადგილეები, აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები. შეგახსენებთ, რომ სამხრეთი კორეა ცნობილია უმაღლეს მოხელეთა შორის დამნაშავეობის მაღალი დონით. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ამბოხების, კორუფციისა და სახელმწიფო ღალატის ბრალდებით სამუდამო პატიმრობა მიესაჯა ორ ექსპრეზიდენტს — ჩონ დუ ხვანს და რო დე უს, ხოლო წინა კვირაში დააპატიმრეს ახალი პრეზიდენტის კიმ ენ სანის ვაჟი.

ყველა სიკეთესთან ერთად ძუნწიც ყოფილა

ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე უფლისწულის ჩარლზის ცოლყოფილ პრინცესა დიანას სახელი ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ წამოატივტივა ინგლისის პრესამ. აქამდე წერდნენ, რომ დიანას ჰქონია საკმაოდ იშვიათი დაავადება — ბულემია, დაუნაყრებლობის გრძნობა, ახლა კი, გამოირკვა, რომ პრინცესა ყველა სიკეთესთან ერთად სამინელი ძუნწიც ყოფილა. დღეს პრინცესას მთელი კაბინეტი შედგება მხოლოდ ბუღალტრის, მდივნისა და მსახურისაგან. დანარჩენი 32 (!) კაცი, მათ შორის გამოცდილ პოლიტიკურ მრჩეველთა ჯგუფი, თავქუდმოგლეჯილი გაიქცა დიანასაგან, თან ისე, რომ ბევრი ჯამაგირის მიღებასაც კი არ დალოდებია.

პრინცესას უკანასკნელი მსხვერპლი გახდა მისი განუყრელი თანამგზავრი 27 წლის პირადი მდივანი ვიქტორია მენდჰემი. პრინცესამ ერთი ამბავი დააწია მდივანს, როდესაც გაიგო, რომ კარიბის ფეშენებელურ კურორტზე ერთკვირიანი საშობაო შვებულების ხარჯები მდივან ქალს პრინცესას ანგარიშზე ჩაუწერია. დიანამ მოსთხოვა მას გადაეხადა თავისი წილი ხარჯი 9000 გირვანქა სტერლინგის ოდენობით.

მდივანი ქალი ვიქტორია თვეში ათას გირვანქას იღებს, ხოლო დიანას განქორწინების შემდეგ პრინც ჩარლზისაგან „პირგასამტეხლოდ“ ერგო 17 მილიონი გირვანქა სტერლინგი!...

ნატოსთან შეთანხმება – რუსეთის პოლიტიკის ლეღვის ფოთოლი

გაზეთი „ჯერმანი ლაივი“ ეხმაურება რუსეთ-ნატოს მომავალ შეთანხმებას, რომელსაც 27 მაისს უნდა მოაწერონ ხელი პარიზში ბორის ელცინმა და ჩრდილოატლანტიკური წევრი ქვეყნების მეთაურებმა. გაზეთი აღნიშნავს, რომ მომზადებული შეთანხმების ტექსტის ნაირგვარი გაგება რუსეთისა და ნატოს მხრივ, ჯერაც არ არის დაძლეული. „ლაივის“ ინფორმაციით, იმ დროს, როდესაც ბორის ელცინი ჯიუტად ამტკიცებს, რომ ამიერიდან რუსეთს დიდი გავლენა ექნება ბლოკის გადაწყვეტილებებზე, ნატოს გენერალური მდივანი ხავიერ სოლანა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის მიცემულ ინტერვიუებში საპირისპიროს ამბობს. გაზეთის აზრით, თუ მიმდინარე მოვლენების მიხედვით ვიმსჯელებთ და არ გავითვალისწინებთ ამა თუ იმ მხარის პირად შეთანხმებებს, რუსეთისა და ნატოს ბლოკის შემდგომი ურთიერთობა კვლავ დაძაბული და საერთაშორისო სამართლის მკაფიო ნორმებით დაუკავშირებელი იქნება.

ესეც შენი ჰარვარდი!

ამერიკის მთავრობამ გაწყვიტა კონტრაქტი ჰარვარდის უნივერსიტეტთან, ვინაიდან მის ორ თანამშრომელს ბრალად ედება რუსეთის მთავრობაში მრჩევლის მოვალეობისაგან თავის არიდება და სახსრების არასწორი ხარჯვა, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. უნივერსიტეტთან დადებული კონტრაქტის თანხა 14 მილიონ დოლარს შეადგენდა. ასოშიეიტედ პრესის მონაცემებით, ამერიკის ხელისუფალთა გამოძიებამ დაადასტურა, რომ ჰარვარდის საერთაშორისო კვლევის ინსტიტუტის მოსკოველი წარმომადგენელი ჯონათან ჰეი და პროექტის დირექტორი ანდრია შლეიფერი აშშ მთავრობის მიერ გამოყოფილ ფონდებს საკუთარი ბიზნესისათვის იყენებდნენ.

ოჯახური ცენზურა

შოტლანდიის სოფელ გლენლივეტის მკვიდრთა ცხოვრებაში ნამდვილი გადატრიალება მოახდინა სატელევიზიო მაუწყებლობის სისტემამ, რომელიც რაიონში ორიოდე კვირის წინათ დაიდგა. ადგილობრივი მცხოვრებნი სიხარულით ცას ეწივნენ, როდესაც ტექნოლოგიურმა რევოლუციამ ბოლოს და ბოლოს მათს სოფლამდეც მიაღწია. მაგრამ არ გასულა ერთი კვირაც, და გლენლივეტელებს სიხარული აღშფოთებით შეეცვალათ. 42 წლის ჯიმ ვუდსი თავზარდაცემულია ტელეპროგრამების უხამსობითა და დაუფარავი სექსის პროპაგანდით. „ის, რასაც გვიან ღამით უჩვენებენ, პორნოგრაფიაა და სხვა არაფერი“, — ამბობს აღშფოთებული ოჯახის მამა. მას არ მოეწონა არც პოპულარული პროგრამები, „საპნის ოპერები“, რომლებიც მისი აზრით, „ვულგარულობისა და მდარე გემოვნების“ ნიმუშებს წარმოადგენენ. „მე არ მინდა საფრთხე შევუქმნა ჩემი ოჯახის ტრადიციას, მხოლოდ იმის გულისათვის, რომ სახლში ასეთი ყუთი გვიდგას“, — განაცხადა ორი შვილის მამამ. ეს ეხება პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა გამოსვლებსაც, რომლებმაც „არაფერში ზომა არ იციან“. ჯეიმსმა პრევენტულ ღონისძიებად „ემბარგო“ დაუწესა ტელეგადაცემის ჩვენებას — თუ პარლამენტის ან მინისტრთა კაბინეტის ვაკანსიური ადგილის მორიგი პრეტენდენტის სიტყვების სალარო არ შეეფერება მის წარმოდგენას წესიერებაზე, ტელევიზორი უბრალოდ გამოირთვება ხოლმე.

„დიპ-ბლუ“ კასპაროვს რიგში აყენებს

გარი კასპაროვის მოთხოვნის პასუხად, რომელსაც სურს წელსვე გაუმართოს მატჩ-რევანში კომპიუტერ „დიპ-ბლუს“, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ დაამარცხა ჩემპიონი, სასწაულებრივი მანქანის შემქმნელი კომპანიის „აიბი-ემის“ წარმომადგენელმა თქვა: ჩვენ უკვე მოგვივიდა განცხადება სხვა დიდოსტატებისაგან, კერძოდ, კარპოვისა და პოლგარისაგან. ძალიან კარგად გვესმის გარი კასპაროვისა, მაგრამ ცოტა ხანს მოცდა მოუწევსო, აღნიშნა „დიპ-ბლუს“ პროგრამისტთა გუნდის მენეჯერმა ჯოუ იენტენმა.

ძალის დემონსტრაცია ერაყის საზღვარზე

როგორც ბრიტანეთის გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, სირია და ირანი შეუდგნენ თავიანთი ჯარების მნიშვნელოვანი კონტინგენტის თავმოყრას ერაყის საზღვრებთან. თვითმხილველთა ცნობებით, სირიის ჯარებმა დაიწყეს მანევრები ერაყის საზღვართან. ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ ეს არის მორიგი ძალის დემონსტრაცია, ვინაიდან სირიას ეშინია ერაყის ჩრდილოეთში თურქეთის ჯარების მუდმივი ყოფნისა. ეს ნაბიჯი გამოწვეულია ერაყის ჩრდილოეთ რაიონებში ქურთთა პოზიციებზე თურქეთის ქვეგანაყოფების შეტევით, რომელიც წინა კვირის დამლევს დაიწყო. საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობს 60 ათასამდე თურქი ჯარისკაცი, ტანკები და ავიაცია. შეგახსენებთ, რომ ქურთები 1984 წლიდან ეწევიან შეიარაღებულ ბრძოლას საკუთარი სახელმწიფოს შესაქმნელად ტერიტორიაზე, რომელიც თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთს და ერაყის ჩრდილოეთს მოიცავს.

... მით უმეტეს, კვერცხს დებდა

არგენტინელმა პალეონტოლოგებმა აღმოაჩინეს დინოზავრის ახალი სახეობა, რომლის ნაშთები ადასტურებს მეცნიერთა ადრინდელ ვარაუდს თანამედროვე ფრინველებთან დინოზავრების გენეტიკური კავშირის თაობაზე წერს „ტაიმსი“. აღმოჩენილი ეგზემპლარი თავისი აგებულებით წარმოადგენს ნახევრად ფრინველს და ნახევრად ქვეწარმავალს. სირაქლემას სიდიდის, ორი მძლავრი უკანა კიდურის მქონე ცხოველი ძალიან ჰგავს გვიანი ცარცის პერიოდის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 90 მილიონი წლის წინათ) დინოზავრს. ამავე დროს მისი წინა კიდურების აგებულება პრაქტიკულად ფრინველის ფრთების ანალოგის იდენტურია. მათი მეშვეობით დინოზავრი იცავდა სხეულის წონასწორობას სიარულის დროს და შეეძლო ფრთასავით ექნია კიდურები. ერთადერთი, რაც შეიძლება შემდგომი კამათის საფუძველი გახდეს, ეს არის ის ფაქტი, რომ ფრინველებისაგან განსხვავებით დინოზავრის მიკვლეული სახეობის წარმომადგენელს ფრენა არ შეეძლო, დასძენს დასასრულს „ტაიმსი“.

ეროვნული მენტალიტეტის თავისებურებათა საკითხისათვის

ამერიკის გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ კორესპოდენტი სტატიას უძღვნის რუსული მენტალიტეტის თავისებურებებს. მისი აზრით, თანამედროვე რუსული მენტალიტეტი შეიძლება გამოიხატოს ორი სიტყვით — „სანტიმენტალობა“ და „ნოსტალგია“. ამას მოწმობს ბოლო დროის გაზრდილი საბჭოთა ეპოქის ფილმების პოპულარობის რეიტინგი. თან ვერ იტყვი, რომ რუსებს საბჭოური ხანის დაბრუნება სურდეთ. ალბათ, იმ დროის ნოსტალგიის მიზეზია მაშინდელი სიმშვიდე და სიმყუდროვე, აღნიშნავს კორესპოდენტი. გარდა ამისა, განაგრძობს იგი, დასავლეთმა დაკარგა რუსეთზე ბატონობა. დღეს რუსეთის უბრალო მოქალაქეს ველარ გააკვირვებ ჯინსით, მელოდრამითა თუ საშინელებათა ფილმებით. უფრო პირიქით არის, — მაყურებელთა უმრავლესობას აღიზიანებს თანამედროვე ამერიკული დეტექტივები და ტრილერები, ფსიქოლოგთა აზრით, რუსების ცნობიერებაში ეს ფილმები იწვევს ჩეჩნეთის ომისა და რუსეთის შიდა არასტაბილურობის ასოციაციას.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას“ და „პლანეტა-ფორტეს“ მასალების მიხედვით

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

აჟიოტაჟი

ხმაურიანი განცხადებები და არგუმენტირებული კომენტარი

ბოლო ხანებში ქართულმა მასმედიამ გარკვეული ყურადღება დაუთმო ფირმა „ელიზისა“ და მისი პრეზიდენტის თამაზ ელიზბარაშვილის საქმის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს. ამას დაერთო პარლამენტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ქალბატონ ელენე თევდორაძის სენსაციური განცხადებები, რომლებიც მან გააკეთა ამ საქმესთან დაკავშირებით ბრალდებულ გელა ბატატუნაშვილთან შეხვედრის შემდეგ. ქალბატონი ელენის თქმით, მას ბატატუნაშვილმა შესჩივლა, რომ ჩვენება ფიზიკური ზემოქმედების შედეგი იყო, რომ ვერ გაუძლო წამებას და გამოძიებას სასურველი ჩვენება მისცა.

თუმცა ამის ფონზე როგორღაც არაბუნებრივად გაიჟღერა 15 მაისის გაზეთ „მოქალაქის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულმა მასალამ, რომელიც საკმაო დაგვიანებით დაისტამბა. ამ წერილში ქალბატონ ელენეს ტენდენციურობაში დასდეს ბრალი.

მოქალაქეთა კავშირის წევრთან მიხეილ მაჭავარიანთან საუბარში გაზეთის რედაქტორმა განმარტა, რომ წერილს თავისი პროტეჟე ჰყავდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან და პროკურატურიდან, მაგრამ ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. იმავე გაზეთში ბატონი მიხეილ სააკაშვილი შენიშნავდა, რომ მიმდინარეობდა ბინძური კამპანია ელენე თევდორაძის წინააღმდეგ. ამის გაგრძელებად იქნა მიჩნეული ქ-ნ ელენეს განცხადება იმის შესახებ, რომ სურდათ მისთვის ავტოავარია მოეწყოთ. ამ ცნობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მითქმა-მოთქმის ახალი ტალღა ააგორა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა ეს საკითხი პირად კონტროლზე აიყვანა და უშიშროების სამინისტროს დაავალა მისი გარკვევა.

აქვე უნდა ითქვას ერთიც. ქალბატონ ელენეს ბოლოდროინდელ განცხადებებშიც არცთუ იშვიათად იხსენიება პროკურატურა. კონტექსტი ასეთია: თითქოს მას მუშაობისთვის პროკურატურაში ხელოვნური ბარიერები ექმნება. ჩვენი კორესპონდენტი გიორგი ევგენიძე საკითხის გასარკვევად დაუკავშირდა პროკურატურის ხელმძღვანელობას.

გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა **ბესიკ ჟუჟიამ** მითხრა:

— სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ქალბატონ ელენე თევდორაძეს მისთვის საინტერესო საკითხებზე ფირმა „ელიზის“ საქმესთან დაკავშირებით ჩვენთან არავითარი პრობლემა არ ჰქონია. მან ორჯერ ითხოვა შეხვედრა თამაზ ელიზბარაშვილთან და ორივეჯერ შევახვედრეთ. გავითვალისწინეთ პარლამენტის თხოვნა, სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე. კომპეტენტური ექსპერტიზა ჩატარდა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის რესპუბლიკური ცენტრის ექსპერტის მერაბ ნაფეტვარიძის დასკვნა საქმეში დევს, სადაც გარკვევით წერია, რომ ბატატუნაშვილს ფიზიკური ზემოქმედების ნიშნები არ აღმოაჩნდა. გ. ბატატუნაშვილის მიმართ ასევე ჩატარდა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომლის დასკვნითაც იგი არის შერაცხადი პიროვნება, რაიმე ფსიქიკური დაავადება ან ნაკლი არ გააჩნია. ასე რომ, თავად განსაჯეთ, მის ნებისმიერ თხოვნას ჩვენ გაგებით მოვეკიდეთ და შევასრულეთ.

პრესაში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში ბრალდებულთა ადვოკატები ცდილობენ, ისე წარმოადგინონ საქმის ვითარება, თითქოს გამოძიებას არ გააჩნია ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები. სინამდვილეში გამოძიების მოცემულ ეტაპზე შეკრებილია საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ბრალდებულთა მიერ ინკრიმინირებულ ქმედობათა ჩადენას. ამასთან, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 201-ე მუხლით ისჯება მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მონაცემების გახმაურება), ჯერჯერობით, არ შემიძლია გითხრათ გამოძიების ხელთ არსებულ ყველა მტკიცებულებაზე.

ამასთან, მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ადვოკატთა განცხადებით, ფირმა „ელიზის“ ყოფილი პრეზიდენტი თ. ელიზბარაშვილი თითქოსდა უკანონოდ, უსაფუძვლოდ იმყოფება წინასწარ პატიმრობაში. სინამდვილეში აქაც იგნორირება ხდება იმ ფაქტისა, რომ თ. ელიზბარაშვილის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების კანონიერება ადვოკატების მიერ გასაჩივრდა სასამართლოში, სასამართლომ განიხილა პატივცემულ ადვოკატთა შუამდგომლობა და უსაფუძვლობის მოტივით არ დააკმაყოფილა იგი. ამჟამად თ. ელიზბარაშვილის და სხვათა მიმართ საქმეზე წინასწარი გამოძიება გაგრძელებულია 4 თვემდე. მიუხედავად ამისა, არც ერთ ბრალდებულს და მათი ინტერესების დამცველთ, არ უსარგებლიათ კანონით მინიჭებული უფლებით და აღნიშნული დადგენილება სასამართლოში არ გაუსაჩივრებიათ.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებული პირები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა თუ პრესკონფერენციებით ცდილობენ ჩამოაყალიბონ მათთვის სასურველი საზოგადოებრივი აზრი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზეგავლენა მოახდინონ გამოძიების მიმდინარეობაზე, ჩვენ, განუხრელად ვიხელმძღვანელებთ კანონის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, იმ მოთხოვნიდან, რომ არც ერთი დანაშაული არ უნდა დარჩეს მხილების გარეშე და არც ერთი უდანაშაულო არ უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ესაუბრა
გიორგი ევგენიძე.

ბოლო ზარი



23 მაისს საქართველოს სკოლებში სასწავლო წლის დამთავრების მაუწყებელი ზარი დაირეკა... წინ უფროსკლასელებისათვის გამოცდების მღელვარე დღეები დარჩა, უმცროსკლასელებს კი ზაფხულის არდადეგების ხალისიანი დღეები ელოდებათ...

ჩვენი ფოტოკორესპონდენტის ჯავარ ლომაძის ფოტოზე სწორედ ის სიხარულია აღბეჭდილი, რომელიც უკანასკნელი ზარის დარეკვის დროს გუშინ დედაქალაქის 101-ე სკოლაში სუფევდა.

გვეხმაურებიან

სასამართლოს წინაშე პასუხს ვაგებინებ

მიმდინარე წლის 20 მაისს, „საქართველოს რესპუბლიკაში“ რუბრიკით „კრიმინალი“, დაიბეჭდა რუსეთის პრესაში გამოქვეყნებული კრიმინალური ფაქტების მიხედვით მომზადებული მასალა სათაურით: „დანაშაულებრივი იატაკქვეშეთი, ანუ ასეთია ქურდი კაცის ბედი“.

აღნიშნული წერილის მერვე სვეტის მესამე აბზაცში აღწერილია შემთხვევა, რომლის მიხედვითაც მოსკოვში, საქართველოს კულტურული ცენტრის „მზიურის“ თანამშრომლებმა ჩემი მოსკოვური (?!) სასამსახურო ავტომანქანით ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს ადამიანი.

მინისტრად ჩემი ყოფნის პერიოდში მოსკოვში პერსონალური მანქანა არ მემსახურებოდა. მოსკოვში მივლინების დროს მეც, ისევე როგორც ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მს მინისტრებს, მემსახურებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მსს მორიგე ავ მანქანა.

რაც შეეხება წერილში აღ მნულ ავტომანქანას, რომე თითქოსდა მოსკოვში საქარ ლოს საელჩოს ბალანსზე ირ ხებოდა, შესაძლებელია სა რია მოსკოვში საქართველოს მილიციის ქვეგანყოფილების გულის“ მარკის ავტომანქანა რომელიც ემსახურებოდა დღესაც ემსახურება ამ ქვე ყოფილების თანამშრომლებს. ამ ავტომანქანით მოხდა და შაული, პასუხი უნდა მოეთხო უშუალოდ იმ პიროვნებას, ვინ იყო გაპიროვნებული. ჩემთვის უგებარია, ვის ან რად დასჭი ამ ფაქტის გაყალბება.

უფლებას ვიტოვებ, რუსე პერიოდულ პრესაში გამოქ ყნებული წერილის ავტორს სამართლოს მეშვეობით მ თხოვო პასუხი.

შოთა გორგო

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1997-98 სასწავლო წლისათვის
დასწრებულ და დაუსწრებელ სწავლებაზე
ჩასარიცხად შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

დასწრებულ სწავლებაზე:

1. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, სპეციალობით:

ა) ზოოინჟინერი (ქართული და რუსული სექტორი),

ბ) რძის პროდუქტების ტექნოლოგია და მენეჯმენტი (ქართული და რუსული სექტორი),

გ) ხორცის პროდუქტების ტექნოლოგია და მენეჯმენტი (ქართული და რუსული სექტორი),

დ) თევზის წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგია და მენეჯმენტი,

ე) ტყავ-ბეწვეულის გადამუშავების ტექნოლოგია და მენეჯმენტი,

ვ) მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის საქონელმცოდნე და მენეჯმენტი,

ზ) მარცვლეულის (კომბინირებული საკვების) შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია და მენეჯმენტი,

თ) კინოლოგია და წვრილი ცხოველების დაავადებები (ქართული და რუსული სექტორი).

2. ვეტერინარიის მედიცინის ფაკულტეტზე, სპეციალობით:

ა) ფართო პროფილის ვეტერინარი ექიმი (ქართული და რუსული სექტორი)

ბ) სააფთიაქო საქმე და მენეჯმენტი,

3. დაუსწრებელ სწავლებაზე, სპეციალობით: ზოოინჟინერი.

ზემოთ ჩამოთვლილ სპეციალობებზე მიღება იწარმოებს აგრეთვე ფასიანი სწავლებით.

ინსტიტუტში ასაკის შეუზღუდავად მიიღებიან საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე აბიტურიენტები.

ინსტიტუტში შესვლისას ყველა აბიტურიენტს აქვს თანაბარი უფლება. სწავლების ყველა ფორმაზე კონკურსი ფაკულტეტებისა და სპეციალობების მიხედვით მოეწყობა.

ინსტიტუტში შესვლის მსურველებმა განცხადებას მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ უნდა დაურთონ შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების ან საშუალო სპეციალური განათლების დოკუმენტის დედანი.

2. ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3 X 4 სმ),

3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა №086).

პასპორტს და სამხედრო დოკუმენტს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

საბუთების მიღება უფასო სწავლებაზე იწარმოებს 1 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით, ფასიან სწავლებაზე 1 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით ყოველდღე, გარდა კვირისა, 10 საათიდან 15 საათამდე.

მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული მომსახურებისათვის აბიტურიენტმა უნდა გადაიხადოს 3 ლარი.

მისაღები გამოცდები ქვემოთ აღნიშნულ სპეციალობებზე მოეწყობა 23 ივლისიდან შემდეგ საგნებში:

ა) ზოოინჟინერი (დასწრებული და დაუსწრებელი სწავლება).

ბ) კინოლოგია და წვრილი ცხოველების დაავადებები

გ) ფართო პროფილის ვეტერინარი ექიმი:

ბიოლოგია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

დანარჩენ სპეციალობებზე შემსვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ საგნებში: ქიმია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

აბიტურიენტებმა, რომლებმაც არაქართული სკოლა დაამთავრეს და სურთ ინსტიტუტში სწავლა ქართულ სექტორზე, აბარებენ ქართულ წერას (წაკითხულის შინაარსს).

ინსტიტუტში არსებობს სამხედრო მომზადების კათედრა.

ინსტიტუტი მიღებას აცხადებს, აგრეთვე, მეორე სპეციალობის დაუფლების მსურველთათვის დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების ზემოთ აღნიშნულ სპეციალობებზე (ფასიანი სწავლება).

განცხადებები მიიღება 1 ივლისიდან, რომელსაც თან უნდა დაერთოს უმაღლესი განათლების დოკუმენტი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და ოთხი ფოტოსურათი (ზომით 3 X 4 სმ). ჩარიცხვა მოხდება ფაკულტეტების, სპეციალობებისა და კურსების მიხედვით, გასაუბრების წესით.

ღია კარის დღე მოეწყობა 4 ივლისს 11 საათზე.
დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში, მისამართი: თბილისი-კრწანისი.
ტელეფონები 72-37-52, 72-11-64.

„ის, რითაც უნდა დავიწყოთ, ჩვენი შეცდომების აღიარებაა“

ღია საზოგადოება — სრულყოფის უწყვეტი პროცესი

— ეს ფრაზა მოხმობილია სახელგანთქმული ფინანსისტისა და მეცენატის ბ-ნი ჯორჯ სოროსის ესეიდან „კაპიტალიზმის საფრთხე“, რაც 1996 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა ამერიკულ ჟურნალ „Athlantic Monthley“-ში, ქართულად კი პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მ.წ. 25 აპრილისა და 2 მაისის ნომრებში, ხოლო ცალკე ბროშურად დასტამბა გამომცემლობა „ნეკერმა“ ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ეგიდით (თარგმნა სანდრო ბარამიძემ).

აქამდე ჩვენი საზოგადოებრიობა იცნობდა უნგრული წარმომავლობის ამერიკელს ჯორჯ სოროსს, როგორც ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს მთელ მსოფლიოში, რომელმაც 1979 წლიდან განვლილ პერიოდში პლანეტის ათეულობით ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, დააარსა ფონდ „ღია საზოგადოების“ ფილიალები და თავისივე სახსრებით აფინანსებს მათ საქმიანობას.

აღნიშნული ფილოსოფიური ხასიათის ესეით კი ეს დიდი ქველმოქმედი წარმოგვიდგება, როგორც თითოეული ადამიანის, ერის, საზოგადოებისა და მთელი კაცობრიობის საჭირბოროტო პრობლემებსა და სამომავლო პერსპექტივებზე ღრმად ჩაფიქრებული, გლობალური მასშტაბის მოაზროვნე. ამ დონის ნაწარმოების შექმნა განაპირობა იმ გარემოებამაც, რომ ავტორი თავის დროზე, მიიღო რა ეკონომიკური განათლება, ფილოსოფიითაც სერიოზულად იყო გატაცებული.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს რომ ესეიში წამოჭრილი საკითხები იმგვარი სტილითაა გაანალიზებულ-გადმოცემული, რომ მკითხველს პოლემიკის, დიალოგის, თანამშრომლობის, თანაშემოქმედების სურვილი აღუძრას და როცა სარეცენზიო ბროშურას გაეცნობით, დაგვეთანხმებით, რომ ავტორი თავის ამ მიზანსაც აღწევს.

„კაპიტალიზმის საფრთხე“, რამაც უკვე ფართო გამოხმაურება ჰპოვა ამერიკასა და ევროპაში, შედგება მცირე შესავლისა და შემდეგი ქვეთავებისაგან: „ახალი მტერი“, „ეკონომიკური სტაბილურობა“, „სოციალური დარვინიზმი“, „საერთაშორისო ურთიერთობები“ და „შეცდომის შედეგები“.

როგორც ვხედავთ, ესეიში განხილულია არაერთი კარდინალური საკითხი, რაც ეხება ადამიანთა ყოფიერების თუ ცნობიერებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ცხოვრების საფუძვლებს. ცხადია, ჯორჯ სოროსის ნააზრევის დაწვრილებითი ანალიზი ვრცელ სპეციალურ ნაშრომს მოითხოვს, რაც წინამდებარე სტატიის მიზანდასახულებას გაცილებით აღემატება, რის გამოც ჩვენ ამჯერად ესეის ავტორის მხოლოდ რამდენიმე საკვანძო მოსაზრებას გამოვყოფთ.

ჯორჯ სოროსი თავისი ესეის შესავალს იწყებს მკითხველისათვის ჰეგელის მიერ აღმოჩენილი ერთ-ერთი ისტორიული კანონზომიერების შეხსენებით: თავის „ისტორიის ფილოსოფიაში“ დიდი გერმანელი ფილოსოფოსი მიუთითებს, რომ ამა თუ იმ ცივილიზაციის ნგრევა-გადაშენების გამომწვევი უმთავრესი მიზეზია მისივე ძირითად პრინციპთან ავადმყოფური ინტენსიფიკაცია.

ესეის ავტორი ამ აღმოჩენას „გამაოგნებელს“ უწოდებს და განაგრძობს:

„მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ცხოვრების მანძილზე საკმაოდ დიდ წარმატებებს მივაღწიე ფინანსურ ბაზრებზე, ახლა უკვე ვშიშობ, რომ laissez-faire-ის ტიპის კაპიტალიზმისა და საბაზრო ფასეულობების ცხოვრების ყველა სფეროში გავრცელება დიდ საფრთხეს უქმნის ჩვენს ღია, დემოკრატიულ საზოგადოებას“.

და თავად ერთ-ერთი უდიდესი კაპიტალისტი იქ არანაკლებ „გამაოგნებელ“ დასკვნას გვთავაზობს:

„ღია საზოგადოების მთავარი მტერი, ჩემი აზრით, კომუნიზმი კი აღარ არის, არამედ კაპიტალიზმია“ (ხაზგასმა ჩვენია – ზ.ს.).

ეს დასკვნა გარკვეულ წილად ეხმიანება ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი მამამთავრის, ვენესუელის პრეზიდენტის, პროფ. რაფაელ კალდერას შემდეგ მოსაზრებას, რაც გამოთქმული აქვს თავის „ქრისტიანული დემოკრატიის სპეციფიკაში“: „განვითარებულ ქვეყნებს ემუქრებათ ღრმა კრიზისი, რაც დაკავშირებულია სურვილთან – არ დაინახონ ისტორიული განვითარების ძირითადი პერსპექტივები, აგრეთვე, მათი საფუძვლის შემრყევ მორალურ ხრწნასთან. XX საუკუნის ბოლოსათვის კაცობრიობა რჩება დაქუცმაცებული და მის შიგნით კვლავ არსებობს გადაუჭრელი ანტაგონიზმი. ბევრ ქვეყანაში, რომელნიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჩვენი ცივილიზაციის ბედში, ეროვნულ და რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი სიძულვილი მწვავე კონფლიქტებს ბადებს“; ამასთან, როგორც აღნიშნავს რ. კალდერა, „მსოფლიო სოციალურად უსამართლოდაა მოწყობილი“.

ყოველი ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ჩვენი ასწლეულის 80-იანი წლების პირველი ნახევრიდან, როცა მსოფლიო პოლიტიკის იმჟამინდელმა მესვეურებმა, მათ შორის, საბჭოთა იმპერიის ახალმა ხელმძღვანელებმა, კერძოდ, სსრ კავშირის საგარეო-საქმეთა მინისტრის ბ-ნ ედუარდ შევარდნაძისა სახით, თვალნათლივ დაინახეს „ცივი ომის“ ეპოქის დასრულებისა და ახალი პოლიტიკური აზროვნების პრინციპებზე დაფუძნებული ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების აუცილებლობა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ბ-ნ ე. შევარდნაძის მიერ „გარდაქმნის“ პერიოდის საბჭოთა საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებად დეკლარირებულ იქნა „ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა ჰუმანიზმის, თანამშრომლობის უზენაესი პრინციპების“ პრაქტიკული დამკვიდრება საერთაშორისო ურთიერთობებში.

მაგრამ მოვლენები მაინც იმგვარად განვითარდა, რომ მსოფლიო თანამეგობრობა, სამწუხაროდ, მოუმზადებელი აღმოჩნდა „ცივი ომის“ დამთავრებისა და საბჭოთა კავშირის კრახის შემდგომ დამდგარი თვისებრივად ახალი ეპოქისათვის, ანუ, როგორც ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ აღიარა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ თავის „დიად გარდაქმნაში“, „გარდაქმნის პროცესის დიდი გაკეთილებიდან, უპირველესია, რომ ორივე მხარის მოლოდინი, ძველი კომუნისტური სახელმწიფოებისა თუ დასავლეთისა, იყო გაზვიადებული და საკმაოდ გულუბრყვილო“.

ამ მოსაზრებას უფრო მკაფიოდ და მკვეთრად გამოხატავს ჯორჯ სოროსი: „... მსოფლიო ილუზიების მსხვრევის ხანაში იმყოფება... უნდა ვაღიარო, რომ 1989 წლის რევოლუციის პერიოდში ფანტაზიებით ვცხოვრობდი. რევოლუციას მუდამ ძველი რეჟიმის მსხვრევა და ახლის დაბადება სდევს თან. ჩემი ოცნება იყო, რომ 1989 წლის რევოლუციას საყოველთაო ღია საზოგადოება მოჰყვებოდა, ისევე, როგორც 1789 წლის რევოლუციამ თანამედროვე ეროვნულ სახელმწიფოს ჩაუყარა საფუძველი. ჩემი იმედები გააქარწყლა დასავლეთის ღია საზოგადოებების ინდიფერენტიზმმა საყოველთაო ღია საზოგადოების მიმართ. რევოლუცია დაუმთავრებელი დარჩა. გამომდინარე იქედან, თუ როგორი კოლოსალური სიძლიერისა და მასშტაბების რეჟიმი დაამხო 1989 წლის რევოლუციამ, შეიძლება ითქვას, რომ მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია, ვიდრე საფრანგეთის რევოლუციისა. მაგრამ სოციალური ორგანიზაციის ახალი ფორმების შექმნის თვალსაზრისით, იგი უმწეო აღმოჩნდა. ეს ფაქტი განსაკუთრებით საერთაშორისო ასპარეზზეა თვალსაჩინო. ცივი ომის პერიოდის სტაბილური წესრიგი დაიმსხვრა, მაგრამ მის ადგილზე არავითარი რეჟიმი არ შექმნილა. ჩვენ უწესრიგობის ხანაში შევდივართ“.

მაგრამ „კაპიტალიზმის საფრთხის“ ავტორი მაინც ხედავს გამოსავალს არსებული სიტუაციიდან. მისი აზრით, ახალი მსოფლიო წესრიგი ღია საზოგადოების პრინციპებს უნდა დაეფუძნოს. რადგანაც „ღია საზოგადოება... მექანიზმია, რომლის საშუალებითაც ჩვენ, ადამიანები ურთიერთგამომრიცხავი პოლიტიკური თუ სოციალური შეხედულებების შერიგებას ვახდენთ. იგი არ იძლევა სოციალური მიზნების მიღწევის რეცეპტს. ამგვარი რეცეპტების გამოწერა რომ შეძლებოდა, იგი ღია საზოგადოება აღარ იქნებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, ღია საზოგადოების იდეის გარდა ადამიანებს სხვა იდეებიც ესაჭიროებათ. მხოლოდ ჩაკეტილ საზოგადოებაშია მარტოოდენ ღია საზოგადოების იდეა პოლიტიკური აქტივობის საფუძველი. ღია საზოგადოებაში კი არ არის საკმარისი, რომ დემოკრატი იყოთ. თქვენ აუცილებლად ლიბერალ-დემოკრატი, სოციალ-დემოკრატი, ქრისტიან-დემოკრატი, ან კიდევ რაღაც სხვა ტიპის დემოკრატი უნდა იყოთ. საერთო რწმენა ღია საზოგადოების მიმართ აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა თავისუფლებისა, განვითარებისა და, საერთოდ ყველა იმ სიკეთისა, რომელიც ღია საზოგადოებას მოაქვს“.

მაგრამ, პოლიტიკურ და სოციალურ შეხედულებათა შერიგებასთან ერთად, ღია საზოგადოების კონცეფციის შემდგომი დახვეწისა და მისი პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით, ჩვენის აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ღვთის ჭეშმარიტი რწმენის აღორძინება-დამკვიდრებისა და რელიგიური შემწყნარებლობის, ეროვნული თავისთავადობის პრიმატისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრინციპთა გამოკვეთა-ხაზგასმა.

ღია საზოგადოების კონცეფციის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს იმ გარემოების გაცნობიერება, რომ ადამიანები შეცდომებისკენ ვართ მიდრეკილნი და უნდა შევძლოთ დაშვებულ შეცდომათა აღიარება თუ სამომავლოდ გათვალისწინება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც მიუთითებს ჯორჯ სოროსი, „თვით ღია საზოგადოება, როგორც იდეალი მიუღწეველია. თუკი განვაცხადებთ, რომ ჩვენ დავასრულეთ ღია საზოგადოების მშენებლობა, ამით მხოლოდ საკუთარ თავს შევეწინააღმდეგებით. მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ღია საზოგადოებისკენ არ უნდა ვისწრაფოთ. აბსოლუტური ჭეშმარიტება მეცნიერებისათვისაც მიუწვდომელია. მაგრამ როგორ პროგრესს მიაღწია კაცობრიობამ მეცნიერებაში. მსგავსად ამისა, ღია საზოგადოების მშენებლობაშიც შეიძლება ველოდოთ მეტ-ნაკლებ წარმატებას“.

ღია საზოგადოების იდეა გარკვეულწილად უპირისპირდება laissez-faire-ს ტიპის კაპიტალიზმს, ვინაიდან იგი აფეტიშებს პრინციპს „მიეცი უფლება აკეთოს“, რაც სახელმწიფოს მიერ მეწარმისათვის თავის საქმიანობაში სრული თავისუფლების მინიჭებას გულისხმობს, რამაც, თავის მხრივ, ისეთი ვითარების შექმნა გამოიწვია, როცა „ადამიანები უფრო და უფრო ხშირად იყენებენ ფულს ღირებულების საზომად. ის, რაც უფრო ძვირია, უკეთესად არის მიჩნეული. ხელოვნების ნიმუშებსაც კი მათი ფასის შესაბამისად აფასებენ, ხოლო ადამიანებს მათი სიმდიდრის გამო სცემენ პატივს. იმან, რაც გაცვლა-გამოცვლის საშუალებად იყო გამოგონილი, ფუნდამენტური ღირებულებების ადგილი დაიკავა და თავდაყირა დააყენა ის ურთიერთობები, რომლებსაც ეკონომიკური თეორია გვასწავლის. ის, რაც უწინ პროფესია იყო, ახლა ბიზნესი გახდა. ზნეობრივი იდეალები ახლა ეკონომიკური წარმატების კულტმა შეცვალა. საზოგადოებამ თავისი ნავსაყუდელი დაკარგა“.

ჯორჯ სოროსი ღია საზოგადოების ერთ-ერთ მიზნად თვლის, სოციალური სამართლიანობის, პარტნიორობისა და თანაბარ შესაძლებლობათა შექმნის პრინციპთა რეალურად განხორციელებას. იგი „მანკიერს“ უწოდებს სოციალური დარვინიზმის თეორიასა და პრაქტიკას, რისი გამოხატულებაც არის ე.წ. „ძლიერთა გადარჩენის“ დოქტრინა, რაც სამწუხაროდ, თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „კაპიტალიზმის საფრთხის“ ავტორი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც ემსახურება სოციალურ ურთიერთობათა თვისებრივად ახალი სისტემის ჩამოყალიბება-ფუნქციონირებას, რისი ერთ-ერთი თვალსაჩინო მოწმობაა ფონდ „ღია საზოგადოებისა“ და თავის ფილიალთა მრავალმხრივი საქველმოქმედო მოღვაწეობა. თავად ჯორჯ სოროსის თქმით, თუკი ბერლინის კედლის დანგრევამდე მისი ფონდის საქმიანობა დესტრუქციული იყო, ვინაიდან ხელს უწყობდა კომუნისტური რეჟიმის რღვევას, ამჟამად დგას დრო კონსტრუქციული მოღვაწეობისათვის, რათა დაჩქარდეს ღია საზოგადოების მშენებლობა ყველა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში.

სარეცენზიო ბროშურა კიდევ არაერთ საგულისხმო საკითხს ეხება, მაგრამ ვფიქრობთ, ზემოთქმულითაც აშკარაა, რომ „კაპიტალიზმის საფრთხე“ მოასწავებს ახალ კონცეპტუალურ ეტაპს ანრი ბერგსონისა და კარლ პოპერის მიერ შემუშავებულ ღია საზოგადოების თეორიაში, რაც იმედია, თავის ადეკვატურ პრაქტიკულ გამოხატულებას ჰპოვებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ზაზა სიხარულიძე.

გამოიცა

„იავნანა“ აღვიძებს... ინტერესს

ახლახან გაზეთების ოკეანეში „შეცურდა“ აზრით დატვირთული ერთი ლამაზი, ფერადოვანი გაზეთი.

თვალხატულა გოგო-ბიჭების ფოტოებით დამშვენებულ 12 გვერდზე სწორედ მათი დამოუკიდებელი აზროვნების პროდუქტია წარმოდგენილი.

ნორჩი ჟურნალისტები თავის თანატოლებს მოუთხრობენ სამშობლოს წარსულსა და აწმყოზე, რელიგიის ისტორიასა და ხელოვნებაზე, სპორტსა და საზღვარგარეთის ამბებზე.

მკითხველები უთუოდ დაიხსომებენ თამთა გუგუშვილის, ია სიხარულიძის, გივიკო და დათო ყვარელაშვილების, ირაკლი ჩაკვეტაძის, ანი ნოზაძის, ლაშა მღვდელაძის, ნატო ბერიანიძის, შალვა იაშვილის, ოთარ ტაბუციძის, სალომე ვაშაკიძისა და სხვათა გვარ-სახელებს.

ფანტაზია, გემოვნება, პედაგოგიური ალღო, — აი, რით არის ნასაზრდოები მთავარი რედაქტორის, ახალგაზრდა ჟურნალისტის ნესტან გუგუშვილის დაუღალავი შრომის ნაყოფი.

შეუძლებელია „იავნანამ“ ნორჩ მკითხველში ჟურნალისტის პროფესიისადმი ინტერესი არ გააღვიძოს.

ორენოვანი (ინგლისურ-ქართული) გაზეთის დამფუძნებელთა მიზანიც ხომ ეს არის: ასწავლოს ბავშვებს დამოუკიდებელი აზროვნება,მუშაობა და მათი შემოქმედება გააცნოს თანატოლებს, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

ლეილა კოშკაძე.

ს/ს „ტრაქტების“ აქციონერები ზურაბ ნესტორის ძე ყვავაძე, მერაბ ყვავაძე და ზურაბ ზურაბის ძე ყვავაძე, 1997 წლის 17 ივნისს, დღის 12 საათზე შპს ავტოსადგურ „ოკრიბას“ შენობაში იწვევენ ამ საზოგადოების აქციონერთა კრებას.

დღის წესრიგი:

1. სამეთვალყურეო საბჭოს გადარჩევა და არჩევნები.
2. გენერალური დირექტორის გადარჩევა და არჩევა.
3. აუდიტორის დამტკიცება.

ყველა აქციონერის დასწრება სავალდებულოა.
მისამართი: ქ. თბილისი, კარალეთის ქ. № 4.

ყურადღება!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესა“ ქ. თბილისში ამ გაზეთის გასავრცელებლად ხელსაყრელი პირობებით სამუშაოდ იწვევს კერძო რეალიზატორებს.

მსურველები
დაგვიკავშირდნენ:
თბილისი,
მ. კოსტავას 14. გაზეთ
„საქართველოს
რესპუბლიკის“
რედაქცია.
ტელ: 93-26-99

საქველმოქმედო მიზნით

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებელი და ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საერთაშორისო ცენტრი 25 მაისს, 17 საათზე იწვევს დიდი ქართველი მოცეკვავის ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედების ყველა თაყვანისმცემელს ერთობლივ საქველმოქმედო გალა-კონცერტზე, რომლის მთელი შემოსავალი და შემოწირული თანხა მოხმარდება მთაწმინდის პანთეონში მისი საფლავის კეთილმოწყობას.

სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური გვერდი

ფეხბურთი

პირად ახირებას ნუ შევწირავთ ქართული ფეხბურთის მომავალს

საქართველოში ანტიფეხბურთი ფართო მასშტაბს იძენს. ახალი, ალმაშფოთებელი ფაქტი — შესაძლებელია, ეროვნული თასის გათამაშების ფინალი „დინამო“ — „ბათუმი“ ჩაიშალოს, ანუ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის დღესასწაულს ჩრდილი მიადგეს. რატომ? მხოლოდ მიზეზს მოგახსენებთ.

22 მაისი. ბოლნისი. საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის უმნიშვნელოვანესი შეხვედრა „სიონი“ — „ბათუმი“. მსაჯი მოთა ხანიაშვილი (თბილისი). მასპინძლები პენალტით ხსნიან ანგარიშს – 1:0 და არც უხეშ თამაშს თაკილობენ, გაფრთხილებულ-გაძევებულთა შორის კი მხოლოდ სტუმართა გვარებს ვხედებით. მორიგი სადავო ეპიზოდისა და შეკამათების შემდეგ მსაჯმა წითელი ბარათებით „დააჯილდოვა“ უჯმაჯურიძე, ტუღუში და შეყილაძე, რაც იმას ნიშნავს, რომ თასის ფინალს ზღვისპირელები სამი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე გამართავენ... თუ სათამაშოდ გამოვლენ. ბათუმელებმა 53-ე წუთზე მინდორი დატოვეს და, როგორც შევიტყვეთ, პროტესტის ნიშნად, გამორიცხული არ არის 26 მაისს დედაქალაქში არც ჩამოვიდნენ.

დარწმუნებულნი ვართ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი მრავალჯერ დაატრიალებს ამ მატჩის ვიდეოფირს და საბოლოო განაჩენსაც გამოიტანს (ალბათ, როგორც ყოველთვის, სამართლიანს). მაგრამ ეშველება ამით ანტიფეხბურთს, რომელიც ასე გავრცელდა საქართველოში?

იმის იმედიც გვაქვს, რომ „ბათუმის“ ფეხბურთელები და ხელმძღვანელობა ამ ტენდენციურ მსაჯობას ქვეყნის თასის ფინალურ მატჩს არ შესწირავენ.

გია პლატონიშვილი.

წერილი რედაქციას

არადა, უპასუხობაც არ იქნება!

თქვენი გაზეთის სპორტულ გვერდში წამოჭრილი თემა ქართული ფეხბურთის 100 წლისთავთან დაკავშირებით, ვხედავ, საინტერესო და მრავალმხრივი განხილვის საგანი ხდება. ამასთან, ალბათ, ერთი დაუწერელი კანონი უნდა დავიცვათ, გამოხმაურებისას: ყოველი წინადადება მოზომილი უნდა იყოს, არც ავტორს აღიზიანებდეს და არც მკითხველს. კამათისათვის აუცილებელი ეს ნიშნები, სამწუხაროდ, ვერ შევნიშნე ბ-ნ ვ. ჭიჭინაძის გამოხმაურების გამოხმაურებას და ამიტომაც მივიჩნიე, რომ უპასუხოდ ვერ დავტოვებ.

სათაურით დავიწყოთ: „შენიშვნები საკამათოა“.

სათაური სათაურად, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია ბ-ნ ვახტანგის ერთობ გაღიზიანებული ტონი, გაუგებარია სად ამოიკითხა ჩემი გამოხმაურების თითქოს-და კატეგორიულობა და მეფასება შენიშვნებისა, რომლებიც, თურმე, უკეთეს შემთხვევაში საკამათოა. უარეს შემთხვევაში?

ბ-ნ ვ. ჭიჭინაძის წერილის „რაც მინახავს და მახსოვს“ გამო ორად ორი შენიშვნა გამოვთქვი: თამაშობდა თუ არა გ. ჯეჯელავა „ზიი“-ში და მწერალ მ. ჯავახიშვილის გამომძიებელ აბაშიძესთან დაკავშირებით მითითებული ვერსიის თაობაზე.

ბ-ნი ვახტანგი შენიშნავს, რომ თურმე მე მახსოვს, რომ გ. ჯეჯელავას „ზიი“-ში არ უთამაშია და ამის შესახებ შენიშვნაც მივიღეო. გულახდილად გეტყვით – ვერ გავიგე ირონიაა ეს თუ დასტური. ყოველ შემთხვევაში, არც საიუბილეო ბუკლეტებში, არც ინტერვიუებში, არც სპორტულ ნარკვევებში არსად არ არის ნათქვამი, რომ გ. ჯეჯელავა „ზიი“-ში თამაშობდა.

სხვათა შორის, ჩემთვის ამოუხსნელ განტოლებად დარჩა ბ-ნ ვ. ჭიჭინაძის პრეტენზიული განცხადება: „მე მგონია ის უფრო გასაკვირი, რაც გამახსენდა და რა ფაქტებიც მოვიყვანე, მით უმეტეს, რომ მას შემდეგ თითქმის 70 წელიწადია გასული“. ამასთან დაკავშირებით პოლემიკას არ გავაგრძელებ, მაგრამ მკითხველთან ბოდიშის მოხდით გავიმეორებ ერთ ადგილს ჩემი გამოხმაურებიდან: „წერილში „რაც მინახავს და მახსოვს“ ბევრ საინტერესო ცნობასაც ამოიკითხავს ფეხბურთის მოყვარული.“

რაც შეეხება მეორე საკითხს, აქ საქმე, ჩემი აზრით უფრო რთულად არის. ბ-ნი ვ. ჭიჭინაძე კატეგორიულად აცხადებს: მაშინდელი უშიშროების სამინისტროს პასუხისმგებელი პირი, რომელიც ამ საქმეს ოფიციალურად იძიებდა და აბაშიძის დახვრეტის ამბავი მომითხრო, „ჩემთვის უფრო კომპეტენტურია ამ საკითხში, ვიდრე მწერალი არველაძე, თუმცა, შეიძლება არველაძის ვერსიაც არ იყოს სიმართლეს მოკლებულიო“.

ჯერ ერთი, ბოლოს და ბოლოს, ვინ იყო აბაშიძის საქმის გამომძიებელი – ასევე ყოფილი ფეხბურთელი სავიცკი თუ მაშინდელი უშიშროების სამინისტროს ის პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ბატონი ვ. ჭიჭინაძე ახსენებს?

მეორეც, მწერლის მიერ მოთხრობილი ამბავს, ჩემი აზრით, ვერსია არ შეიძლება ეწოდოს, რადგან ბ-ნ ბ. არველაძეს თავის **დოკუმენტურ რომანში** „წამებული“ მოტანილი აქვს ჩვენი სასიქადულო მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის არა მარტო დაპატიმრების, არამედ დაკითხვა-დაპირისპირების (ყოფ. სოციალ-ფედერალისტთა (ლ. ქორქაშვილთან) ოქმი, საგამოძიებო საქმის ტომიდან სხვა მასალებიც, ყოფილი პოლიტპატიმრის მ. მგალობლიშვილის (რომელსაც ახლო ნაცნობობა ჰქონია, თურმე, აბაშიძესთან) ცნობა, სხვა დოკუმენტური მასალებიც. იგი დაინტერესებულია პირადად აბაშიძის საგამოძიებო საქმით, მაგრამ რუხაძის ბრძანებით იგი განადგურებული აღმოჩნდა.

ჩემს მიერ მითითებული დოკუმენტური რომანის და საგაზეთო პუბლიკაციების გაცნობა, ვფიქრობ, ნათელყოფს, რომ ბ-ნ ბონდო არველაძეს შრომა და პასუხისმგებლობა არ დაუკლია ჭეშმარიტების დასადგენად. და მაინც: რატომ არ უნდა იყოს ამ საკითხში იგი კომპეტენტური ბ-ნ ვ. ჭიჭინაძისათვის?

ბ-ნი ვ. ჭიჭინაძე ამას უზუსტობად მითვლის და ერთგვარი ნიშნის მოგებითაც შენიშნავს: „პატივცემულ გ. მახარაძეს სხვა უზუსტობაც აქვს აღნიშნულ წერილში. კერძოდ, „ბ“ ჯგუფში ჩატარებული მატჩებიდან სინამდვილეში ლ. აბაშიძემ „ეპიზოდურად“ კი არა, მარტო ერთ, პირველ შეხვედრაში მოსკოვის „სტალინეცთან“ მიიღო მონაწილეობა, აქ მძიმედ დაშავდა და ამის მერე აღარც უთამაშია“. გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი პრესა, მათ შორის სპორტულიც, სუსტად აშუქებდა თბილისის „დინამოს“ მატჩებს „ბ“ კლასში. გუნდის შემადგენლობები გამოაცხადეს მხოლოდ თბილისში ჩატარებულ შეხვედრებში – მოსკოვის „სტალინეცთან“ და დნეპროპეტროვსკის „დინამოსთან“. პირველში აბაშიძე იყო, მეორეში – არა.

უზუსტობაზე მსჯავრდებულ ნადარაიას გამო განცხადება 9 მაისის სპორტულ გვერდში უკვე გამოვაქვეყნე.

ბ-ნ თეიმურაზ მეყანწიშვილის გამოძახილთან დაკავშირებით ვფიქრობ, რაღაც გაუგებრობაა, რადგან პოზიცია მე ცალსახად გამოვთქვი: ფეხბურთის საუკუნოვანი იუბილე უნდა გაიმართოს არა 26 მაისს, არამედ ცალკე საფეხბურთო ზეიმის სახით.

გიორგი მახარაძე

ჭადრაკი

ქართველი დიდოსტატები ლიდერთა შორის

ხორვატიის ქალაქ პულაში, სადაც ახლახან დამთავრებულ მოჭადრაკეთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე ჩვენმა ქალთა გუნდმა ოქროს მედლები მოიპოვა, კვლავ გრძელდება საჭადრაკო ბატალიები. ჩემპიონატის მონაწილე დიდოსტატები ღია საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობენ. პირველობისთვის 162 მოჭადრაკე იბრძვის. უკვე გათამაშდა 6 ტური. 5-5 ქულით პირველ-მეხუთე ადგილებს ხუთი დიდოსტატი იყოფს. მათ შორის არიან ჩვენი თანამემამულეები – ზურაბ სტურუა, გია გიორგაძე და გიორგი ყაჭეიშვილი.

აღსანიშნავია, რომ ყაჭეიშვილი ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების მე-4 დაფაზე თამაშობდა. მან აქ ვერცხლის მედალი დაიმსახურა და, რაც მთავარია, მესამედ შეასრულა დიდოსტატის ნორმა. ამ წოდებას მას ფიდეს უახლოეს კონგრესზე ოფიციალურად მიანიჭებენ.

ვაჟა ნოსირელი.

მკლავჭიდი

ყველაზე ღონიერი, ყველაზე ლამაზი...

ქუთაისის ტელეკომპანია „რიონის“ სატელევიზიო თამაშებისა და სპორტული ღონისძიებების დირექციის ინიციატივით ზესტაფონში ჩატარდა რაიონის პირველობა მკლავჭიდში მოსწავლეთა შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 14 გუნდი. თითოეული შერკინება მეტად დაძაბული და მიმზიდველი იყო. შეუპოვრობა და გამარჯვების სწრაფვა გამოიჩინა ზედა საქარის საშუალო სკოლის გუნდმა, რომელმაც პირველობა არავის დაუთმო.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი გახლდათ შერკინებები აბსოლუტურ წონით კატეგორიაში, სადაც გამარჯვება წილად ხვდა კვალითის საშუალო სკოლის მოსწავლეს სულხან მოდებაძეს.

გამარჯვებული გუნდი და ჩემპიონი აბსოლუტურ წონით კატეგორიაში მონაწილეობას მიიღებს იმერეთის თასის გათამაშებაში, რომელიც ქუთაისში გაიმართება.

მკლავჭიდელთა ასპარეზობის პარალელურად გაიმართა სილამაზის ორიგინალური კონკურსი შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების თანმხლებ გოგონათა შორის. აქ პირველობა მიეკუთვნა კვალითის საშუალო სკოლის მოსწავლეს თეონა მარეაძეს. შეჯიბრებას უამრავი მაყურებელი და გულშემატკივარი დაესწრო.

მოსწავლეთა შორის ასეთი შეჯიბრება ზესტაფონში პირველად მოეწყო, ორგანიზატორებმა კი ყველაფერი იღონეს მის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

ჰენრი შარიქაძე,
„სრ“ საკ. კორ.

მირიან ცალქალამანიძე – 70

„ფეხი მოვდე, წავაქციე“...

ქართველ ფალავნებს მრავალგზის უსახელებიათ თავიცა და სამშობლოც საერთაშორისო სარბიელზე. დასტურად მათ მიერ მოპოვებული ჯილდოებიც კმარა. სახელოვანთა კოჰორტას მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის მირიან ცალქალამანიძის სახელიც ამშვენებს.



ცალი ქალამანი და ნათხოვარი კედები

მისი წინაპრები მთიელი გლეხები ყოფილან, გვარად გუდაბრიშვილები. ერთხელ სოფელს მტერი დასცემია. გუდაბრიშვილებიც ჩაბმულან ბრძოლაში, ერთ-ერთ მათგანს ცალი ქალამნის ჩაცმალა მოუსწრია და ნახევრად ფეხშიშველი ხმლით ხელში შეგებებია მომხდურთ. თავგანწირულ შეტაკებაში გამოჩენილი ვაჟკაცობისთვის მეფეს გუდაბრიშვილებისთვის აზნაურობა უბოძებია, თანასოფლელებს კი იმ გმირისთვის ცალქალამანა შეურქმევიათ, მისი შთამომავლებისთვის – ცალქალამანიძეები. ისინი კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში დასახლებულან. მირიანის მამა ამ საუკუნის 20-იან წლებში რჩეულიშვილებს ჩასიძებია თელავის რაიონის სოფელ კონდოლში. 1927 წლის 9 მარტს კი ქვეყანას მირიან ცალქალამანიძე მოვლენია. მძიმე ცხოვრებისეული გზა გამოუვლია. ხუთი წლისას მამა გარდაცვლია. 1939 წელს მისი ოჯახი თბილისში გადმოსახლებულა...

– მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მუშა-ახალგაზრდობის სკოლის რვაწლედი დავამთავრე და სწავლა ინდუსტრიულ ტექნიკუმში განვაგრძე. – იგონებს ბატონი მირიანი. – სასწავლებლის ფეხბურთელთა გუნდში ვთამაშობდი. ერთხელ მაუდ-კამვოლის კომბინატის ფეხბურთელებს უნდა შევხვედროდით. იმ დღეს არ მათამაშეს. გული დამწყდა. ეს რომ შენიშნა ჩემმა მეგობარმა ანზორ კალანდაძემ, დარდის გასაქარვებლად ვარჯიშზე წამიყვანა „პეტრეს დარბაზში“. კუთხეში მიყუჟული თვალს ვადევნებდი მორკინალებს. ერთი ბიჭი არ მომეშვა, გინდა თუ არა, დამეჭიდეო. ვერაფრით მოვიშორე, მეც ავდექი და ხალიჩაზე გავედი. მომიახლოვდა თუ არა, ფეხი მოვდე და ლეიბზე დავახეთქე. ასე განმეორდა რამდენჯერმე. ის ბიჭი კი სულ იმას გაიძახოდა, კვანტი არ შეიძლება, კვანტი არ შეიძლებაო. ამასობაში მწვრთნელიც მოგვიახლოვდა, ლევ კაპიტანოვი... სამი დღის შემდეგ თბილისის პირველობა მოვიგე თავისუფალ ჭიდაობაში. ეს იყო 1951 წელს. მაშინ 24 წლის ვიყავი...

მართლა, ამ ასაკში ფალავნები ზოგჯერ თავსაც კი ანებებენ ჭიდაობას, მაგრამ ალღოიანი მწვრთნელის რჩევით მირიან ცალქალამანიძემ სწორედ მაშინ დაიწყო ვარჯიში. ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ იგი რამე შედეგს მიაღწევდა. იმავე წელს სოხუმში საქართველოს პირველობა გაიმართა. „ბებერი“ ფალავანი ხალიჩაზე ლეონიდ ძეკონსკის ნათხოვარი კედებით გავიდა. 52 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფინალში აბესა მამაჯანოვთან დამარცხდა და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

ზეობის ოთხი წელი

მირიან ცალქალამანიძემ 1953 წელს ტექნიკუმი დაამთავრა და რადიოქარხანაში დაიწყო მუშაობა. უკვე სპორტის ოსტატიც გახდა. იფიქრა, ჩემს ასაკში მეტს მაინც ვერ შევძლებო და ჭიდაობას თავი მიანება. ერთ დღეს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, შინ წასვლას რომ აპირებდა, გასასვლელთან კაპიტანოვი შენიშნა მოტოციკლეტით. მწვრთნელმა სიტყვაც არ ათქმევინა ყოფილ შეგირდს, ისე შემოისვა უკან და „პეტრეს დარბაზისკენ“ გააქროლა...

დადგა მძიმე გამოცდის დღეც. 1954 წელს ლენინგრადში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჩატარდა.

– ერთ-ერთი შეხვედრისას პირველობის ფავორიტ ბაქოელ გიორგი საიადოვთან დავმარცხდი, აზერბაიჯანელი ფალავანი კი მინსკელმა იგორ კარავაევმა დაჯაბნა. ბოლო ორთაბრძოლა კარავაევთან მქონდა. ჩემი მეტოქე წარმატების შემთხვევაში ჩემპიონი გახდებოდა, თუ ქულებით მოვიგებდი მერკინებას, მაშინ საიადოვი გადიოდა პირველ ადგილზე. ორივე შემთხვევაში ბრინჯაოს მედალი არ ამცდებოდა. იყო ერთი ვარიანტიც – თუ კარავაევს სუფთად დავამარცხებდი, ჩემპიონობას ვერავინ მომეცილებოდა. კაპიტანოვს სხვა ვარიანტის გაგონებაც არ სურდა! აბა, რა უნდა მექნა. შერკინების მესამე წუთზე კარავაევს ელვისებური ილეთი ჩავუტარე. მან ხიდურზე გადასვლა ვერ მოასწრო, ბეჭებით შეეხო ხალიჩას და ოქროს მედალიც მე წამოვიღე საქართველოში. მაშინ ჩემთან ერთად კიდევ ოთხი თბილისელი გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

ლენინგრადის შემდეგ იყო ბუდაპეშტი, სადაც სტუდენტთა მსოფლიო თამაშები გაიმართა. მირიან ცალქალამანიძე აქაც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. სეზონის ბოლო აკორდი ტოკიოში შედგა. ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქში მსოფლიოს უძლიერესი ფალავნები შეიკრიბნენ.

– ტოკიოშიც ახლოს ვიყავი მიზანთან. – გვეუბნება ბატონი მირიანი. – ფინალში თურქი ჰუსეინ აკბასი უნდა დამემარცხებინა. 6:2-ს ვუგებდი კიდეც, მაგრამ ერთ მომენტში საკუთარ ფანდზე წამოვეგე და თავად შევეხე – ბეჭებით ხალიჩას. საბოლოოდ, მესამე ადგილი დავიკავე, ჩემპიონი კი აკბასი გახდა. დიდებული მოჭიდავე იყო. ხეიბრობის მიუხედავად (მარჯვენა ფეხით კოჭლობდა), ოთხჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა.

— მსოფლიო სარბიელზე თქვენი გზები, მგონი, კიდევ ორჯერ შეიყარა, არა?

– 1956 წლის დამდეგს სტამბულში მსოფლიო თასი გათამაშდა. ფინალში კვლავ აკბასთან დავმარცხდი და მეორე ადგილი დავიკავე. მაშინ თურქეთის გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო წითლანაძე – თავდგირიძე, რომელიც 30-იანი წლების დამდეგს გაქცეულა თურქეთში და იქაური მოქალაქეობა მიუღია. გული იჯერა ქართველებთან საუბრით – დამშვიდობებისას გაგვაფრთხილა, აქაურ მოჭიდავეებს წესად აქვთ, თუ გაუჭირდათ, მეტოქეს სახეში თავი ან მუჯლუგუნი მიარტყან, რომ დროებით გამოიყვანონ მწყობრიდან, თავად კი მწვრთნელისგან შესაბამისი დარიგება მიიღონ, ამიტომ ფხიზლად იყავითო.

— აკბასსაც ხომ არ გამოუყენებია ეს „ილეთი“ თქვენს დასამარცხებლად?

– სტამბულში – არა, მელბურნის ოლიმპიადაზე კი... ჩვენი ორთაბრძოლის მე-11 წუთზე, როცა ჰუსეინი ჩოქბჯენში იყო, თავი ამომკრა. საფეთქელი გამისკდა. სანამ სისხლს შემიჩერებდნენ, კარგა დრო გავიდა. თურქმა მოჭიდავემ მცირე უპირატესობით მომიგო, სამაგიეროდ, ირანელ მოჰამედ ხოჯასტე პურთან დამარცხდა. ირანელი ფალავანი იმ წელიწადს სამჯერ მყავდა დამარცხებული საბჭოთა კავშირ-ირანის ნაკრები გუნდების ამხანაგურ შეხვედრებზე და, გასაგებია, ჩემი ერთგვარი შიშიც ჰქონდა. ფრთხილად მეჭიდავებოდა. ქულებითაც რომ მოეგო, „ოქრო“ მისი იყო. მე კი ჩემპიონობისთვის აუცილებლად სუფთა გამარჯვება მჭირდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ აკბასს ვუკვალავდი გზას, ამის უფლება კი არ მქონდა. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე 1956 წელს ჩემპიონი გავხდი, ტაშკენტში საწვრთნელ შეკრებაზე ჩემს წონაში ხუთი მოჭიდავე მიგვიწვიეს: მე, მჭედლიშვილი, შაიხუტდინოვი, კარავაევი და საიადოვი. ერთ-ერთ მორიგ ვარჯიშზე ლავიწის ძვალი გამიტყდა და თვენახევარი ხალიჩას არ გავკარებივარ. მელბურნში გამგზავრების წინ კი ნაკრებში ორნი დაგვტოვეს – მე და საიადოვი. „მწვანე კონტინენტზე“ სათადარიგოდ წამიყვანეს. ავსტრალიაში ერთი კვირა მთელი დატვირთვით ვივარჯიშეთ. ასპარეზობის დაწყების წინ გუნდის უფროსმა ვლადიმერ კრუტკოვსკიმ, რომელსაც ქართველები ძალიან უყვარდა, გამომიცხადა, შენ იჭიდავებო. სჯეროდა ჩემი. ამ ბოლო ორთაბრძოლაში უნდა გამემართლებინა ნდობა. მით უმეტეს, რომ ჩვენი გუნდის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთაგან „ოქრო“ ვერავინ აიღო. გივი კარტოზია და ამური ციმაკურიძეც მამხნევებდნენ. გამარჯვების ჟინით გავედი ხალიჩაზე. ოთხი წუთი ისე მიილია, უპირატესობას ვერც ერთმა ვერ მივაღწიეთ. მეხუთე წუთზე მეტოქე ქართული ჭიდაობის ხერხით გამოვიჭირე – შუაფეხით წინგდებით ბეჭებზე დავახეთქე ხოჯასტე პური და ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი. მეორეზე თურქი გავიდა.

— ბატონო მირიან, 1957 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე აკბასი აღარ შეგხვედრიათ...

– ეს შეჯიბრება სტამბულში ჩატარდა. იმ დროისთვის ჩემი მეტოქე უკვე 57 კილოგრამში გამოდიოდა. ჩემს წონაში ქართალიმ იჭიდავა. მე მას ნახევარფინალში მოვუგე, მერე იტალიელი ფალავანიც ზედ მივაყოლე და ჩემპიონობას ვზეიმობდი, მაგრამ მასპინძლების ზეგავლენით მსაჯთა კოლეგიამ შეცვალა ქართალთან ჩემი ჭიდაობის შედეგი, აქაოდა, შეხვედრა ფრედ დამთავრდაო. ძალათი გააჩემპიონეს თურქი. მე ვერცხლის მედალი მარგუნეს. სხვათაშორის, იგივე გაუკეთეს ჩვენს სახელოვან ფალავანს არსენ მეკოკიშვილს, რომელსაც ქაფლანთან მოგებული შეხვედრა წაგებად ჩაუთვალეს და „ვერცხლს“ დააჯერეს...

ამ ჩემპიონატის შემდეგ მირიან ცალქალამანიძე აქტიურ სპორტში დიდხანს არ დარჩენილა. მის წონაში გამოჩნდა ძლიერი მოჭიდავე მახაჩყალიდან – ალი ალიევი (იგი ხუთჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი) და ვეტერანი ფალავანი ხალიჩას ჩამოშორდა.

მიწის ყივილი

ბავშვობისას ბატონ მირიანს ხშირად უმუშავია ვენახში. მერეც, როგორც კი მოიცლიდა, დედმამისეულ სახლ-კარს მიაშურებდა ხოლმე და ბევრჯერ უჯერებია გული ბარზე და თოხზე მუშაობით. ჭიდაობას თავი რომ დაანება, ხუთი წელიწადი იმუშავა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ფიზაღზრდის მასწავლებლად. გული კი კახეთისკენ უხმობდა. ერთ დღეს, ეს იყო 1964 წელს, მეუღლე – ქალბატონი მერიც დაითანხმა და შვილებთან ერთად თელავს დაუბრუნდა – №1 ღვინის ქარხანაში დაიწყო მუშაობა ინჟინერ-ტექნოლოგად. დღემდე ვერ შელევია საყვარელ საქმეს.

– სტალინს უთქვამს, ქართული ვაზი მსოფლიოს ყველა ვაზის დედააო. დღეს ამ ვაზს და კახელ მევენახეს ძალიან უჭირს. – გულისტკივილით ამბობს ოლიმპიური ჩემპიონი. – მოსარწყავად წყალი არა გვაქვს, ძვირია შესაწამლი საშუალებანი, ყურძენი კი იაფი ღირს. უშემოსავლოდ დარჩენილი გლეხი იძულებულია ვაზი აკაფოს და ხორბალი, საზამთრო ან ბოსტნეული დათესოს, – ოჯახი ხომ უნდა არჩინოს. არადა, იჩეხება 7-8 წლის ვენახი, რომელიც ახლა უნდა იძლეოდეს ნამდვილ მოსავალს. თუ ასე გაგრძელდა, კახეთში ვაზი აღარ დარჩება...

70 წლის კაცს მიწისა და თანამემამულეთა სიყვარული ალაპარაკებს სატკივარზე, თორემ ორი შვილის მამასა და ოთხი შვილიშვილის პაპას საზრუნავი სხვაც ბევრი აქვს და სასიხარულოც.

დღეს თელავში ზეიმით აღნიშნავენ მირიან ცალქალამანიძის იუბილეს. მირიანი, მარი, თათია და ნატოც მიულოცავენ პაპას დაბადებიდან 70 წლისთავს.

ჩვენც ვულოცავთ.

ვაჟა დანელია

სურათებზე: მირიან ცალქალამანიძე; ღვინის ტექნოლოგი თავის ამპლუაში; ცალქალამანიძის მეტოქე კრიტიკულ მდგომარეობაშია.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ჯანმრთელობა

დააკომპლექტებენ ნაკრებს

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი ინიციატივით გუშინწინ დაიწყო და 26 მაისს დამთავრდება საქართველოს მშრომელთა სპორტული თამაშები.

ამ თამაშებს წინ უძღოდა შეჯიბრებები 9 ზონაში. აქ გამარჯვებულებს დაემატა თბილისის, რუსთავისა და ქუთაისის 3-3 კოლექტივი, რკინიგზისა და მსუბუქი მრეწველობის პროფკავშირების, საავიაციო ქარხნის ნაკრები გუნდები, აგრეთვე, დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლები.

თამაშების დამთავრების შემდეგ დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები 22 სპორტსმენის შემადგენლობით. ისინი იასპარეზებენ ანალოგიურ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელსაც 24-28 ივნისს მოსკოვი უმასპინძლებს.

მაკა მელიავა.

ვულოცავთ!

ვივა, სპორტულო აკადემიავ!

ამ დღეებში გერმანიიდან ტიურინგიის ახალგაზრდული თამაშების მთავარი პრიზით დაგვიბრუნდნენ სპორტის აკადემიის 1988-1989 წლებში დაბადებული ნორჩი ფეხბურთელები (მწვრთნელები სოსო გილაური, ნოდარ გიგოლაშვილი და ბესო ხინთიბიძე).

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა სამშობლოში ქართველი მოზარდები ამჟამად იქაურ კლუბებში მოთამაშე ჩვენი თანამემამულეების ბესო ფრიდონაშვილისა და გოჩა თამაზაშვილის ძალისხმევით მიიწვიეს. თამაშები მეორედ მოეწყო, მის პროგრამაში ფეხბურთი კი პირველად იყო შეტანილი.

ქართველმა ბავშვებმა ტიურინგიის, ლაინეფელდესა და შვალენგენის თანატოლთა გუნდებთან დამაჯერებელი გამარჯვებების შემდეგ ფინალში პენალტების სერიით შტაინბახ-ალენბერგის კოლექტივს სძლიეს.

ორგანიზატორთა მიერ თამაშების გამორჩეულ მონაწილეთათვის დაწესებული სპეციალური პრიზების უმეტესობა ქართველებმა დაიმსახურეს. ესენი არიან სოსო გილაური (უმცროსი) – ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი (8 გოლი), ნიკა ფიცხელაური – საუკეთესო მცველი, ბექა ტუღუში – საუკეთესო ნახევარმცველი, დათო ხინთიბიძე – საუკეთესო ტექნიკისათვის და მათე ვაწაძე – შეუპოვრობისათვის.

გამგზავრებასთან დაკავშირებული ტრადიციული საკითხების მოგვარებაში გაწეული დახმარებისათვის გუნდის ხელმძღვანელობა მადლობას უხდის სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს ზაზა შენგელიას და საავიაციო სააგენტო „ვესტ-ტურის“ პრეზიდენტს გია გიორგაძეს.

გია პლატონიშვილი.

სურათზე: მეტევაზეა სოსო გილაური (უმცროსი).
ფოტო გერმანული გაზეთიდან.

ყოველი მხრიდან



შეინარჩუნებს „მანჩესტერ სიტი“ ქინქლაძეს?

ინგლისის მეორე დივიზიონის კლუბი „მანჩესტერ სიტი“ ცდილობს კიდევ სამი წლით შეინარჩუნოს საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გიორგი ქინქლაძე მისთვის ძალზე ხელსაყრელი პირობებით.

როგორც კლუბის პრეზიდენტმა ფრენსის ლიმ განაცხადა, თუ ქართველი ლეგიონერი მიიღებს მის წინადადებას, მაშინ ის იქნება ყველაზე მაღალი ანაზღაურების მქონე მოთამაშე კლუბის მთელ ისტორიაში.

აღსანიშნავია, რომ ქინქლაძეთი დაინტერესებულია ევროპის რამდენიმე ცნობილი კლუბი, მათ შორის ინგლისის „ნიუკასლი“ და „ლივერპული“.

როგორც ამბობენ, ქინქლაძე ფიქრობს „მანჩესტერ სიტიში“ დარჩენას.

ნორმალურად რომ იცხოვრონ

ირლანდიის რაგბის ფედერაციამ თავის საუკეთესო მოთამაშეებს ერთობ ხელსაყრელი კონტრაქტები შესთავაზა იმ მიზნით, რომ შეწყვიტონ ინგლისის კლუბებში გადასვლა.

ამ კონტრაქტების თანახმად ირლანდიის ეროვნული ნაკრების მოთამაშეების ხელფასი წელიწადში 700 ათასი გირვანქა სტერლინგი იქნება, პრემიებისა და სტიპენდიების ჩაუთვლელად.

ნაკრების თითოეული წევრი პრემიად მიიღებს 3000 გირვანქას, ხოლო გუნდის გამარჯვების შემთხვევაში კიდევ 1000 გირვანქა დაემატებათ.

– ჩვენს რაგბისტებს პირველად ეძლევათ ნორმალური ცხოვრების საშუალება, თუ ისინი ირლანდიაში ითამაშებენ, – განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა ბობი დისიმ.

დიუპონს დიდხანს ჯდომა მოუწევს

სპორტის მოყვარულთ, ალბათ, ახსოვთ – შარშან, იანვარში ამერიკელმა მულტიმილიონერმა ჯონ დიუპონმა პისტოლეტით მიახვრიტა ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში დევიდ შულცი. და აი, თითქმის წელიწადნახევრის შემდეგ დელავერის სასამართლომ დიუპონი დამნაშავედ მიიჩნია შემამსუბუქებელი გარემოებებით და ის ციხეში 13-დან 30 წლამდე გაატარებს. შემამსუბუქებელ გარემოებად კი ის მიიჩნიეს, რომ ნავთობის მაგნატების ცნობილი ოჯახის ნაშიერი დაავადებულია პარანოიდული შიზოფრენიით.

ციხის ჰოსპიტალში გატარებულმა წელიწადნახევარმა მას ნამდვილად არგო. განაჩენის გამოცხადების დროს მან პირველად წარმოთქვა ერთმანეთთან რაღაცნაირად დაკავშირებული რამდენიმე ფრაზა. განაცხადა, რომ იყო ავად, მაგრამ ახლა გამოკეთდა. ბოდიში მოუხადა სპორტსმენის ქვრივსა და ორ ობოლს.

ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, თუ სად მოიხდის სასჯელს მკვლელი – ჩვეულებრივ ციხესა თუ სპეციალურ საავადმყოფოში. ექიმები ამტკიცებენ, რომ ციხის რეჟიმი მასზე დამღუპველად იმოქმედებს.

ყოველ შემთხვევაში 250 მილიონი დოლარის ქონების მფლობელი 58 წლის დიუპონი თავისუფლებას ვერ ეღირსება, სანამ 70 წელი არ შეუსრულდება.

სად გაქრა კამსკი?

„მაღალ“ საჭადრაკო საზოგადოებაში ანატოლი კარპოვთან მატჩში დამარცხების შემდეგ აღარ გამოჩენილა დიდოსტატი გატა კამსკი. ის ყოველთვის უარს აცხადებს ტურნირებში მონაწილეობაზე. ამასთან დაკავშირებით მრავალი ჭორი შეიქმნა. საქმეს ნათელი მოჰფინა დიდოსტატის მამამ და მენეჯერმა რუსტამ კამსკიმ. როგორც მან განაცხადა, გატამ მიატოვა ჭადრაკი. ახლა ის დღეში 8-10 საათს წიგნებს უზის და სამედიცინო ინსტიტუტში შესასვლელად ემზადება, მისი მიზანია – გახდეს კარგი ექიმი.

მოვლენის კვალზე

გაერო საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვაზე მსჯელობს

ჩვენ ვაცნობეთ, რომ მარტო 1995-96 წლებში სისხლის სამართლის 45 საქმე არის აღძრული სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაკების მიმართ, რომლებიც მხილებულნი არიან ადამიანის უფლებათა დარღვევაში და გამოძიების სამართალზომიერად წარმართვაში. ჩვენს ამ განცხადებას კომიტეტის წევრები, ერთი მხრივ, დიდი გულისტკივილით შეხვდნენ, მაგრამ, ამასთან, ჩვენი გულახდილობაც დააფასეს. გვირჩიეს, რომ ძალისხმევა წარვმართოთ არა მხოლოდ ფაქტების გამოვლენაზე, არამედ ასეთის დაუშვებლობაზე.

ვილაპარაკეთ სავალალო მდგომარეობაზე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სერიოზულ ნაკლოვანებებზე პატიმრების სოციალური დაცვის უზრუნველყოფაში და სხვა. ან რატომ და რა უნდა დაგვემალა?

თუმცა ისიც ვთქვით, რომ მიწოდებული ინფორმაციები რიგ შემთხვევაში არაობიექტურია და არ შეესაბამება რეალურ სიტუაციას.

მადლობით მოვიხსენიე ჩემი გამოსვლისას „ემინისტ ინტერნეიშნელი“, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და აღვნიშნე, რომ კმაყოფილი ვართ მათთან თანამშრომლობით, რადგან რიგი პრობლემებისა ახალ ჭრილში დავინახეთ.

კომიტეტს მოვახსენეთ, რომ საქართველოში 1991 წლის დეკემბერში განვითარებულ მოვლენებს ხელისუფლების ცვლა და სამოქალაქო ომი მოჰყვა, ამიტომ გამარჯვებულისა და დამარცხებულის პოზიციიდან ცქერა, რასაკვირველია, არას გვარგებს.

შეცდომა იყო, როდესაც ქვეყნის უმაღლეს თანამდებობაზე ავირჩიეთ პირი, რომელიც გარკვეულად ტოტალიტარული, დიქტატორული და პროვინციული ფაშიზმის მიდრეკილებებით ხასიათდებოდა.

ამაზე არავინ შემოგვედავება.

მაგრამ ვთქვით ისიც, რომ ყოფილი ხელისუფლების მომხრენი ჩვენი განუყოფელი სისხლი და ხორცია და ყველაფერი უნდა ვიღონოთ სამოქალაქო შერიგებისათვის, ურთიერთგაგების მისაღწევად, ვაცნობეთ იმ ამნისტიებისა და ცნობილი მანიფესტის, სხვა საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებიც ამ მიმართებით იქნა გამოცემული და აღსრულებული.

მაგრამ, ამასთან, ვერ მივიჩნევთ ადამიანის უფლებათა დამცველად ისეთ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც თავის საქმიანობაში ეყრდნობა შეუმოწმებელ მასალებს და არ სურს ობიექტურად საკითხის გარკვევა.

რატომ მოგახსენებთ ამას, იცით?

ჩვენ მსჯავრდადებული გვყავს პირები, ვინც არ ერიდებოდა თავისი ქვეყნის და ხალხის განადგურებას და, მით უფრო, არ მოერიდება და არც შერცხვება მათ წინააღმდეგ მებრძოლი სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაკთა სახელების დისკრედიტაციას.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ისინი, ვისთანაც ურთიერთობა გვქონდა ნიუ-იორკში, თუნდაც ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, როგორიც „ჰუმან რაის ვოჩია“, თავისუფალ საზოგადოებაში არიან აღზრდილნი და ყველაფერს იჯერებენ, რასაც უყვებიან. ასეთ სიტუაციაში მდგომარეობის ობიექტურ შესწავლასა და გარკვევას რომ მოითხოვე და არ დაეთანხმდებიან, ეს არა მარტო უჩვეულოა თავისუფალი საზოგადოებისათვის, არამედ უბედურებაცაა.

— მაშინ ამოქმედდება „დასწრების ეფექტი“ და ვინც დაასწრებს თქმას, იმის სიმართლეს აღიარებენ?

— არა მარტო ეს, არამედ მისი კვალიფიცირება შეიძლება, როგორც წინასწარ განზრახული პროვოკაცია.

ზუსტად ასეთი ვითარება შეიქმნა „ჰიუმან რაის ვოჩის“ ორგანიზაციასთან ურთიერთობაში. 1994 წლიდან რამდენჯერმე მივმართეთ მას, რომ ინფორმაციები, რომლებითაც იგი მანიპულირებს, არ შეესაბამება სინამდვილეს, რომ მზად ვართ ნებისმიერ დროსა და ადგილას შევხვდეთ მათს წარმომადგენლებს საკითხის ობიექტურად გარკვევის მიზნით. როდესაც ამ ჩვენს თხოვნას დუმილით გვერდს უვლიან და თავისას განაგრძობენ, ეჭვი შეგეპარება მათს კეთილგანზრახვაში.

ისიც გაუმართლებელია, როცა ყველაფერი რომ დამთავრდება, მერე იწყებენ კრიტიკული შენიშვნების გამოქვეყნებას და თავდასხმას, თუმცა, როგორც ამტკიცებენ, იმ განხილვას ესწრებოდნენ, და, თუ მართლაც სურდათ საქმის არსში გარკვევა, იქვე შეეძლოთ გამოსულიყვნენ, ეკამათათ, დაესაბუთებინათ საკუთარი პოზიცია. როცა სხვას ამგვარად უსაფრდები, ან მართალი არა ხარ, და იცი ეს, ან სულ სხვა მიზნები გამოძრავებს.

ორივე პოზიცია ზნეობრივად მიუღებელია და გაუმართლებელი.

11 აპრილს კომიტეტმა მიიღო რეკომენდაციები. დოკუმენტში ჩაიწერა **„კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქართველოს მიერ წარმოდგენილ პირველად მოხსენებას და მიესალმება მაღალი დონის დელეგაციასთან გამართულ დიალოგს, იგი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საქართველოს დელეგაციამ შეძლო დამატებითი ინფორმაციის მიწოდება და უზრუნველყო განმარტებების მიცემა მოქმედი სამართლებრივი აქტებისა და მათი მოქმედების ჩარჩოების შესახებ და, ასევე, მიმდინარე რეფორმის თაობაზე, რომელიც კომიტეტს აძლევს საშუალებას მეტ-ნაკლებად ნათელი წარმოდგენა იქონიოს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ“.**

ავის მოსურნენი ამას არ მოელოდნენ, და ფაქტის წინაშე რომ აღმოჩნდნენ, დაიწყეს კიდეც კამპანია ჩვენს წინააღმდეგ: ხომ უნდა შეინარჩუნონ საკუთარი რენომე?

— თვითონ იგონებენ?

— არა, აქედან აწვდიან „მდიდარი ფანტაზიის“ მქონე დაინტერესებული პირები.

არც გვიკადრებია და არც ვიკადრებთ იმის თქმას, რომ ჩვენ ყველაფერი მოწესრიგებული გვაქვს, მაგრამ ეძებო კატა იმ ოთახში, რომელშიც არ არის, ფუჭი საქმეა.

საბოლოოდ მინდა გითხრათ, რომ კომიტეტის რეკომენდაციებში აისახა ადამიანის უფლებების დაცვის ხაზით საქართველოში არსებული პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები. თქვენი გაზეთის ხუთშაბათის ნომერში გამოქვეყნებულ ბატონ ლევან ალექსიძის სტატიაში იყო ლაპარაკი ამ საკითხზე. სრული დოკუმენტები, ალბათ, მალე გამოქვეყნდება.

გეტყვით მხოლოდ, რომ საერთო აზრია — ძირფესვიანად უნდა აღმოიფხვრას ადამიანის უფლებათა ყოველგვარი დარღვევა, განსაკუთრებით სამართალდამცავ სისტემებში.

— პოლიტიკური პატიმრების შესახებ?

— იქ განვაცხადე, რომ ჩვენ პოლიტიკური, ე. ი. თავისი რწმენის, ან აზრისთვის დასჯილი პატიმრები არა გვყავს. საქართველოში არიან მსჯავრდებულები, რომლებიც, პოლიტიკურ მოტივებს ამოფარებულნი, მხილებულნი არიან უმძიმესი სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში — განზრახ მკვლელობებში დამამძიმებელ გარემოებაში, ბანდიტიზმში, ტერორიზმში, დივერსიებში.

ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შეიძლება სერიოზულად მიიღოს ვინმემ, ვთქვათ, ტერორისტი-მკვლელის არგუმენტი, რომ მის მიერ განხორციელებული აფეთქება, რომელსაც სრულიად უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე შეეწირა, პოლიტიკური აქციაა, და ამიტომ ტერორისტი პოლიტპატიმარია?! ამ კატეგორიის დამნაშავეებისადმი საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულება ასეთია: ისინი არ აყენებენ მათი დასჯაგათავისუფლების საკითხს. მოითხოვენ მხოლოდ შემდეგს — პოლიტიკური მოტივითა თუ მოსაზრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პიროვნების მიმართ სახელმწიფო არ გამოვიდეს გამარჯვებულ მხარედ დამარცხებულის წინააღმდეგ, და არ დაარღვიოს მისი, კანონით დაცული, უფლებები.

დასკვნის სახით მინდა გითხრათ, მე პირადად მივესალმები, რომ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის სამედიცინო შემოწმება დაკავებისთანავე მოხდეს, გაფართოვდეს საზოგადოებრივი კონტროლი სისხლის სამართალწარმოებაზე, რაც შემდგომ გარკვეულად გამორიცხავს პროვოცირებას დაკავებულთა და მათი დამქაშების მხრიდან, ხელს შეუწყობს კანონის შესაძლო დარღვევათა აღმოფხვრას მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებაში.

კომიტეტმა დაჟინებით მოითხოვა სასამართლო რეფორმის დაჩქარება.

აქ ერთ მომენტზე მინდა შევჩერდე. კონსტიტუციური პრინციპი — მხოლოდ სასამართლომ გადაწყვიტოს პირის დაპატიმრების, ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის საკითხი, ჯერჯერობით არ ამოქმედებულა, მაგრამ მოქმედებს საკანონმდებლო ნორმა, რომლის ძალითაც სასამართლო კონტროლს ექვემდებარება დაპატიმრების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმება. სამწუხაროდ, ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით ამ მიმართებით სასამართლოში საჩივარი ძალიან ცოტა შემოვიდა, და ეს დამაფიქრებელი გარემოებაა. მიმაჩნია, რომ დროულად უნდა ამოქმედდეს ეს კონსტიტუციური ნორმა, რაც ბევრ პრობლემას მოხსნის. მაშინ აღმოიფხვრება ის გაუგებარი სიტუაცია, რომელიც ხშირად არის, როდესაც 8-9 თვე დაპატიმრებულია კაცი, მიმდინარეობს გამოძიება, ბრალდებული სამადლობელ სიტყვებს არ იშურებს გამომძიებლისადმი და სასამართლო პროცესზე ყველაფერი თავდაყირა დგება — ძალით მათქმევინეს, მაწამესო და სხვა.

ამერიკიდან ჩვენი დაბრუნების შემდეგ ყველანი საქართველოს პრეზიდენტის არაორდინალური გადაწყვეტილების მოწმენი გავხდით, როდესაც მან თავისი ბრძანებულებით შემოიღო ახალი თანამდებობა — ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში.

ნაყოფიერად მოღვაწეობს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტი, მალე ავირჩევთ სახალხო დამცველს.

ვიმედოვნებ, რომ სწორედ აქ იქნება აკუმულირებული ყველა დარღვევა, რაც მთავარია, უზრუნველყოფილი იქნება შესაძლო დარღვევათა თავიდან აცილება, ადამიანის უფლებათა დაცვა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად განხორციელდება.

ესაუბრა
არმაზ სანებლიძე.

დასასრული.
დასაწყისი იხ. I - IV გვ.

ვერნისაჟი

მასპინძლობს ქართული ნიჭი

11 წლის ბესო ყაზაიშვილის ნახატების გამოფენა ლონდონში



22 მაისს ლონდონის ცენტრში, როი მაილსის გალერეაში გაიხსნა 11 წლის ქართველი მხატვრის ბესო ყაზაიშვილის ნახატების გამოფენა (ამ პატარა შემოქმედზე ჩვენი გაზეთი უკვე წერდა). აქ გამოფენა ჩამოყალიბებული მხატვრისათვისაც კი დიდ წარმატებად იქნებოდა მიჩნეული.

ყველაფერი კი შემდეგნაირად დაიწყო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭოს ყოველწლიური შეხვედრა ამჯერად 12-15 აპრილს ლონდონში გაიმართა. მასში მონაწილეობდა ბატონი თეიმურაზ მამიაშვილი, რომელმაც ლონდონში საქართველოს ელჩის პირადი მიწვევით ჩაიყვანა ბესო ყაზაიშვილი თავისი 15 ნახატით. შარშან ბესო პირველად გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე, როდესაც თეიმურაზ მამიაშვილმა იგი თავისი შემოქმედებით საფრანგეთის საზოგადოებას წარუდგინა იუნესკოს ფარგლებში გამართულ ქუთაისის დღეებზე. წლეულს ევრობანკის ყოველწლიური შეხვედრის დროს ბესოს ნახატები გამოფენილი იყო ევრობანკის შენობაში. ეს საკმაოდ დიდი პატივი დაგვედო ევრობანკის პრეზიდენტმა ბატონმა დელაროზიემ, რომელსაც საქართველოში ვიზიტის შემდეგ მეტად თბილი მოგონებები აქვს, ძალიან უყვარს ქართული კულტურა და დიდ პატივს სცემს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს.

ბესოს შემდგომი გამოფენა გაიმართა როი მაილსის გალერეაში, რომელიც ლონდონში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. ბატონი როი მაილსი იმავე წუთს დაინტერესდა ნორჩი მხატვრის შემოქმედებით და ბესოს „მასტერ ბესო“ უწოდა. ამასთან, ბესოს სასარგებლოდ უარი განაცხადა თავის კუთვნილ პროცენტებზე.

ინტერესი ბესოს მიმართ არ ნელდება, წარმოდგენილი ნახატებიდან ხუთი უკვე გაყიდულია.

ქართული ნიჭი გამოფენის სტუმრებს მასპინძლობს.

გამოსათხოვარი

ზურაბ ჩილაჩავა

გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, ვინც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ენერგიის დაუშურებლად, მიზანსწრაფულად ემსახურა ეროვნულ საქმეს.

ის დაიბადა 1930 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. ამის შემდეგ მთელი ექვსი წლის მანძილზე იმუშავა გაზეთ „თბილისის“ ლიტმუშაკად. მისი ნარკვევები, რეპორტაჟები, განსაკუთრებით კი ფელეტონები, უკვე მაშინ იპყრობდა მკითხველის ყურადღებას. ამის შემდეგ ის იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის წიგნის რეკლამისა და პროპაგანდის რედაქტორი, გამსახკომის საჟურნალო-საგაზეთო განყოფილების რედაქტორი, ამავე განყოფილების უფროსი რედაქტორი. მწერლებთან, ხელოვნებათმცოდნეებთან, მეცნიერებთან, გამომცემლებთან მისი კონტაქტების, თანამშრომლობის იშვიათი უნარი მკაფიოდ გამოვლინდა 1994-97 წლებში, როცა ის გამომცემლობა „ხელოვნების“ მთავარ რედაქტორად მუშაობდა, ამის შემდეგ ის სამი წლის მანძილზე გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორის მოადგილე იყო.

შეიძლება ითქვას, რომ ზურაბ ჩილაჩავას ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი „საქწიგნს“ შეელია: ის 1981 წელს დაინიშნა „საქწიგნის“ მმართველის მოადგილედ, 1989 წლიდან იყო „საქწიგნის“ გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე — მთავარი წიგნმცოდნე, 1993 წლიდან — „საქწიგნის“ გაერთიანების მმართველი, 1996 წლიდან — გენერალური დირექტორი. მან მთელი თავისი ძალღონე შესწირა იმას, რომ „საქწიგნი“, როგორც ეროვნული დაწესებულება, „საქწიგნად“ დარჩენილიყო.

ის იყო გაზეთ „კრიმინალური ქრონიკის“ რედკოლეგიის წევრი.

ზურაბ ჩილაჩავა იყო ბევრი წიგნის რედაქტორი, გამომცემლობა „ხელოვნებაში“ ძვირფასი მონოგრაფიების, ალბომების გამოცემის ინიციატორი. თარგმნა და გამოსცა რამდენიმე წიგნი. უნდა აღინიშნოს, რომ ის იყო ერთ-ერთი შემდგენელი უნიკალური კრებულებისა „ილიას სამრეკლო“, „აკაკის სამრეკლო“, „იაკობის სამრეკლო“, აგრეთვე „ვაჟას სამრეკლოსი“, რომელიც დასაბეჭდად გამზადებული აქვს გამომცემლობა „განათლებას“.

ამ ცოტა ხნის წინათ, მისი ინიციატივით შეიქმნა **ქართული წიგნის გადარჩენის ფონდი**, რომელსაც მოქმედების დიდად მნიშვნელოვანი პროგრამა აქვს დასახული.

ზურაბ ჩილაჩავას, როგორც ჟურნალისტს, ლიტერატორს, გამომცემელს, ღირსეულ მამულიშვილს არასოდეს დავივიწყებთ.

მან ეს დაიმსახურა.

საქართველოს მწერალთა კავშირი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია, საქართველოს პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის კორპორაცია, საქართველოს წიგნის ვაჭრობის საბითუმო-საცალო გაერთიანება „საქწიგნი“.

შენ ქვეყანა გიყვარდა

ძმაო ზურაბ, თავზარდამცემია შენი სიკვდილი. შენ სხვა კაცი იყავი. შენ ქვეყანა გიყვარდა, მთელი ქართული მწერლობა, მთელი თბილისი, მთელი საქართველო... შენი უნივერსიტეტელი ძმები გიყვარდა, შენი კურსელები, წასულებსაც ჩამოვთვლი და დარჩენილებსაც: თამაზ ბიბილური, ფილიპე ბერიძე, ზაურ ბოლქვაძე, გივი გეგეჭკორი, რეზო ინანიშვილი, გურამ კლდიაშვილი, გივი სამსონაძე, ოთარ დემეტრაშვილი, რობერტ კიკნაძე, ზურაბ ქაჯაია, გაბრიელ ჭანტურია, ოთარ ჭილაძე, რეზო ჭიჭინაძე, ვახტანგ ჯავახაძე.

ვერ გამოვტოვებ, ჩვენზე ბევრად უმცროსს, მაგრამ შენს ერთგულ ძმას ჯუმბერ თითმერიას.

მე ჩვენი კურსელების მწერალთა ერთი ნაწილით შემოვიფარგლე, თორემ შენს მეგობრებსა და ამხანაგებს ისე ვერ დავთვლი, როგორც ცაზე ვარსკვლავებს.

ჩვენი გზები არასოდეს გაყოფილა, შენ მარად გჯეროდა ღვთის კეთილი სიტყვისა და რწმენითა და სულგრძელობით ყველას თავს ევლებოდი. გულწრფელად უნდა ვთქვათ: თუ ვინმე ქართული წიგნის ქომაგი იყო, შენ იყავი და შენივე რუდუნებით შეიქმნა „ქართული წიგნის გადარჩენის ფონდი“.

რა წინააღმდეგობები არ შეეხვდა, როგორ არ გებრძოდნენ, მაგრამ ვერ მოგერივნენ, გჯეროდა, რომ ქართულ წიგნს თავისი მომავალი ჰქონდა და წიგნის დახლი არ უნდა გადაქცეულიყო ვაჭრუკანების სათარეშო დახლად. რა ვქნათ, ასე ყოფილა დასაბამიდან, უსასრულო სიცოცხლით ქვეყნად არავინ ყოფილა, მაგრამ გული მტკივა, რომ მაინც ადრე დაგვტოვე, ჯერ კიდევ გერჩოდა ძალა და ღონე მამულიშვილური, ჯერ კიდევ შეგეძლო ერთგული სამსახური გაგეწია ქართული მწერლობისათვის.

შენ ჩვენით იყავი ძლიერი, ჩვენ — შენით...

მორჩა, გათავდა შენი წუთისოფელი, თუმცა აქვე მინდა გავიხსენო, მოციქულ იოანეს წერილი: „ჩვენ ვიცით, რომ სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავედით, რადგან გვიყვარს ძმები. ვისაც არ უყვარს, სიკვდილში რჩება“. შენ ძალიან გიყვარდა შენი ძმები, ესე იგი, სიცოცხლეში ხარ. ახლა ოქროს ნათელში ხარ, გვიგულე მარად შენს სასანთლეებად.

არასოდეს დაგივიწყებთ, შენ მართლა კაცური კაცი იყავი და ამიტომაც ღირსი ხარ იყო ღვთის ტაძარში.

მადლობელი ვარ შენი ძმობისა!

ცრემლითა და დიდი სევდით —
შენი
ჯანსუღ ჩარკვიანი.

მილოცვა

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის პრეზიდენტს, გამოჩენილ მეცნიერს, კეთილშობილ ადამიანს გრიგოლ კონდრატეს ძე ქვანიას ახლო მეგობრები ვულოცავთ დაბადების 80 და საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავს და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და მუდმივ სიკეთეს.

დევი სტურუა, გრიგოლ ბრეგაძე, იოსებ ჩიქავა, კლიმენტი შელია, მამია ჯიჯეიშვილი, ივანე შენგელაია.

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდუბის რაიონის სატელეფონო კვანძის უფროსი
ზაურ შოთას ძე ფუტკარაძე
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ელექტროკავშირის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდუბის რაიონის სატელეფონო კვანძის უფროსი
ზაურ შოთას ძე ფუტკარაძე
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სატელეფონო ქსელის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდუბის რაიონის სატელეფონო კვანძის უფროსი
ზაურ შოთას ძე ფუტკარაძე
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისის დიდუბის რაიონის სატელეფონო კვანძის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კვანძის უფროსი
ზაურ შოთას ძე ფუტკარაძე
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „საქელექტრო კავშირის“ ფილიალის „რემმშენის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ შოთა ზაურის ძე ფუტკარაძეს მამის
ზაურ შოთას ძე ფუტკარაძის
გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

ვიქტორ ბოსტოღანაშვილი

საქართველოს ფარმაცევტულმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ცნობილი ფარმაკოქიმიკოსი, საქართველოში მიკროანალიზის ერთ-ერთი ფუძემდებელი, დიდად განსწავლული სპეციალისტი, ქართველ მეცნიერთა უფროსი თაობის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატი ვიქტორ სოლომონის ძე ბოსტოღანაშვილი.

ვიქტორ ბოსტოღანაშვილი დაიბადა 1916 წელს. 1942 წელს თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტული ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო აკადემიკოს ი. ქუთათელაძის ხელმძღვანელობით იმავე ინსტიტუტის ანალიზური ქიმიის კათედრაზე და ამავე დროს ფარმაკოქიმიის ინსტიტუტშიც, სადაც იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მოღვაწეობდა.

ბატონი ვიქტორი ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა მის მიერვე ჩამოყალიბებულ ანალიზური ქიმიის განყოფილებას, ჰქმნიდა და სრულყოფდა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ანალიზის უნატიფეს მეთოდებს. აკადემიკოს ი. ქუთათელაძესთან ერთად ვ. ბოსტოღანაშვილის ავტორობით, საქართველოს ბენტონიტური თიხების გამოყენებით, შექმნილია მრავალი ახალი სამკურნალო პრეპარატი, მოწოდებულია ახალი სამკურნალო ფორმები — მშრალი საცხები ტაბლეტების სახით, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა.

დიდია ვიქტორ ბოსტოღანაშვილის დამსახურება მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეშიც. ანალიზური ქიმიის კათედრაზე მოღვაწეობის პერიოდში მის მიერ აღზრდილია პროვიზორთა მრავალი თაობა. ბატონი ვიქტორი,მისთვის ჩვეული გულისხმიერებით, დიდ დახმარებას უწევდა უმაღლესი სასწავლებლების, კვლევითი ინსტიტუტების, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ქიმიკოს-ანალიტიკოსებს.

ვიქტორ ბოსტოღანაშვილი ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული 70-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია, რომლებიც ეძღვნება საქართველოს ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, ახალი სამკურნალო საშუალებების მიღების ტექნოლოგიებისა და ანალიზის მეთოდების დამუშავებას.

ვიქტორ ბოსტოღანაშვილი დამსახურებული ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სათანადო პროფილის სამეცნიერო დაწესებულებებში.

ბატონმა ვიქტორმა — ჭეშმარიტმა მეცნიერმა, საქმისადმი თავდადებულმა, უანგარო მუშაკმა, თავისი მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვა მეცნიერებაში. გლოვობს მთელი ქართული ფარმაცია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის კოლექტივი დიდი გულისტკივილით ეთხოვება ღვაწლმოსილ მეცნიერს, მაღალი ზნეობის კეთილშობილ, სათნო პიროვნებას, ყველასათვის საყვარელ, ერთგულ მეგობარს, რომლის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი კოლეგების, მეგობრების და მოწაფეების გულში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი.

ზაურ ფუტკარაძე

წავიდა ჩვენგან სიცოცხლეზე, მეგობრებზე უზომოდ შეყვარებული, გულმართალი და შრომისმოყვარე ზაურ შოთას ძე ფუტკარაძე — ქალაქის ტელეფონების ქსელის დიდუბის რაიონული განყოფილების უფროსი.

საინტერესო და ლამაზი ცხოვრებით იცხოვრა მან. მისი განშორებით მეგობრებს, თანამშრომლებს, ახლობლებს დაგვიტოვა უდიდესი მწუხარება და გულისტკივილი.

თავზარდამცემი იყო მისი გარდაცვალება ქალაქის ტელეფონების ქსელის თანამშრომლებისათვის, საერთოდ, კავშირგაბმულობის მუშაკებისათვის, სადაც 33 წელი იმუშავა ელექტრომონტიორიდან დაწყებული სატელეფონო განყოფილების უფროსის თანამდებობამდე. და ყველგან ნათელი კვალი დატოვა.

15 წელი ხელმძღვანელობდა რაიონულ განყოფილებას. დღენიადაგ ზრუნავდა ტექნიკურად გამართული, მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული ავტორიტეტული საწარმოს შესაქმნელად.

სხვას არავის შეაწუხებდა, მამით ობოლს ბავშვობიდანვე ეცოდებოდა დაჩაგრული და ყველას ხელს უმართავდა. ბედნიერი იყო, როცა სხვას ეხმარებოდა, თვითონ გამორჩეული პიროვნება იყო და სიკვდილიც გამორჩეული ერგო, უცბად, მოულოდნელად, ღიმილით წავიდა ამ ქვეყნიდან.

გემშვიდობებით, ჩვენო ზაურ!
ვერ გავუფრთხილდით შენს ნაზ და სათუთ გულს.
გემშვიდობებით, მაგრამ შენ ჩვენს გვერდით იქნები მარადჟამს.
მსუბუქი იყოს საქართველოს მიწა შენთვის.

თბილისის სატელეფონო ქსელი.

მარიამ ბრეგვაძე

თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგები და მოსწავლეები დიდად განიცდიან და ღრმა მწუხარებით იუწყებიან მრავალი თაობის აღმზრდელის, სამაგალითო პიროვნების, რუსული ენისა და ლიტერატურის დამსახურებული მასწავლებლის მარიამ (მარა) ბრეგვაძის უდროო გარდაცვალებას.

რაოდენ მტკივნეულიც უნდა იყოს მასთან განშორება, გვწამს, რომ დრო უფრო გააცისკროვნებს და უკვდავყოფს მის ნათელ ხსოვნას.

მსუბუქი იყოს მშობლიური მიწა სასწავლებელსა და თავის ირგვლივ მყოფ ადამიანებზე უზომოდ შეყვარებულ მარა ბრეგვაძისათვის.

მშვიდობით, საყვარელო და დაუვიწყარო მარა!

შვილები მადლენა, რეზო, შვილიშვილები თამარი, მზია, ზვიადი, რძლები ანა ბეჟაშვილი, ვილმა ბერძენიშვილი, ციალა ცინცაძე, კირა მიქელაძე, ნატო ჯანელიძე, შვილთაშვილები ია, რატი, ვახტანგი, რეზო, მირზა, სიძეები ოთარ ნინუა, ირაკლი ელიკაშვილი, ძმისწულები იური, ედუარდ, ნიკოლოზ ვასაძეები, მაზლიშვილები ელგუჯა, მერაბ ბერძენიშვილები, მულიშვილები თინა, მურა, ციალა ოჯახებით იუწყებიან
პელო ვასაძე-ბერძენიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 V, სოფელი ცხემლისხიდი-ბაღდადი, ოზურგეთის რაიონი.

გამომცემლობა „საქართველოს“ კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა გაერთიანება „საქწიგნის“ გენერალური დირექტორი
ზურაბ ჩილაჩავა
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ფრინველთა დაავადებების შემსწავლელი განყოფილების ყოფილი გამგე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დამსახურებულ ვეტერინარი ექიმი, შრომისა და ომის ვეტერანი, ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატი
ალექსანდრე ვლადიმერის ძე პაჭახიძე
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ბოზიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორები: ალეკო ასლანიშვილი, აბესალომ იმედაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშარაულის 29.